აჭარისტანის სამხარეთმცოდნეო სამეცნიერო ბიურო

ჯემალ ნოღაიდელი

ეთნოგრაფიული ნარკვევი აჭარელთა ყოფა-ცხოვრებიდან

სახელმწიფო გამომცემლობა
სამეც. ლიტერატურის სექტორი
ტფილისი 1935
რედაქტორი: ს. მაკალათია.
ლიტრედაქტორი: ალ. ლორდელი

წინასიტყვაობა

აჭარისტანი ამჟამად აღარ არის ის, რაც ამ ათიოდე წლის წინათ იყო, გასაბჭოების შემდეგ აჭარისტანში გაიშალა დიდი სოციალისტური მშენებლობა. სოფლის მეურნეობის სოციალისტურმა რეკონსტრუქციამ და მრეწველობის არაჩვეულებრივად ზრდამ ძირფესვიანად შეცვალა აჭარისტანის ძველი ეკონომიკა და მასთან დაკავშირებული ჩამორჩენილი ყოფაცხოვრება.

იმპერიალისტური რუსეთის ბატონობის დროს აჭარის მშრომელი მოსახლეობა უვიცობასა და სიბნელეში ატარებდა თავის ტანჯულ სიცოცხლეს. მძიმე იყო მისი ეკონომიური მდგომარეობაც. მეფის ხელისუფლება აღვიძებდა აქ ნაციონალურ შუღლსა და ხელს უწყობდა აჭარელთა გადაგვარებას.

მენშევიზმის ბატონობის დროს კი აჭარისტანი იქცა მოსყიდული ბეგებისა და აღების სათარეშო ასპარეზად; მათ წინააღმდეგ აჭარის მშრომელი მასები გამწვავებულ კლასობრივ ბრძოლებს აწარმოებდენ. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მოიპოვა აჭარისტანმა სრუ-

ლი თავისუფლება და დღეს მთელი მისი მშრომელი მოსახლეობა ჩაბმუ-
ლია დიდ სოციალისტურ მშენებლობაში,

გიგანტური ნაბიჯებით იზრდება მსხვილი მრეწველობა. გარდაიქმნა
და აღორძინების გზას დაადგა სოფლის მეურნეობა; წვრილი გლეხური მე-
ურნეობანი კოლმეურნეობებში ერთიანდებიან: ამხ. სტალინის ლოზუნგს:
გადავაქციოთ ყველა კოლმეურნეობა ბოლშევიკურ კოლმეუონეობად, და
ყველა კოლმეურნე შეძლებულად აჭარისტანის კოლმეურნეობები წარმატე-
ბით ახორციელებენ.

ამგვარად, წვრილი მესაკუთრე აჭარელი ღარიბი გლეხი გათავისუფლ-
და თავისი კლასობრივი მტრების: ხოჯების, მოლებისა და ბეგების ყმობი-
საგან და სოციალისტური მიწათმოქმედების შეგნებულ და აქტიურ მუშა–
კად იქცა.

დღეს აჭარისტანის კოლმეურნე გლეხობა იბრძვის მეფის დროინდელი
ჩამორჩენილი, ფეოდალურ-ბეგური აჭარის საბჭოთა „ცეილონად“ გადაქ-
ცევისათვის,

დიდი მუშაობაა გაშლილი კულტურის ფრონტზე. „წინათ აჭარისტანი
საქართველოს ერთ ჩამორჩენილ კუთხედ ითვლებოდა; ამ ჩამორჩენილო-
ბას ხელს უწყობდა მეფის მთავრობა: როცა ხოჯა გადმოდგებოდა. მინა-
#4#
რეზე და „ეზანს“ კითხულობდა, მეფის პოლიცია ხალხს ჯამეში (მეჩეთში)
ერეკებოდა სალოცავად.

მხოლოდ გასაბჭოების შემდეგ, ლენინისა და სტალინის სწორი
ნაციონალური პოლიტიკის წყალობით შესაძლებელი შეიქნა, რომ აჭარის-
ტანი შემდგარიყო ნაციონალური აღორძინების გზაზე. გასაბჭოების პირ-
ველ წლებშივე დაიწყო დიდი სასკოლო მუშაობა და წერა-კითხვის მცოდ-
ნეობის გავრცელება. გაიხსნა მრავალი სხვადასხვა ტიპისა და საფეხუ-
რის სკოლა, წარმოებს საპოლიტგანმანათლებლო დიდი მუშაობა. წერა-
კითხვის მცოდნეთა რიცხვი დღეს აჭარაში 80 პროც. აჭარბებს და შექმნი-
ლია ყველა პირობა იმისათვის, რათა 1935 წლის დასასრულს მოხდეს.
წერა-კითხვის უცოდინარობის სრულე ლიკვიდაცია.

ამასთანავე საბჭოთა ხელისუფლება დიდ მზრუნველობას იჩენს ქალთა
მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. აჭარელი ქალი საუკუნეების მანძილზე
მოკლებული იყო ყოველგვარ ადამიანურ უფლებას; ის ოჯახისა, და ძვე-
ლი ადათების მონა იყო. ოქტომბრის რევოლუციამ აჭარელი ქალი გამოიყ-0
ვანა კარჩაკეტილობისა და სიბნელიდან, მიანიჭა მას დიდი პოლიტიკური
და მოქალაქეობრივი უფლებები და განათლებისა და განვითარების გზაზე

დააყენა.

წინათ არცერთი აჭარელი ქალი არ სწავლობდა სკოლაში, ხოლო 1930-31 სასწავლო წელს, სოფლად მოსწავლე ქალების რიცხვმა 21% გადააჭარბა.

აჭარელი ქალები დღეს დიდ აქტიურ მონაწილეობას იღებენ საზოგადოებრივ მუშაობასა და საკოლმეურნეო მოძრაობაში.

ამ ახალ სოციალ-პოლიტიკურ პირობებთან დაკავშირებით ძირბუდიანად ირყევა საუკუნოებით გამტკიცებული ყოფა-ცხოვრება, თანდათან ქრება ძველი ზნე-ჩვეულებები. და ადგილს უთმობს ახალ სოციალისტურ ყოფას.

წინათ აჭარისტანის მშრომელი მოსახლეობა ეკონომიურად ნადგურდებოდა მავნე ჩვეულებებისაგან, როგორიც იყო, მიგალითად, ქელეხი, ქორწილი, დღეობები და სხვა. აჭარული ქორწილი, თავისი დიდი ძღვნებით, აღარიბებდა გლეხის ოჯახს; მიუხედავად ამისა ადათით ის იძულებული იყო ქორწილი გადაეხადა. 1929-1930 წლებში შესაძლებელი გახდა ამ მავნე ჩვეულების მოსპობა, თვით მშრომელმა გლეხობამ შეგნებულად დათმო და უარყო ქორწილის ძველი წესები და აგრეთვე სისხლის აღებისა და ქელეხის ადათები.

მაგრამ ამასთანავე საჭიროა ამ წარმავალი ყოფისა და ადათ-ჩვეულებათა დროზე აღწერა და შესწავლა, რათა შესაძლებელი გახდეს აჭარელთა წარსული საზოგადოებრივი ცხოვრების სწორი გაშუქება. ეს მით უმეტეს საჭიროა, რადგან ასეთი მუშაობა აჭარისტანში ჯერ არ ჩატარებულა და საბჭოთა საზოგადოებამ არც კი იცის, თუ რა ადათ-ჩვევებით ცხოვრობდა წარსულში აჭარისტანის მშრომელი მოსახლეობა.

#5#

ასეთი მუშაობის წარმოება აჭარის პირობებში ძნელია, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც შევძელით მისი ნაწილობრივი ჩატარება, შვეკრიბეთ აჭარელთა ყოფის დამახასიათებელი. ზოგიერთი ჩვეულებანი, რომლებსაც ამ ნარკვევში ვათავსებთ.

რა თქმა უნდა, ჩვენი ეს მცირე ეთნოგრაფიული ხასიათის ნარკვევი აჭარის მრავალფეროვანი და ხანგრძლივი წარსულის გასაშუქებლად სრულებით არ არის საკმაო, მაგრამ სრულიად დარწმუნებული ვართ, რომ დაწყებული საქმე საბჭოთა წყობილების სინამდვილეში სათანადოდ გაიშლება და აჭარელთა ყოფა-ცხოვრება და მისი წარსულის გადანაშთები ახლო მომავალში ამომწურავად იქნება შესწავლილი და გაშუქებული.

დასასრულ, მადლობას მოვახსენებ საქართველოს გეოგრაფი-

ულ საზოგადოებას, რომელმაც ამ მუშაობის ჩასატარებლად თავისი წვლილი გაიღო და ამით ხელი შეუწყო აჭარის შესწავლის დიდ საქმეს: გულრწფელ მადლობას ვუცხადებ სერგი მაკალათიას, რომელიც მუშაობის პროცესში გულთბილ დახმარებას მიწევდა და დედაჩემს, რომელიც მშველოდა მასალების შეგროვებაში.

ამ შრომის დამუშავებაში და დაბეჭდვის საქმეში განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის აჭარისტანის მხარეთმცოდნეობის სამეცნიერო ბიუროს, რისთვისაც მას მადლობას მოვახსენებ.

წიგნში მოთავსებული ნახატები შესრულებულია მხატვარ ვალეთეოდორეს ძე ილიუშინის მიერ.

ჯემალ ნოღაიდელი

I. ხალხური ჩვეულებანი

ხალხის ყოფა-ცხოვრების შესწავლას უაღრესი მწიშვნელობა ეძლევა ამათუიმ კუთხის საზოგადოებრივი ცხოვრების გასაცნობად. ხალხურ ჩვეულებებში გადანაშთის სახით მოცემულია წარსულის დამახასიათებელი მომენტები. ამ მხრივ აჭარისტანის ეთნოგრაფიულ შესწავლას შეუძლია შუქი მოჰფინოს აჭარლების ისტორიულ წარსულს. აჭარამ ისტორიის მანძილზე განვლო საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციების სხვადასხვა საფეხურები, მაგრამ, სამწუხაროდ, მისი ეს განვლილი გზა ჯერ კიდევ შეუსწავლელი და გაუშუქებელია.

გასაბჭოებული აჭარისტანი დღეს ჩაბმულია სოციალისტურ მშენებლობაში და იბრძვის ახალი სოციალისტური ყოფის გამტკიცებისათვის. მაგრამ ამასთანავე აჭარის მშრომელ მოსახლეობას ჰსურს იცოდეს თავისი ისტორიული წარსულის სინამდვილე, ხოლო ამისათვის კი საჭიროა ძველი და წარმავალი ყოფის დამახასიათებელი ჩვეულებების აღწერა; შეკრება და მათი მარქსისტულად შესწავლა და გაშუქება; ეს განსაკუთრებით საჭიროა დღეს, რათა გამომჟღავნდეს ძველი ყოფის დამახასიათებელი ჩვეულებების კლასობრივი ხასიათი და იდეოლოგიური მავნებლობა.

აქამდის ამ საქმეს ნაკლები, ყურადღება ექცეოდა და ამიტომ განვიზრახეთ აჭარლების ყოფა-ცხოვრებიდან ნარკვევების სახით მოგვეცა ზოგიერთი ჩვეულების მოკლე აღწერა. ამ ჩვენს შრომას ვიწყებთ მშობიარობის წესების აღწერით.

II. მშობიარობა

იგრძნობს თუ არა ორსული ქალი სამშობიარო ტკივილებს, მაშინვე მოიწვევენ დახელოვნებულ „ამყვანს“ – ბებია ქალს, რომელსაც ზემოაჭარაში „ებე“-ს უწოდებენ. ამყვანი მელოგინეს ცალკე ოთახში ან ოთახის ერთ კუთხეშე ტახტზე ლოგინს გაუშლის და დააწვენს. ტახტის უქონლობის შემთხვევაში მშობიარეს იატაკზე აწვენენ. მშობიარის ლოგინი ორმოცი დღის განმავლობაში არ იკეცება. მშობიარობის დღეს მამაკაცებს სახლიდან ითხოვენ და წასვლის წინ მელოგინის ქმარი ამყვანს დაუბარებს, თუ სად იქნება, რომ მახარობელმა მას დროზე აცნობოს შვილის შეძენა.

ამყვანი, როდესაც ყველაფერს გაამზადებს, მელოგინეს წელს „ამოურეკს“, გაატარებს და შემდეგ დააწვენს. მშობიარობის გაძნელების შემთ-
#7#
ხვევაში, მშობიარეს ცხელ წყალში ჩასვამენ, რომ ამით შეუმსუბუქონ მშობიარობის პროცესი. ზემო აჭარაში კი „ჩიხანდარს“ მოხარშავენ ქვაბში და მშობიარეს მისი ორთქლით ასუნთქებენ. თუ ამანაც ვერ გაჭრა, მაშინ მშობიარის ქმარი ცერისა და სალოკი თითს კუნთებს შუა დაისხამს წყალის წვეთებს, დააგუბებს და მელოგინეს შეასმევს. ზოგჯერ ქმარი მშობიარის ტახტის ქვეშ ჩუმად შეძვრება და თოუს გაისვრის.

ბავშვი რომ დაიბადება, ან როგორც აჭარლები იტყვიან, „ბაღანაᲥ რომ დუნიაზე მოვა“, ამყვანი მოსჭრის მას ჭიპს, დაბანს, შეახვევს და დააწვენს. ამყვანი მელოგინესაც დაბანს, თბილად დააწვენს, საბანს დაახურავს და შეულოცავს.

შელოცვა ხდება ასე: ამყვანი იღებს დანას ან წალდს, მარცხნიდან მარჯვნივ წრეს შემოხაზავს და ამბობს: „სამსა მამლისა ყივილსა, სამებისა მთასა (ან კარსა) სამი ძმანი თავდგირიძე ლესვენ ხმალსა, ჭრიან თავსა აქ რა უნდა ავსა, გეიარე კარსა, ბადე სასტუმალსა, ქვაბი საფერხელსა, საჩეჩელი გვერდსა. უშველე ღმერთო და მოეხმარე“. ლოცვა მეორდება სამჯერ. შელოცვის შემდეგ დანას ბალიშის ქვეშ ამოუდებენ მშობიარეს. თუ ახალდაბადებულე ვაჟია, ამყვანი მაშინვე მახარობელს აფრენს ვაჟის მამასთან, რომელიც მახარობელს ასაჩუქრებს. ვაჟის შეძენა აჭარელის ოჯახში დიდ სიხარულს იწვევს, განსაკუთრებით, როდესაც იგი პირმშოა ან ორი ან სამი ქალის შემდეგ რომ შეეძინებათ.

დაიბადა თუ არა ბავშვი, მაშინვე მოსჭრიან ჭიპს და ამ უკანასკნელს

ბუდესთან ერთად მიწაში ჩაფლავენ. მაგრამ ბავშვი თუ „უკუმკვდარია“ – სულშეგუბებული, მაშინ ბავშვის მოსულიერიბას დაუცდიან და ჭიპს შემდეგ მოსჭრიან. ვაჟის. ჭიპს „ხამაილი ყაბში“ – საფულეში ჩადებენ, რომ მას ბედი ჰქონდეს და ფული არ გამოელიოს, ქალის ჭიპს კი „ახორში“ ინახავენ, რადგანაც, ხალხის რწმენით, ქალს ჭიპი საქონელზე ექნება მოჭრილი და მას საქონელი ეყვარებაო.

მელოგინე რომ მორჩება, ამყვანმა მას ბადე უნდა გადააფაროს. თუ ბადე საკუთარია, დიდხანს აქვს გადაფარებული, თუ არა და ოცდაოთხი საათი მაინც უნდა იყოს მელოგინე ბადის ქვეშ, რათა მავნე სულებმა და ეშმაკებმა არ ავნონ.

ავი თვალის საწინააღმდეგოდ მელოგინის ტახტზე დარკალულ ეკალს ჩამოკიდებენ, ზოგან კი ასკილის ტოტს. სასთუმალის ქვეშ კი ალისყურს ამოუდებენ.

მელოგინეს სანახავად და მოსალოცად მეორე დღესვე დაიწყება სტუმრების მიმოსვლა. ქალები მელოგინესთან შესვლამდის კაბას და წინსაფარს ცეცხლზე დაიბერტყავენ და მელოგინესაგან მოშორებით სხდებიან, რომ არ მოჰყვეთ „უჟმური თვალ-უჩინარი“. სანახავად მოსულ სტუმრებს უმასპინძლდებიან მხოლოდ პურის ფქვილის ფაფით და დამწვარი ერბოთი.
#8#

ამყვანი მელოგინეს ერთი კვირის განმავლობაში ემსახურება; ამყვანს გასამრჯელოში ეძლევა: ერთი ან ორი საპონი, ერთი კარტოფილის სანთელი, რამდენიმე ცალი ასანთი და დაახლოვებით: 20 მანეთი ფულად.

ერთი კვირის შემდეგ მელოგინე დგება; ის მარჯვენა ხელში წალდს ან დანას დაიჯერს, მარცხენაში მუგუზალს, თავის თმას პირში ჩაიდებს, ალისყურსა და ბადეს წელზე ჩამოიკიდებს და გარეთ ისე გამოვა. მელოგინე 40 დღეს უწმინდურად ითვლება და მას არ შეუძლია მეზობლისას მისვლა, ბოსტანში გავლა და ქმართან ურთიერთობა, ამ ხნის განმავლობაში მას აკრძალული აქვს საჭმლის დამზადებაც,

ხულოს რაიონში მელოგინე შვიდი დღე ტანდაუბანელია და მას შვიდი დღის განმავლობაში წყალსაც არ ასმევენ; რომ არ გაფუჭდესო. შვიდი დღის შემდეგ „ებეჲ“ მელოგინეს ტანს დაბანს, ჩააცმევს და ცეცხლის პი-
#9#
რას დასვამს. ორმოცი დღის განმავლობაში ის ოჯახში უმუშევარია, არაფერს აკეთებს და ვერც ოჯახიდან გავა.

ზემო აჭარაში მელოგინე. ქალი განმარტოებული უწევთ და მასთან მხოლოდ „ებეჲს“, ქმარსა და დედამთილს შეუძლია შესვლა, სხვები კი ორ-

მოცი დღის განმავლობაში მშობიარესთან ვერ შევლენ, რადგანაც ხალ-
ხის ცრუმორწმუნეობით, ბაღვი „ბასხუნი“ იქნებაო. ფეხზე ვერ დადგე-
ბა და წელს ვერ გაიმაგრებს, ორმოც დღემდის მელოგინესთას ქათამიც.
რომ შევიდეს, მას მაშინვე დაიჭერენ და ბაღვს ქათამზე ფეხს დაად-
გმევინებენ.

ახალდაბადებულ ბავშვს პირველად „ხოჩიჩში“ აწვენენ; რომელსაც
უმთავრესად ცაცხვის ქერქისაგან ამზადებენ. ხოჩიჩი ნავის ფორმისაა და
იმით ბავშვს მელოგინეს ლოგინში უდგამენ. ორი კვირის შემდეგ კი ბავშვს
აწვენენ აკვანში, რომელიც გამართულია: არტახებით, შიბაქით, ჩალახე-
შითა და საბან-საგებით. ავი თვალის საწინააღმდეგოდ აკვანზე ჰკიდებენ:
#10#
სათვალე კაკას, პაწია წალდს, ფერად მძივებს, აბოს კბილს, ნიორს, კო-
შის თესლს (მწარე გოგრა), ქათმის ფრთას, ზოგჯერ ბადესაც გადააფა-
რებენ და სხვა.

საბავშო ავადმყოფობიდან აჭარაში გავრცელებულია უფრო მუცლის
ტკივილი, რომლის. წინააღმდეგ აქ სხვადასხვა საშუალებას მიჰმართავენ.
უმეტეს შემთვევაში ასე წამლობენ: თოფის წამალს დედის რძეში გალე-
სავენ და ავადმყოფ ბავშვს შეასმევენ.

მელოგინეს ორმოცი დღის განმავლობაში მამლის ხორცს არ აჭმევენ,
რათა ბალღს სანაშენო არ გაუსივდეს.

მელოგინე არც პირუტყვის ხორცს ჯამს, რადგანაც, ხალხის რწმენით
ბავშვზე ეს ცუდ ზეგავლენას ახდენს თუ ქალია მსუბუქი ყოფაქცევის გა-
მოვა და თუ ვაჟია – ქალების მოყვარული და მოარშიყე იქნებაო. მელო-
გინეს არც მჟავე, მწარე და მწვანილი ეჭმევა: „ბაღანას თვალში წამოუდ-
გება და ასტკივდება“. ბავშვს ჭიპში წყალი თუ ჩაუდგა, საკმელსა და ძირ-
თეთრას დანაყავენ და ჭიპზე დაადებენ. აგრეთვე აიღებენ მარილს, შეუ-
ლოცავენ, შემდეგ მრავალძარღვას ძირში ჩადებენ და იტყვიან: „როგორც
იგი დნებოდეს, ჭიპში წყალი შრებოდეს“-ო.

ზემო-აჭარაში საბავშო სენს – „სამარტვილოს“ თრიმლის გამხმარ
ფოთლით მკურნალობენ. შეიძლება სამარტვილომ ბავშვს კისერში წაუ-
ჭიროს და „მატავრა"“-დ იქცეს. მატავრა კი ბავშვებს ხშირად ხოცავს;
მატავრას არჩენს „მატავრა მძივი“.

ბავშვს ემართება აგრეთვე „წმინდანი“. ის განსაკუთრებით მაშინ შეეყ-
რება, როდესაც ბავშვს ღია კარებში ბანენ, ჰაერი დაგრილავს და ის
„წმინდანად“ იქცევაო. „წმინდანს“, ხალხის რწმენით, წამლობა არ შვე-
ლის, მხოლოდ შელოცვა არჩენს. ბავშვს თუ ჭია აწუხებს, მას ჯერ ხორა-

სანს ასმევენ; შემდეგ „ჭიას აჭრიან“; ეს ასე ხდება: ცხვრის განავალს წყალში გახსნიან და მას სამართებლით ან დანით ბავშვს: მუცელზე წაუსვამენ და თან მეულოცავენ: „ჭია, ჭიავ, თავ ამოყე, დედო ჭიავ, თავი ჩაყე“. ხალხის რწმენით, ცხვრის განავლის წასმისას ჭიები ხორცს მოაწებიან და თავებს გამოყოფენო, სამართებელი კი მათ თავებს დააყრევინებთო, მაგრამ დედა ჭია არ უნდა მოკვდეს, თორემ ბავშვიც მოკვდებაო.

ბავშვს თუ უჟმური აჰყვა და ავად გახდა, მაშინ მოაგროვებენ სხვადასხვა ფოთლებსა და ბალახებს, ქვაბში მოხარშავენ და მის ორთქლს ავადმყოფს უხრჩოლებენ, აგრეთვე ამ ბალახების ნახარში წყლით ტანსაც დაბანენ. ორთქლის შეხრჩოლებისას ასე ულოცავენ: „სახელითა ხთითა, მამითა ძითა, სულითა წმინდითა. ლოცვა უჟმურის თვალუჩინარის. უჟმურო გამოდი გამეშორე. შორს წადი, სადაც არ იყურებოდეს ძაღლის ყეფა კაცის უპუი (ყიჟინა), მამლის ყივილი; იქ გასუმენ, იქ. გაჭუმენ, იქ გაპატივებენ, გამოდი, უჟმურო, გამეშორე, თუ არა აგჭრი. ანითა –მანითა, შავტარიანი დანითა, გრძელტარიანი წალდითა, გაგიტან ცხრა მთას იქით,
#11#
ჩაგყრი რვალისა ქოთანში, გადუღებ და გაფოფინებ, გაგადენ წყალსავეთ, გაგაქროფ ქარსავეთ“.

ზოგჯერ, ხალხის თქმით უჟმური გადაიქცევა გოჟოდ, რომელიც ავადმყოფ ბავშვს ხელ-ფეხს მოუქცევს, თავს გაუზრდის, კისერს დაუწვრილებს ფეხებს „მოუსხრეკს“ და მუცელს გაუსივებს. გოჟოთი დაავადებულ ბავშვს ასე სწამლობენ: მოაქვთ შვიდი წისქვილის ბორბლიდან ამოღებული წყალი, შვიდ ბაღჩაში მოკოეფილი ფოთლები, შვიდი წყაროს წყალი და შვიდი ტყის ბალახის ფოთლები. ამ წყალში მოხარშავენ ყველა მოგროვილ ბალახსა და იმის ორთქლს ავადმყოფ ბავშვს უხრჩოლებენ. წყალი რომ გაგრილდება, ბავშს დაბანენ და შემდეგ მოხარშულ ბალახში ჩააწვენენ.

ამის შემდეგ, კერიდან საკიდელს ჩამოხსნიან და მას ცეცხლზე გაახურებენ. გავარვარებულ საკიდლის ჯაჭვს რკალად, შეკრავენ და ამ რკალში
#12#
გოჟოიან ბავშვს სამჯერ გაატარებენ. ამ მოქმედების დროს გახურებული ჯაჭვი ორ კაცს უჭირავს ხის კავებით, ორი ადამიანი ჯაჭვის წინა და უკან დადგება და გოჟოიან ბავშვს ჯაჭვის რკალიდან ერთიმეორეს გადასცემენ. შემდეგ გახურებულ ჯაჭვს მიწაზე დებენ, შუაში გოჟოიან ბავშვს ჩააყენებენ, ჯაჭვს წყალს დაასხამენ და ანადენ ორთქლს ავადმყოფს უხრჩოლებენ.

ამის შემდეგ იწყება გოჟოს „აჭრა“, რისთვისაც ბავშვს კიბეზე შეაყე-

ნებენ, როცა ბავშვი კიბის მეშვიდე საფეხურზე შეადგაზს ფეხს – შეულო-
ცავენ. შემლოცავს ხელში დანა უჭირავს, კიბის საფეხურებს ამ დანით ჩე-
ხავს და ულოცავს: „სახელითა ხთითა, მამითა ძითა, სულითა წმინდითა
ლოცვა გოჟოჲსა.

„გოჟოვ, გოჟოველავ, ღანკავ, ღანკიელავ, არხალაკო, მარხალაკო, პაწაჲ
ბიჭის (ან გოგოს – ახსენებენ ავადმყოფის სახელს) ფათარაკო. ალი მონა-
#13#
დირობდა, მული მოლას (ცდილობდა, ის რომ რკინას ჭამდა, როგოს ხრი-
და ქვიშასა. დამბადებელმა გაუწყრა, გეჲპარა გოჟო დილასა“.

გოჟოს გამოლოცვა მთვარის ცხრომაზე იციან, – სამშაბათს, ხუთშაბათ-
სა და შაბათ დღეს. ახალ მთვარეზე კი შელოცვა არ შეიძლება, რადგა-
ნაც ახალი მთვარე იზრდება და გოჟოც გაიზრდებაო, ცხრომაზე კი მთვა-
რეც ილევა და გოჟოც ილევაო.

ბავშვისათვის სახელის შერჩევის დროს უპირატესობა დედ-მამას ეძლე-
ვა. ხშირად ბავშვს ცნობელი წინაპრის სახელს არქმევენ, სახელის არჩევის
დროს მთვარესაც აქვს მნიშვნელობა, რადგან წლის თვეებსაც აჭარლები
მთვარით ანგარიშობენ. არსებობს, მაგალითად, შებანის მთვარე, რეჯების
მთვარე, რამაზნის მთვარე და სხვა. ბავშვი თუ პირველ მთვარეზე დაიბა-
#14#
და შებანს არქმევენ, თუ მეორეზე – რეჯებს, ხოლო რამაზანში დაბადე-
ბულს – რამიზს.

მშობლები ბავშვს ერთი წლის განმავლობაში უცხოს არ აჩვენებენ,
თვალი არ ეცესო და არც მიწაზე დასვამენ, რომ „უჟმური“ არ აჰყვესო.

„სუნნეთ დუგუნი“

ბავშვი რომ ერთი წლის გახდება, მშობლები შეუდგებიან მის „დასუნათ-
ვის“ (წინადაცვეთის) თადარიგს და კარგი „ქირვა“-ს (მამობილის) არჩევას.

აჭარისტანში ბავშვის „დასუნათვა“ უმთავრესად ერთი წლიდან შვიდ
წლამდის ხდება. გამონაკლის შემთხვევებში „დასუნათვა“ 13-წლამდისაც შე-
იძლება.

„მესუნათეები“, რომლებიც ამ წინადაცვეთის ოპერაციას აწარმოებენ,
უფრო ქვედა-აჭარიდან და შავშეთიდან არიან, „მესუნათე“ „დასუნათვის“
დროს ხმარობს: „უსტურა“-ს (სამართებელი) და ჩქიფს. წამლად ხმარო-
ბენ მუხის რკოს, რომელსაც სხვა წამლებშიც ურევენ. სისხლის შესაჩე-

რებლად კი – ლეღვის ფოთლიდან დამზადებულ ფხვნილს.

ერთ „სუნნეთ დუგუნზე“ რამდენიმე ბავშვის წინადაცვეთაც შეიძლება და იმართება პატარა ქორწილის მსგავსი წვეულება, პატიჟებენ ნათესავ-მოკეთეებს, იწვევენ ზურნასა და მომღერლებს, ბავშვის მამობილს მოაქვს ტკბილეული. როდესაც რამდენიმე ბავშვი ერთად „ისუნათება“, მათი მა-
#15#
მობილები ერთმანეთს ეჯიბრებიან ტკბილეულის მოტანამი, სამაგიეროდ ისინი თავიანთ შვილობილებს აქეზებენ, თუ რომელი მათგანი უფრო ყო-ჩაღად მოიქცევა „დასუნაფვის“ მომენტში.

„დასასუნათავ“ ბავშვს წინ თეთრ ქსოვილს ააფარებენ, რათა მან ვერ იხილოს დაცვეთის პროცესი. ბავშს მამობილი ხელით მაგრა დაიჭერს და „მესუნათე“ წინსაფრის ქვეშ წინადაცვეთას შეუდგება. ამ დროს დოლსა და ზურნას უკრავენ, ერთი ჯგუფი მღერის, ზოგი თოფს ისვრის, ცეკვავს და სხვა. ამით სურთ ბავშვის ყურადღება მიიქციონ, რათა მან წინადაცვე-თის ტკივილი ნაკლებად იგრძნოს. ბოლოს, წინადაცვეთილი ბავშვი აკან-კალებული ხმით დაიყვირებს და ამით აცნობებს ხალხს, რომ ის უკვე წინ-დაცვეთილია.

„დასუნათებული“ ბავშვი სამ დღეში იკურნება და ლოგინიდან დგება, მამობილი მას შეძლებისდაგვარად ასაჩუქრებს: შეძლებულ მამობილს სა-
#16#
ჩუქრად მოჰყავს შვილობილისათვის შეკაზმული ცხენი, კამეჩი ან ძროხა და სხვ. სამაგიეროდ შვილობილმა დაცვეთის შემდეგ მამობილს ძღვნად უნდა მიართვას: ყოჩი, ხაჭაპურები, ქადები და ტკბილეული.

ვაჟი რომ 14-15 წლის გახდება, მას „მანიდში“ ე, ი. ნადში დაპა-ტიჟებენ და ამ დროიდან ის მამაკაცების საზოგადოებაში ერევა და „დელი-ყანდად“ ითვლება.

რაც შეეხება ქალს, მისი დაბადება უფრო დედას გაუხარდება ხოლმე; ეს უკანასკნელი მასში ხედავს დამხმარეს საოჯახო სამმეში. ქალი რომ წამოიზრდება, მამა ნაღვლიანად იტყვის: „ოჯახში სარჩენი მომემატაო. აჭარაში ქალის მონათვლა არ იციან და 7-8 წლამდის ქალი თავს ლა-ღად გრძნობს: დახტის, თამაშობს თავის ტოლ გოგო-ბიჭებში და ოჯახ-შიაც საქმობს, მაგრამ შეუსრულდება თუ არა 8 წელი, მას ფრთები შეეკ-ვეცება. ამ დღიდან ის ვალდებულია ჯამეში იაროს ხოჯასთან და „ულუ-მი დინი“ (საღმრთო რჯული) ისწავლოს, 13 წლის ქალს ჩადრს ააფარე-ბენ და ამიერიდან მას ეკრძალება მამაკაცს უჩადროდ ეჩვენოს, ამგვარად ასაკში ჩამდგარი აჭარელი ქალი ჩადრით იბურება, მარხულობს და ლო-

ცულობს, მშობლები მას სოფელში გასვლის უფლებას არ აძლევენ, ზოგ-ჯერ თუ ნათესავებში გაგზავნიან, ჩვეულებრივად კი გასათხოვარი ქალი ოჯახშია ჩაკეტილი, რადგანაც მშობლებს ეშინიათ ვაი თუ ის ვინმე ვაჟს გამოელაპარაკოს და საქვეყნოდ თავი მოგვჭრასო.

#17#

გასათხოვარი ქალი გართობაში ნაკლებად იღებს მონაწილეობას; მშობ-ლები მას ქორწილში ან სხვა შეკრებულობაში იშვიათად უშვებენ. ქალ-ვაჟს უშუალოდ ერთმანეთის დანახვა არ შეუძლიათ. ეს უნამოსობაში ჩა-მოერთმევა მათ. ვაჟს უშუალოდ საცოლეს ნახვა არ შეუძლია; ეს მან უნ-და მოახერხოს ჩუმად, მაჭანკლის დახმარებით, ვაჟი სადმე დანიშნულ ად-გილზე მიიმალება, მაჭანკალი ქალს იქ ისე გაატარებს, რომ ვაჟს საშუა-ლება ეძლევა თავისი საცოლე დაინახოს, რა თქმა უნდა, ეს ხდება საიდუმ-ლოდ, და ამის შესახებ არც ქალმა და არც მისმა დედ-მამამ არაფერი არ იციან. საქმროს არჩევის დროს გასათხოვარი ქალის ნება-სურვილს არავი-თარი ანგარიში არ ეწევა; მისი ბედი მთლიანად მშობლების ხელშია.

საზოგადოდ ქალ-ვაჟის დაქორწინების საქმე, ძველი აჭარული ადათით, მხოლოდ მშობლებს ეკითხება და მათ შორის ხშირად ასეთი საუბარი იმართება:

– შენ, კაცო, გუშინ ფაშა ბატონმა (მულმა) მითხრა, რომე ჩვენ სოფელში ზაბითაღა კომახიძეს კაი გოგო ხავსო, სამი ყათი (წყობა, ჯეიზი (მზითევი) ხაზირი აქო, კარქი ოჯახია და ჩვენი ნურიეჲზა ვითხვოთ ი ქალი.

– მემრე შენ რა უთხარი, ქალო?

– რა უთხარი და შენ ძმას ვკითხავ მეთქინ;

– ვნახოთ. ერთი კარქათ გევკითხავ და მემრე ემინეჲ გავგზანოთ „მურავათ“ მაჭანკლად).

ვაჟის მამამ, შებანმა, მაჭანკლად გაგზავნა ემინე, რომელმაც ზაბითა-ღასთან საქმე მოაგვარა და – სანიშნო ბეჭედი და საყურე გადასცა.

ამის შემდეგ შებანმა ნურისთან ასეთი საუბარი გამართა: :

– ნურიავ, ზაბითაღა კომახიძის ბიჭებს თუ იცნობ, რაფერია?

– რა უჭირს, კაი ბიჭებია.

#18#

– იცი ნურიავ, შენ დაგასახლე (დაგაქორწილე) იმათ ქალზე.

ვაჟმა მშობლების ეს გადაწყვეტილება უსიტყვოდ უნდა მიიღოს; და-ნიშნული ქალიც ყველას ერიდება, მორცხვობს და იმალება, განსაკუთრე-ბით მაშინ, როდესაც ოჯახში მის საქმროზე გაიმართება საუბარი.

ქორწილი

ქორწილი უთუოდ კვირას ან ხუთშაბათს უნდა გადაიხადონ. სხვა დღეებში, აჭარლების წარმოდგენით, ქორწილი შეუძლებელია; ქორწილისათვის სტუმრებს ერთი ან ორი კვირით ადრე დაპატიჟებენ. ქორწილის მოწყობის საქმეში უპირატესობა დედოფლის მშობლებს ეძლევა და თუ ისინი თავის თავს ნებას მისცემენ, რაც არ უნდა მოითხოვონ, სასიძო ვალდებულია ყველაფერი შეუსრულოს,

ხშირად დედოფლის მშობლები სასიძოს მოსთხოვენ საქორწილო ხარჯის გაღებას, საკლავსა და ზუონას. სასიძო იძულებულია შეასრულოს მათი მოთხოვნილება.

აჭარისტანში ქორწილი ორი დღე გრძელდება, შაბათ დილიდანვე ქალის ოჯახში მექორწილე სტუმრები იწყებენ მოსვლას და შაბათ საღამოს აქ იმართება დიდი ვახშამი.

კვირა დილით სიძის მაყარი მოდის დედოფლის წასაყვანად, მაყარს ერთი ან ორი დადე – ქალი ახლავს. დადედ მიყვება სიძეს და, დეიდა, მამიდა და ან „აბლა“ (ბიცოლა). დადე სასიძოს მხრივ დედოფლის პირველი მნახველია, მაყრის მოსვლისას იმღერებენ მაყრულს, რომელშიაც რვა მომღერალი იღებს მონაწილეობას: ორი მთქმელი, ერთი მომძახნელი, ერთი „გამყივანე“ მოკრიმანჭულე, სიმღერა გადაბმულია.

მაყრულში განსაკუთრებულ ლექსებს არ მღერიან, შაირობენ სხვადასხვა მოკლე ლექსებით. მაყრულის გათავების შემდეგ დადეს დედოფლის ოჯახში შეიყვანენ, მაგრამ დედოფალს მაშინვე არ აჩვენებენ. მაყარი ცოტათი რომ შეისვენებს, მედოლე სახლის კარებთან შეხვედრის ჰიმნს დაუკრავს და დედოფალს დადესთან მაშინ შეიყვანენ. დედოფალს თავზე ლეჩაქი (ფატა) ხურავს და სახეზედაც მარჯვენა ხელი აქვს აფარებული. დადე დედოფალს ტკბილეულსა და ვერცხლის ფულებს თავზე გადააყრის, მომყვანსაც 5-10 მანეთამდის დაასაჩუქრებს. სასიძოს ნათესავებმა, მაყარმა, და დადემ არ იციან თუ როგორია დედოფალი, ამიტომ აღელვებული დადე მაშინვე მივარდება და დედოფალს პირზე ლეჩაქს ჩამოხდის და ეს მღელვარება სიხარულით ან წყენით შეიცვლება. დაათვალიერებს თუ არა დადე დედოფალს, ეს უკანასკნელი ისევ უკან მიყავთ, იქ დედოფალს უცდის საკუთარი დადე, რომელიც მას კაზმავს და უვლის. აქ დედოფალი ლეჩაქს (ფატას) მოიხდის და წაყვანამდის აღარ დაიხურავს, საქორწილო

ლეჩაქი სირმითა და ოქრომკედით არის მორთული.
#19#

მაყრებს სადილზე მოიწვევენ. ორი კაცი მათ ხელს „დააშვენებიებს“ (დაბანს), და შერბეთს ჩამოურიგებენ. შერბეთი წყლისა და თაფლისაგან (ან შაქრისაგან) მზადდება. სტუმრებს მიართმევენ აგრეთვე „მაჯუნს“, რომელსაც ბრინჯისა და თაფლისაგან ამზადებენ. ამას მოჰყვება ტკბილეული. როცა შერბეთსა და მაჯუნს ყველას ჩამოურიგებენ, შერბეთის მწდე ერთ დიდ ჭიქას შერბეთით გაავსებს, მაყრებში ამოარჩევს ყველაზე თვალსაჩინო პირს და ამ ჭიქას მას დაუდგამს წინ. ჭიქაზე მერდინია გადაფარებული და მან ეს ჭიქა უნდა გამოიყიდოს („დაიხსნას“), ჭიქის პატრონი შერბეთს შესვამს და ჭიქაში 3-5 მანეთს, ჩააგდებს, მერდინს კი თვითონ წაიღებს.

ასეთივე წესით აწვდიან შერბეთიან ჭიქას დადეს და ისიც საჩუქარს, გაიღებს.

მაყრები თუ შორიდან არიან, სუფრიდან მალე აიშლებიან, რის შემდეგ სუფრაზე მეორე ოთახში მოიწვევენ ქალებს, რომლებსაც იმავე სასმელებითა და ტკბილეულობით უმასპინძლდებიან. ამდროს რამდენიმე მოხუცი, დაახლოვებით სამი კაცი სიძისა და სამიც დედოფლის მხრიდან ხოჯის თანხლებით განცალკევდებიან. ეზოში ჭილობს გაშლიან და დასხდებიან, აქ იწყება „აღდის“ გაკვეთა ე. ი. ამ ორ დამოყვრებულ ოჯახს შო-
#20#
რის წერილობითი პირობა უნდა დაიდვას. ეს პირები თავიანთ შორის ორ კაცს ვექილად გამოჰყოფენ, და ერთს ნეფისა ერთს დედოფლის მხრიდან სხვები კი მოწმეებია. პირველი სიტყვა დედოფლის ვექილს ეკუთვნის. დაიწყობა ბჭობა იმის შესახებ, თუ რამდენი უნდა იყოს აღდში ჯარიმა გათვალისწინებული. სიძის მიერ დედოფლის დაწუნების შემთხვევაში, დედოფლის მხარე აღდის გამოანგარიშებას „შეჯამებული“ თანხიდან იწყებს, მაგალითად ათას მანეთ ოქროდან; ნეფის მხარე კი იწყებს ასი მანეთიდან, მაგრამ მათ შორის ჯარიმის რაოდენობის დამდგენი და გადამწყვეტი მაინც ხოჯაა. ვთქვათ, ჯარიმა 50 მ. განსაზღვრეს. მაშინ ამაზე ხოჯა შეადგენს პირობის ქაღალდს, რომელსაც „ნიქახი“ ეწოდება.

ხოჯის მიერ დაწერილ „ნიქახზე“ ორივე მხარე აწერს ხელს და შემდეგ მას შესანახად დედოფლის მშობლებს გადასცემენ.

ამის შემდეგ „აღდი“ უკვე გაკვეთილია და თუ ქალს „ჯეიზი“ (მზითევი) აქვს, იმასაც აწერენ, ურემზე დაუდებეს და ნეფის სახლში გაგზავნიან; ამასთანავე დედოფალსაც წასაყვანად მოამზადებენ. წითელი ფერის ქსო-

ვილისაგან ხოჯა „დუაღს“ შეკერავს და წაყვანის წინ დედოფალს თავზე გადმოახურავენ. მაგრამ რათა „დუაღი“ თავხე კარგად დაადგეს, დედოფალს თავზე მუყაოსაგან გაკეთებულ წოწოლა ქუდს დაახურავენ და ზედ „დუაღს“ წამოასხამენ. ახალგაზრდები ოჯახში მხიარულობენ, მღერიან და ცეკვავენ: ხორონს, ბაღდათურს, ყოლსამას, ყარა-ბაღს და სხვას. მაყრები ერთმაზეთს თოფის სროლაში ეჯიბრებიან.

დადე დედოფალთან იმყოფება და როცა დედოფალს ფეხსაცმელს მოუტანენ, დადემ ფეხსაცმელში ფული უნდა ჩააგდოს და ეს მომტანის საჩუქარია; პატარძლის მორთვას რომ მორჩებიან, დადე დოლსა და ზურნას დაუძახებს; დამკვრელები ქალების ოთახში შევლენ და იქ იმართება ცეკვა-თამაში, შემდეგ სიმღერით გარეთ გამოდიან; პირველად სიძის დადე გამოვა, ამ დროს დედოფლის ნათესავებიდან ერთი ვინმე კარს მოულოდნელად ჩაკეტავს და ვიდრე სიძის მაყრიდან საჩუქარს არ მიიღებს, კარს არ გააღებს.

დედოფალი ქალებს გამოყავთ და ცხენზე შესაჯდომად ამზადებენ; უკრავენ გამოსამშვიდობელ ჰიმნს. ცხენზე შეჯდომისას დედოფალს ფარდაგს შემოაფარებენ, რომ ის ამ დროს არვინ დაინახოს. დედოფალი მშობლებს თვალცრემლიანი ეთხოვება და თავისი დადის თანხლებით ნეფისას გაემგზავრება. გზაში დედოფალი ორ ხელის მომკიდეს მიყავს, რომ დუაღჩამოფარებული დედოფალი გზაში ცხენიდან არ გადმოვარდეს.

ნეფის სახლს მიუახლოვდებიან თუ არა მაყრიანი მაყრულს წამოიწყებს. სახლში მოსვლისას, ცოტა მოშორებით დადგებიან და გზას გამართავენ, სახლიდან სიძე უნდა გამოვიდეს და ამ გზით მივიდეს დედოფალთან.

მაგრამ ნეფის სახლიდან ჯერ ვინმე მოხუცი გამოვა და სტუმრებს მოიწვევს:

#21#

– მობრძანდით, ბუჲრუმს. პაწაჲ მეჲწიეთ, ნამეტარი შორაა დედოფალი.

ამაზე მაყრიონიდან ვინმე უპასუხებს:

– აქიდან ფეხს არ წავდგამ წინ, აფერი შორ არაა?

– გთხოვთ, პაწაი მეჲწიეთ.

– რიზა, პაწაჲ გამეჲწი, მეც დევნახო სიძე!

– რათ გინდა, არ იცნოფ თუ?

– რავა არ ვიცნოფ!

– მაშ რა გინდა?

– რა მინდა და ერთი დევნახო, რაფერია ნეფჲობაში?

ჩოჩქოლი მიწყნარდება. ერთი რომელიმე მოხუცი, სიძეს წინ გამოუძღვე-ბა და დედოფლისაკენ წამოვლენ.

– აბა, მოწით-მეჲწიეთ, სიძე მუა მაშალლა (ჯვარი სწერია) უთ-ხარით!

ყველანი იძახიან: „მაშალლა, მაშალლა“...

– რას ერჩი, ძიავ, კაჲ სიძე გვყოლია.

– მაგიერში დედოფალსაც კას გაძლევთ, – ისმის პასუხი.

სიძე მიუახლოვდება. დედოფალს, ჯიბიდან ვერცხლის ფულებს ამოი-ღებს და თავზე გადააყრის, აქ დედოფალი ლეჩაქის ქვეშ პირველად მოჰ-კრავს თვალს თავის ნეფეს. ნეფე. კი ამას მოკლებულია, რადგანაც დედო-ფალს პირი „დუაღით“ აქეს დაფარული. ამის შემდეგ ნეფე უკან მარტო ბრუნდება და თუ მორცხვია გაიქცევა ხოლმე.

ახლა მაყარი შესაწევარ „ყურბანს“ მოითხოვს:

„იმფერი ღელჲები გამევიარეთ, რუმე ერთი ყურბანი დედოფალზე „ფარძია“ – აუცილებელიაო.

ნეფის ოჯახი მაყარს მოუყვანს ხარს, ძროხას ან ცხვარს.
მაყარი მას დედოფლის გარშემო სამჯერ შემოატარებს, შემდეგ ყურბანს დაკლავენ ან გაუშვებენ. ამას შემდეგ დადე დედოფალს სახლის კარებთან მიიყვანს და სანამ დეფოფალი სახლში მარჯვენა ფეხს შედგამს, კარებთან გაჩერდება ორი კაცი ხმლებით, ხმლის წვერებს მაღლა ერთმანეთს გადაა-დობენ და ქვეშ დედოფალს გაატარებენ; შემდეგ კი ამავე ხმლებით კარის თავს დაჩეხენ. ხალხის რწმენით, დედოფალს ახალ ოჯახში ბოროტი და მავნე სულები რომ არ შეჰყვენ, საჭიროა მათი ხმლებით დაფრთხობა და გარეკაო.

დედოფლისათვის ოთახში გამართულია დასაჯდომი ტახტი. მასზე დე-დოფალს დასვამენ და მას გვერდში დადე მოუჯდება. მაყრებისა და სტუმ-რების ვახშმის დასრულებამდის დედოფალი დუაღჩამოფარებული ზის: ნა-ვახშმევს კი პირის ამხდელს მოიწვევენ. პირისამხდელი დედოფლის ძმა უნ-და იყოს. თუ ძმა არა ჰყავს, მაშინ დედოფლის ბიძაშვილს შეუძლია პი-რის ახდა. პირისამხდელის მოსვლამდის, დედოფალს წინ პატარა სუფრას „ფეშჰუმს“ დაუდგამენ, რომელზედაც „სინი“ არის მოთავსებული, „სინზე“ აწ-
#22#
ყვია ხაჭაპურები და მოხარშული ქათამი. შემოდის პირისამხდელი და ხან-ჯლის წვერით დუაღს სამჯერ ცოტათი აწევს, შემდეგ ის ხანჯალს სინაზე დაჰკრავს, ქათაზსა და ხაჭაპურებს ხანჯალზე ააგებს და გარეთ გავარდება.

პირისახდის შემდეგ, დედოფალს დუაღს მოხდიან და გამჭვირეალე ქსო-

ვილს ჩამოაფარებენ დედოფალი მორცხვობს და პირსახეს ხელით იფა-
რავს.

პირისახდის შემდეგ იწყება დედოფლის ნახვა, როცა დედოფლის მნახვე-
ლები მოგროვდებიან, დადე დროგამოშვებით დედოფალს პირსახეს ახდის.
დედოფალი თვალებდახურული დგას, სანამ დადე მას პირზე ხელის აფარე-
ბის ნებას არ მისცემს. ქმრის ნათესავების ოთახში შემოსვლისას, დედოფა-
ლი ფეხზე უნდა ადგეს. ოთხი წლის მაზლიც რომ შევიდეს დედოფალთან,
დადე დედოფალს იმ წამსვე ფეხზე წამოაყენებს და სანამ ის არ გავა, დე-
დოფალი ვერ დაჯდება.
#23#

მაყრიონი ღამეს ათენებს. შუაღამისას „ფეშჰუმს“ გაშლიან და ნეფეს
მოითხოვენ. ნეფე მოხუცთა თანხლებით ფეშჰუმზე მივა, მიესალმება მაყ-
რიონს, შემდეგ მოხუცი და ნეფე მათ. „თემენა“-ს (ხელების გაშლით მისალმება)
გადაუხდიან. გათენებისას გაიმართება თოფების სროლა და ცეკვა-თამაში.
ამავე დროს ნეფეს მიიყვანენ დადესთან, რომელიც ნეფეს პირველად
ნახულობს, დადე კი ნეფეს დედოფალთან მიიყვანს და მის სახეს აჩვენებს.

ამისათვის ნეფემ დადეს 10-15 მანეთი უნდა აჩუქოს.

ინათებს თუ არა, მაყრიონი ეზოში გამოვა და გამოითხოვს დადეს,
რომელიც „გევეზობის“ მოწყობის თადარიგს იძლევა. ჩქარა „გევეზობაც“
გაიმართება და ნეფის ოჯახში შეიქმნება ერთი ორომტრიალი: მაყრები
თოფებით ხის ტოტებს ამტვრევენ, აქცევენ ღობეს, ჩამოაგდებენ ჭიშკარს
#24#
ხოცავენ ქათმებს და სხვა. ამით ქორწილი თავდება. და შეზარხოშებული:
მაყრიონი მასპინძელს ემშვიდობება და მიდის.

ორშაბათს ნეფის ოჯახში მრავალი მნახველი და მომლოცავი მოდის.
ნეფე სტუმრებს ერიდება და გაურბის. ნეფე- დედოფალს იმავე ღამეს ერ-
თად აწვენენ, მაგრამ გათენდება თუ არა, ორივე ერთმანეთს შორდებიან
და თითქმის ერთ თვემდის დღე ერთმანეთს არ ეჩვენებიან და ხმასაც არ
სცემენ.

ნათესავებს პატარძალთა5 ან, როგორც აჭარლები უწოდებენ, „გელინ-
თან“ საჩუქრები მიაქვთ და ულოცავენ გაბედნიერებას. თუ მნახველთა
შორის მოხუცია, პატარძალი ვალდებულია მას ხელზე აკოცოს.

გაივლის ერთი ან ორი კვირა და პატარძლის სანახავად მისი მშობლე-
ბი მოვლენ და „სადილს“ მოუტანენ. სადილი შედგება სხვადასხვა ნამცხ-
ვრისა და ტკბილეულისაგან. სუფრას გაშლიან, სტუმრებს მოიწვევენ და
პატარა ნადიმს გადაიხდიან.

შემდეგ კვირაში „გელინი“ მშობლებთან მიყავთ, სადაც, ის ერთ კვირას რჩება, პატარძლის წამოსაყვანად მიდის სიძე ათიოდე კაცის თანხლებით. სიძე ვალდებულია ცოლის დედმამას მისალოცი „ბახჩიში“ მიუტანოს, მისალოცის რაოდენობა სიძის შეძლებაზეა დამოკიდებული. პატარძლის ოჯახი სიძეს მხიარულად ხვდება და პატარა ნადიმსაც იხდის.

#25#

წინათ აჭარისტანში თუ წვეულება პქონდათ ქორწილში ძღვნის მიტანა იცოდენ. მიჰქონდათ: ნამცხვრები, ქათმები, ბრინჯი, ყველი და სხვა, რაც დიდ ხარჯს იწვევდა. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ხალხმა ძღვნის მიტანა მოსპო და ფულადი შესაწევარი დააწესა.

1929 წლიდან ადგილობრივმა საბჭოთა ორგანიზაციებმა ჩაატარეს დიდი პროპაგანდა ფულადი შესაწევრის მოსასპობად. კომუნისტური ახალგაზრდობა დღეს ებოძვის ამ ძველ მავნე ჩვეულებას, და ქობულეთის ბათომისა და ქედის რაიონებში ქორწილის ძველი წესები თანდათან ისპობა: რაც შეეხება ხულოს რაიონს, აქ, შედარებით, ქორწილის ძველი წესები: ჯერ კიდევ შენახულია და განსხვავდება ზემო აწერილი ქორწილის წესებისაგან.

#26#

ჩვენ აქ მოვიყვანთ ქიბარ კახაძის მიერ აწერილ ხულოელი აჭარლების ქორწილის წესებს, აჭარული კილოს დაცვით.

„დედ-მამას რომ გიეზდება „დელიყანდი“, იტყვიან, რომ ჩვენ გვინდა ერთი რძალივო.

აბა წევდეთ და მოვნახოთ საცხავო; ეტყვიან შვილს, რომ შენ ვინ გინდაო. ბიჭსაც შერცხვება და ვერაფერს ვერ იტყვის, თქვენზე დამიტევია, რაც გინდანან ის ქენითო.

წავა მემრე მამისი, მოდარს საცხა, რომე გოგო იშოვოს, მუა სახში და თუ სადმე გედგო რამე, თავის ცოლს ეტყვის რომე ამ ამოვალ კაც ჰყოლია ერთი გოგოვო. ცოლი ეტყვის:

– ნეტაი რავაია, კარქია თუ გონჯიავო, ვერსიდან დაინახევო?

– ფერ დევნახევო, ეტყვის ქმარი. ქალი უჩივის:

– აბა მე წავალ და ბელქი ვნახავო.

წავა ქალი სანახავათ. გოგოს პატრონმა თუ გოუგო, არ ანახვებს. თუ ვერ გოუგო ჩუმათ ნახავს. ვითამ სტუმარი, მივა და ნახავს. იმიზა, რომ ქალი ქალს არ დეეფარიზება. კაი თუ გლახა, თუერ დეენახეს, მაადც და ითხვოს გოგო თუერ დეენახეს, გვარს მოძებნიან გოგოდს, კად გვარია თუ გლახა. კად გვარის თუ არის, მაშინ გუგზავნიან „ელჩს“, შემავალს, რომ

გოგო მომცეს იმ კაცმავო.

შემავალი გოგოსი ჭირისუფალინდა იყოს. შემავალი მივა ახლა გოგოსას ეტყვის, რომ გოგონდა მისცე ამამუალ, (ე. ი. ამა და ამ კაცს) რძლად. ის კაცი, თუ კი არ უნდა მიცემა თლათ ჷარს ეტყვის – არ მოგცემო. თუ კი უნდა მიცემა ეტყვის; რომ „ბაშლუღი“ მომცეს იმ კაცმაო. ბაშლუღს ზოგიერთგან „რიშვეთი"“ ჰქვია, ე. ი. ქრთამი. პატარა გლეხი ცოტა ფარას მეჲთხოვს და დიდი გლეხი ბევრ. ფარას მეჲთხოვს. ცოტაჲ იქნება თუ ბევრი იქნება, გაკეთდება საქმე.

მერე ბიჭის მამა ეტყვის „ახდი ვქნათო“ – (პირობა დავდვათო), ჩემი რძალინდა წევყვანოთო. რომელცხა დღეს დარქმენ, ესენი ორვე დაჰპაჲჯებს თავის ჭირისუფალს, მეგობარს და მოყვარეს. მივლენ ხოჯასთან, ხოჯა ეჲწერს გოგოს სახელს, ბიჭის სახელს; ნიქახს გადასწყვედენ: ბიჭმა, რომ გუშვას ი ნიქახი უნდა მისცეს გოგოს მერე. ნიქახი დეჲწყობს 50 მანათიდან და ავა 1000 მანათამდის, აგიც გლეხი დაგვარია; მერე სუყველამფერი საქმე გადასწყდება და მორიგდებიან. მერე გოგოსი ვექილი იქნება, ბიჭის ვექილიც.

ხოჯა ეტყვის გოგოს ვექილს, რომე მაჲ გოგო თუ ბიჭს მიდევს, დამტკიცე შენ აგიო. მაშინ გოგოს პირიდან წამოყვანილი ეყოლება იქ ვორი კაცი „მოწმე“, ადგებიან ისინი და დაუმოწმებენ.

„ჩვენ ვიცით, რომ მიდევს მათ გოგო იმ ბიჭს“.

ხოჯა მაშინ იკითხაეს არაბულათ დუას; გოგოჲს ვექილი. იტყვის: „მე მივდივარ“. ბიჭის ვექილიც იტყვის: „მე ვთხონილობო“; მერე ხოჯაც მუასპობს საქმეს. ბოლოს ადგებიან და მიეხვევიან ერთქვანებს სუყველაჲ. #27#

ამ ხალხს მიცემენ შექერს, ან იქნება პატარაჲ ჭმულობაჲ, ხარჯიც იქნება ბიჭის კედაროდან.

ბიჭის მამაც იტყვის, რომ ახლა წევყვანო ჩემი რძალი, მომეციო. გოგოსი მამაც ეტყვის, რაც რომ წესი არის: ტანისამოსი, ოქროულობა, ვერცხლეულობა, სუყველაჲ წესი ათავე, მოუტანე შენ რძალსაო და წეჲყვანეო.

ეგეც წავა. ღარიბია თუ დიდარია, აქს, არა, მაინც უნდა. მოუტანოს ყველამფერი თავის რძალს. „ბიჭის ტერეფი იყიდის ალთუნს – ოქროს, თუ დიდარია ხუთ-ექსს. ქემერს, ბეჭედს, „ყური ქუფიებს“ – ყურსაკიდს, იყიდის კაბჲებს ხასსაც და ხამსაც. შემლებული კაცი იყიდის 3-4 კაბას, ღარიბი ნაკლებს. იყიდის ფეხსაცმელს, თავშალს, „ჩერჩებს“ – ჩადრს, იყიდის „მაკარიას“ – პატარა, ლამაზ ყუთს, მაკარიაში ჩავაწყობთ: დუხს, საპონს, მაზოს, ძაფს, ლემს, ღილებს და სხვა წვრიმალებს.

ბოხჩაზე დავადებთ მაკარიას და გუგზანით გოგოს ელჩის ხელით, ვინც რომ საქმე გაკეთა. ბოხჩის მომტანს მიცემენ ერ წყვილ წინდას და ერთ მახრამას – თავსაკრავს. მემრე ბოხჩას შეკრავენ, გოგო გალამაზდება და ბიჭსაც დაჰპაჲჯებენ. – ამას ქვია „ნიშანლი“.

ბიჭს წაყვება 5-6 კაცი. ისინი გოგოს სახში დარჩებიან ვორ ღამეს; პირველ ღამეს გოგოს შეჲყვანებენ ბიჭთან. გოგოს ბიჭთან 5-6 ქალი შე-
#28#
ჲყვანს. აქაც კაცები შერბეთ სვამენ, ქალები არა. ქალები არც დაჟდებიან, ზეზე დგანან. მემრე კაცებიც და ქალებიც გამოვლენ- ჯერ კაცები გამოვლენ ბიჭის მეტი. მემრე ქალებიც გამოვლენ და ბიჭი და გოგო დარჩებიან ერთად. გოგო გოჲა (ვითომ) წამოჰყვება ქალებს, მაგრამ ბიჭი გადაუდგება წინ კართან და გადაუყრის კარს. გათენებამდი გოგო და ბიჭი ერთად დარჩებიან.

დილას იალონზე ბიჭი გამოძრება და შევა მის აფხანაკებთან.

ოდაში აფხანაკები ეტყვიან რაფერ გულზე ხარო, დოწყებენ მასხრობას. მემრე გოგო იმ ოდიდან გამუა და შევა დედ-მამასთან.

ვინც რუმე იმ ოდაში ლოგინს დუგებს, იმას ფულს აჩუქებენ. ვინცხა, რომ ქალები შეყვებიან; იმასაც ფულს აჩუქებენ – აჩუქებს ბიჭი. დილაზე ლოგინს გოგო ასწევს, ათაკრავს.

მეორე დღეს ბიჭი თავის აფხანაკებით წავა სახლში. მემრე ინიშანლებს და იქნება. როცხა მუნდება, წავა გოგოსას მარტო, გაათევს ღამეს და წამუა.

მეორეთ რომ მივა, ამას ქვია – „ფეხნაქცევი“. ფესნაქცევათ მისლის დროს ბიჭი ერთ ყოს წეჲყვანს. პურს გამოაცხობს 7-ს, ან 9-ს. ერთ ქათამს, ერ თავ შაქარს. მემრე ბიჭი ჲარს ერ წლამდი. ერჲ წელიწადში გოგოს ჲა ეყოლება „ბაღვი“ (ბავშვი), ჲა არა. თუ გოგოს ქორწილამდი ეყოლა ბაღვი, მაშინ ქორწილზე გოგოს მაყარს ფაფას გუკეთებენ და ჩვენში ეს სირცხვილია. ამისათვის ქორწილამდი ბაღვს არ იყოლიებენ. – რაღამეც სულ ოუთავებს, რაც რომ დათქმული იყო. იმას, მაშინ ეტყვის, რომ მე გოგო ახლანდა წევყვანოვო. გოგოს მამაც ეტყვის: გამოგზავნე 50 ქ. ნახველები და ქორწილის ამბავი მეოე ვილაპარიკოთო. ისიც წავა, მის ჭირისუფალს დაჰპაჲჯებს და წეჲყვანს. მივლენ, რძალს ნახავენ და აჩუქებენ: ზოგი ფარას, ზოგი ალთუნს, ზოგი ჲაზმას და კი წევლენ სახლში.

მერე ეტყვის ბიჭის მამა, რომ ახლანდა წევყვანოვო. ისიც ეტყვის: ქორწილი ქენი და წეჲყვანე, უქორწილოდ ვერ გაგატანო. თუ კი შოუძლია დიდ ქორწილს იზამს, თუკი არ შოუძლია – პატარა ქორწილს.

დეიწყება ქორწილი, გოგოს მამა მოსთხოვს ბიჭის მამას: საკლავს, ერ-
ბოს, მერე თაფლს, მიტანს ბრინჯს- რაც ხარჯი იქნება, სულ ბიჭის მამი-
დანდა იყოს; თავისი ხარჯი თავის სახლში – იგიც მან უნდა ქნას. დეიწყე-
ბა ქორწილი ორივე კედარო თავის ჭირისუფალს დაჰპაიჯებს ქალიან-
კაციან – ბაღნიანა, სულ.

ქორწილი უფრო კვირას და ხუჩაფათს შეხტება. ხანდახან სხვა დღე-
შიც იქნება. ვთქვათ და ქორწილია ხუჩაფათს. იმ დღეს ბიჭის მაყარი წა-
მუა დილით ზოგი ცხენოსანი, ზოგი ფეხოსანი. ერთსაც ქალს გამეიყოლიე-
ბენ. ბიჭის ან და იქნება, ან მამიდა, ანდა რძალი, მაგას ქვია დადე.

მოვლენ. შჭამენ, სმენ. კაი კაცები თუ არიან – ათი კაცი დაჟდება ერ
სუფრაზე, თუ კი ავი კაცები არიან, იგინი დაჟდებიან; 4 კაცი, 3, კაცი
ან ვორი. კაცი.

#29#

მერე მეითხოვენ მაგინი სუფრაზე, რომელიც არ იშოვნება, მიზეზს
ეძებს ახლა. რომ არ მეიტანენ და დავამტრიო, დავამსხრიო ყველამფე–
რიო. თუკი ვერ იშოვეს და არ მუტანეს, სუყველამფერს დუმტვრევს,
დამსხრევს: თივას დასწვავს, ჩალას დასწვავს, თაროს დუმტერევს, გუ-
გუმს – თუნგს და კიდევ სხვას. იტყვიან „დასაბმელს“ – გამოცანას, რომ ვერ
ოუხსნას ვერი კაცმა: „შარშანდელი მამაჩემი, წელსა ჩემი შვილი იყო, ჩემ
ძუძუზე გამაძღარი დედაჩემის ქმარი იყო“ – ერთი გოგო იყო გათხოვილი.
ყავდა შვილი და ქონდა ძუძუ. ამ გოგოს არა ყავდა მამისა და დედის მე-
ტი არაფერი. მამა დაიკავეს და ჩაგდეს სატუსაღოში. ორმოცი დღის გან-
მავლობაში მამა უნდა დახრეტილიყო.,

ორმოც დღეს არ უნდა ეჭმიათ საჭმელი; მამას გარეთ გამოსვლის ნება
არ ქონდა, არც საჭმლის შიგ შეგზავნისა, რომ ვინმეს შიეტანა. ნება პქონ-
და მარტო თავისი შვილი – გოგო შესულიყო. და ენახა. გოგოს არაფერს არ
შეატანდენ. შესლიხან ობისკს გუკეთებდენ, რომ საჭმელი არ შეიტანოსო;
40 დღის განმავლობაში გოგომ არჩინა თავისი მამა ძუძუით, ორმოცი დღე
გათავდა გამეიყვანეს მამა, რომ მამა გასუქებულა. ამ დროზე გოგომ უთხ-
რა, რომეომოდი ერთ დასაბმელს გეტყვი თქვენაო, თუ კი ამიხსენით,
დაიხრიტება და ეს არიო. თუერ ამიხსენით და მაჩუქვეთ მამაო. ვერ აუხსნეს
და გაუშვეს მამა“.

ვორი კაცი შეიკაზმება, წვერს გამეიბამს მატყლიდან. გახტებიან სა-
შიშარი კაცები. შუაში ერთ ლამაზ ბიჭ აცეკვებენ. ეგენი გარეშემოუვარე-
ბიან. მაგათ ქვიან „ფადიკო“. მერე მოვლენ ხალხში, მეითხოვენ დავლ-
ზურნას. გავარდება სეირი და რხინი, სმა და სიმღერა შუადღემდი სეი-

რობენ. შუადღე რომ განტება და მუახაზირებენ ცხენებს, ჯეიზი ერთი სა-
თით წინ წავა.

ბიჭის მაყრები რომ იჯებიან კაცებში, ისე იჯება დადეც ქალებში, გე-
ვეზობს და ყოლიმფერს მეითხოვს. რამე დასაბმელს იტყვის: მაგ. „გორზე
თევზი არ იქნება, რომც იყოს, მარილი არ ექნება, ახლობაში რომ იჭმის
გახმეს, მისდღემჩი არ იჭმება“. ეგ არის – ირემი ყველწელში რქას წეი-
ცლის, რომ წეიცლის, იმ ორდღეში რქის ძირი ბილია და გემრიელათ იჭ-
მება. მესამე დღეში გახმება და მემრე აღარ იჭმება. კიდევ:. „მივა – მოვა,
იქავ არი“ და სხვა.

მემრე დედოფალს გამეიყვანს მისი მამამთილი. თავზე დახურავენ, ტუ-
აღს შეაჟდუნებენ ცხენზე. ბიჭიდან მოსული დადე იქნება სულ წინ, აქი-
დანაც ათი ქალი და ერთიც დადე. დადეთ და არ იქნება ან იქნება: ბი-
ბიაი, ან აბლაი, ან ხალაი – დეიდა; წევლენ დავლით, ზურნაით, რხინით
და თოფის სროლით. მაყარი სულ წავა იქითაიც, აქეთაიც.

სახლს რომ მუახლოვდებიან, მაშვინ წავა მახარობელი წინ ვორი, ან
ვოთხი კაცი ახლა მახარობლები დედოფლის კაცებია. ამათ ასმენ შერბეთს
ამათ გოგოდან მიაქნენ პატარა ბალიში, ბიჭს უნდა მისცენ ხელში. ბიჭს
ახლოს არ მუშვებენ, ატყვილებენ და ერხან არ გუქნევენ ბალიშს, მემრე
#30#
თუ კი გოუქნიეს და ბიჭმა დეიკავა-კაი. თუ ვერ დეიკავა, სირცხვილია
და იცინებს ხალხი[1].

მემრე მახარობლები ადგებიან და თოფებს ისრიან. უკან გაბრუნებიხან
მისცემენ: პურს, ხორცს და წეიღებენ. მივლიან და მათ აფხანაკებს აჭმე-
ვენ ეზოში მისლამდი სიმღერას ჩივიან:

დედოფალი მოჰყავანო,
საჩუქარი რა ჰყავანო,
მუნიანი თხა ჰყავანო.“

ამას ბიჭის მაყრები ებნევიან.

– ახლა გოგოს მაყრები ჩივიან:

„ჩვენი ნეფის მაყრებიო,
ფეხტატაშაი, ბლაყვებიო“ –

მემრე მივლენ ეზოში ცხენებს აჭენებენ ყანებში. დედოფალს კარგს ხან
ცხენიდან არ ჩამეიყვანებენ, იმიზა, რომე საჩუქვარს სთხოვენ.

ზემო აჭარაში ყურბანი არ იციან. მის მაგივრად საჩუქარს თხო-

---

[1] ასეთი ჩვეულება ძველად ქობულეთშიც იყო გავრცელებული.

ულობენ; ართმევენ საჩუქვარს: ერთ ხარს, ან ერთ ძროხას, ან 2 თუმ-
ნიდან 100 მანეთამდი. მემრე ჩამეიყვანებენ. დედოფალს და ჩაბარებენ
დედამთილს, შეიყვანს დედამთილი სახლში: კერაზე ხელს მუასმევი-
#31#
ებს, მემრე ცომში ხელს აკრევიებს, კიდობანში ჩახედვიებს, მემრე ყველა
ოდას მუარონიებს და შეიყვანს თავის სამყოფ ოდაში.

თავისი დადიები და მომყოლი ქალები – „წვევლები“ იქნებიან დედოფ-
ლის ერთად. ეზოში ახლათ მოსულ დედოფალს ნეფე ფარას და შექერს
გადაყრის.

ქედის რაიონში კი დედოფალს ფულებს მამამთილი გადააყრის კარებ-
თან. დედოფლის ცხენი რომ გეიცლება, მაშინ ერთი დედოფლის მაყარი
შეჟდება ზეთ. აჭენებს და არი. მის დღემჩი არ ჩამუა, თუკი ფარას არ
მიცემენ.

ხანდიხან დედოფლის მაყრები არ წავლენ ოდეიბში დასაჟდომად: ცხე-
ნები გვინდა თითოს თითოვო. ცხენებათაც უნდან ისტევლე კაცები. მივლენ
კაცები, ნეფის მაყრები და და მისცემენს ზრუგს. დედოფლის მაყრები შეჟ-
დებიან ზეთ და შეიყვანებენ ოდაში. ზოგი ბეჩობს, ზოგი ჭკვიანათ ჟდის,
მეითხოვენ ვახშამს; ქვეყანაზე რაც არი, არალი, იქ უნდა მუატანიონ მა-
გინმა ძალით და ჭამონ.

მეითხოვენ: ყოჩს დასაკლავათ, ან შეწულ ქათმებს, მეითხოვენ თაფლს
ფალაყას, თუთუნს და სხვას. ამ მოთხოვნას „რუსუმი“ ჰქვია. ჭამის მემრე
დედოფლის ახლო ნათესავები შევლიან დედოფალთან და დედოფლის ძმა
ტუაღს ახდის. ყამის წვერით აძრობს ტუაღს და გადეიქნევს კარისკენ –
და მემრე გამოვლიან გარეთ. მემრე დადიები აყენებენ დედოფალს. დედო-
ფალი შარფწამოსხმული ფეხზე დგას.

მემრე შამუა დედამთილი და „პირს ახდის“ აძრობს, შარფს და საჩუ-
ქარსაც მიცემს: ოქროს, ფულს, ან ბეჭედს.

გახტება შუაღამე. ნეფის ჭირისუფალი ქალები მეითხოვენ დედოფალს:
მოგვეცი, წევყვანთ ნეფესთანავო. მემრე ის ქალები უპასუხებენ: კარქ სა-
ჩუქარს თუ მოგვცემთ, გაგატანთ, თუ არადა არაო. თუ დაკმაყოფილეს
საჩუქარით – გაატანებენ თუ არა და მათ წასვლამდი დედოფალი მათ-
თანაა.

ერთი ოდა, პაწაი ნეფე დედოფლისთვინ ცარიელია. თუ გატანა, ი დე-
დოფალი დილას საჩქაროთ კიდევ შევა მის მომყოლ ქალებთან. მაყარს დი-
ლას „ხეფსს“ საუზმეს მიცემენ მაშინ წყალობა არი, რასაც მუტანებენ,
იმას ჭამენ.

მუა სადილობა, მაშინ დაჟდებიან სუფრაზე. რასაც შეიძლება იმისთანა ავობას იგევეზებენ. სამა, სიმღერა, დავლი და ზურნა ყველთვინ არის.

დაღამებამდი რომ დარჩება ერთი ან ვორი საათი, მაშინვე წავლიან. წასლიხან დედოფლის მაყრები ბევრ ზარალს დააყენებენ: ღობეს წაქცევენ, ნალიას წაქცევენ, ხიჩალს დასწვავენ. წისქველ წაქცევენ. ჰო და წავლენ თოფის სროლით და ყელაი მიალაგდება თავის სახლში.

დედოფალი 3 დღეს თავის ოდაში იქნება, კარში არ გამუა და ნელა-ნელა სახლი გუას დეიწყებს. თანდათან უმატებს მუშავობას და ერთ თვეში მიორენებსავე იქნება.

#32#

მამამთილს შეიძლებს არ დიელაპარაკოს 7 წელწადს, ან ვოც წელწადს, ან სულ არა.

თუ მოწიფული მაზლი ხავს, ან მის ქმარზე თუ უმფროსია – მას მისდღემჩი არ დაელაპარაკება. გელინი დედამთილს დედას ეტყვის, მამამთილს – მამას მაზლ ეტყვის აღაბატონ, მულს ეტყვის „გორუმ ხანუმ“-ს. მაზლის ცოლს „შილს“ ეტყვის“.

აჭარულ ქორწილთან დაკავშირებულია აგრეთვე „ჩაკეტვისა“ და „ფადიკოს“ წესები.

ჩაკეტვა

„ჩაკეტვა“-ს ასრულებს ნეფის ოჯახის მტერი; მისი მიზანია ნეფე-დედოფლის გაუბედურება. ამ ბოროტების ჩამდენი პირი ჩუმად მიიმალება იმ გზის პირას, სადაც ნეფე დედოფალმა უნდა გაიაროს, მას თან მიაქვს ქარქაშიანი დანა. გზის ერთ მხარეზე ის დანას დააგდებს და მეორეზე კი ქარქაშს. დედოფალი მაყრიოზით რომ გაივლის, ის კაცი აიღებს დანას და ქარქაშში ჩააგებს, „ჩაჰკეტავს“, ამის შემდეგ, ხალხის შეხედულებით, ნეფე-პატარძლის ბედ-იღბალი ამ კაცზეა დამოკიდებული და სანამ ის კაცი დანას ქარქაშიდან არ ამოიღებს, ცოლქმრული კავშირი. ახალ დაქორწილებულთა შორის შეუძლებელია. ამ ნიადაგზე ცოლ-ქმარს ერთმანეთიც შეძულდებათ და თუ ასეთი მდგომარეობა დიდხანს გაგრძელდა, შეიძლება ერთმანეთს კიდეც გაეყარონ, „ჩაკეტილი“ ცოლ-ქმარი ამის გამო იტანჯებიან და მათი მშობლები გაფაციცებით ეძებენ დამნაშავეს.

ცრუმორწმუნე აჭარელს „ჩაკეტვა“ დღესაც წამს და მრავალ შემთხვევით ამტკიცებს ჩაკეტილების ტრაგიკულ თავგადასავალს, ჩაკეტვა ან „ჩა-

სკვნა“ ხალხის რწმენით, სხვა ხერხითაც შეიძლება მოეწყოს. ამ მიზნით, მექორწინეთა მიმართ მტრულად განწყობილი პირი ქორწილამდის 15 დღით ადრე ქათამს დაკლავს და მის თბილ სისხლს მერდინს წასცხებს. შემდეგ, ამ სისხლიან მერდინს რამდენმეჯერ გასკვნის და სანამ კვანძი არ გაიხ-სნება, ნეფე-დედოფალს შორის სქესობრივი კავშირი შეუძლებელი იქნება.

ფადიკო

„ფადიკო“ ერთგვარი თამაშია. ამ, თამაშს აწყობენ, ქორწილში ღამის თორმეტ საათზე. „ფადიკოსათვის“ ექვსი კაცი და ერთი ქალია საჭირო. ერთ კაცს ქალის ტანისამოსს ჩააცვამენ და ცალკე ოთახში გაიყვანენმ, მას ფადიკოს უწოდებენ. შემდეგ ერთი მოთამაშე ცხენივით დაოთხილი დადგება და მას ფადიკო შეაჯდება, ცხენს აღვირით ერ-თი წამოიყვანს, სხვები კი სიმღერით მოსდევენ; ორი მათგანი ერთმანეთს შეეცილება ფადიკოს დანარჩუნებისათვის. ვინც პირველად მოასწრებს და თეთრ ფულს გადააყრის, ქალიც მას რჩება. ბოლოს ეს ორი მოქიშპე მა-
#33#
ინც შერიგდება და იტყვიან: „ერთს დღეი გვყავდეს, მეორეს ღამეო“ და ორივე გადააყრის ფულებს. შემდეგ ფადიკოს „ყურბანს“ (საკლავს) შემოავ-ლებენ და დაკლავენ. ამას ცეკვა-თამაში მოჰყვება, ფადიკოს გაეთამაშება ის ორი კაცი, მაგრამ ცეკვის დროს ფადიკო ფეცრად დაიმალება, ამაზე ისინი ერთმანეთს შარს მოსდებენ, ატყდება ჩოჩქოლი და ყველანი ფადი-კოს ეძებენ.

ბოლოს ფადიკოს იპოვნიან და ვახშჰად დასხდებიან, ნავახშმევს ერთ მათგანს დაეძინება, მეორე კი ფადიკოს მოუწვება და ეალერსება. ამ დროს პირველი იღვიძებს, დაინახავს, რომ მისი ამხანაგი ფადიკოსთან საქმობს, წამოხტება, ხმალზე ხელს გაიკრავს, ამხანაგს დაჭრის და ფადიკოს გაიტაცებს. ქალი ეწინააღმდეგება, არ მიჰყვებ«, თან გაიძახის; „ის შენზე მეტად მიყვარსო“, ის კი ფადიკოს ეხვეწება: „მე წამომყევი შასზე უკეთე-სი ვარო“ და თან ქრთამსაც ჰპირდება. ბოლოს ქალი თანხმდება და მიჰ-ყვება.

ფადიკოს გათამაშებას ქორწილში შეაქვს მხიარულება. არის სიცილი, ჟრიამული და ფადიკოს გაშაირება.

ქალის მდგომარეობა

პატარძლის მდგომარეობა აჭარაში სახარბიელო არ არის, ზოგიერთ ჩამორჩენილ და კონსერვატიულ ოჯახში გათხოვილი ქალი მძიმე პირობებში ექცევა, მას უხდება მრავალი სიდუხყირის ატანა. ცოლ-ქმარი ერთმანეთს სახელს ვერ დაუძახებენ. ქობულეთისა და ბათომის რაიონში ერთმანეთისადმი მიმართვის დროს ცოლ-ქმარი სახელის ნაცვლად „შენ“-ს ხმარობს. მაგალათად: „სად მიდიხარ შენ?“ „რა გინდა შენ?“ და სხვა. ხულოს და ქედის რაიონში ქმარი ცოლს „გო“-ს ეძახის: „ჰაჲდე გოვ“. ცოლი ქმარს – „ჭო“-ს: „ჰად იყავ ჭო“ და სხვა. „გელინი“ მამამთილს „აღაბაბას“ ეძახის, დედამთილს „ფაშანენეს“, მაზლს „აღაბატონს“ და მულს „ფაშაბატონს“. პატარძალს ახალ ოჯახში დიდი სიფრთხილე ჰმართებს, ის ყველას თავდაბლად უნდა ექცეოდეს. ამიტომ ქალის გათხოვებისას მშობლები მას ასე არიგებენ: მამამთილს წელს ზევით არ უნდა შეხედო, როცა ის ყანიდან დაღლილი მოვა, ფეხზე გახადე და თბილი წყლით დაუბანეო. დედამთილმა, რაც უნდა გიბრძანოს, ყველაფერი უსიტყვოდ შეასრულე და ბატონობით უპასუხეო. ასევე უნდა მოექცე მაზლსა და მულსა და სხვა.

პატარძალს თუ ახალ ოჯახში ლმობიერი და გულკეთილი წევრები შეხვდენ, ეს ხომ მისთვის უსაზღვრო ბედნიერება იქნება. მაგრამ თუ ის ცუდ ოჯახში ჩავარდა, მისი ტანჯვა აუტანელია და ამ შემთხვევაში ერთადერთი გამოსავალი ოჯახიდან გამოყოფა და ცალკე დასახლებაა.
#34#

მაგრამ თუ ქმარი სუსტი ნებისყოფისაა, ცოლიც ნაკლებად უყვარს და ან ძმა არა ჰყავს, მაშინ ქმარი მშობლებს ვერ გამოეყოფა და ქალიც იძულებულია ყველაფერი მოითმინოს.

აჭარელი ქალი ოჯახის დიასახლისია. ზემო აჭარაში კი, სადაც მესაქონლეობას მისდევენ, ქალებს უფრო საქონლის მოვლა ევალებათ; მესაქონლეობაში აქ უმთავრესად ქალის შრომაა გამოყენებული.

მამაკაცი თავის საქმიანობაში დედაკაცს არავითარ ანგარიშს არ უწევს

და არც ქალს აქვს უფლება მამაკაცის საქმეში ჩაერიოს. ზოგი აჭარელის აზრით, ის კაცი, რომელიც ქალს დაუჯერებს, ხიფათში გაებმება და უბედურებას ვერ აცდება, ვინაიდან მისი აზრით, ყოველგვარი უბედურების მიზეზი ქალებია: ქალის ჭკუა ბარდზედ წერია, ბარდი თხამ შეჭამა, – ამბობენ ხოლმე.

ტირილი და გლოვა

აჭარაში ადამიანის სიკვდილს მწვავედ განიცდიან და გლოვაც ხანგრ-
ძლივი იციან. გლოვის ხასიათი დამოკიდებულია სიკვდილის გამომწვევ მი-
ზეზზე. როცა მოხუცი თავისი ბუნებრივი სიკვდილით კვდება, ხალხის წარ-
მოდგენით, ის ცხონებული და უცრემლო მიცვალებულია. მაგრამ ახალ-
გაზრდის სიკვდილი და ისიც, თუ მტრის ხელით არის მოკლული, აჭარ-
ლის ოჯახში იწვევს უსაზღვრო მწუხარებას.

მკვლელობის მიზეზი მოავალგვარია. შურის ძიება და სისხლის აღება
აჭარისტანის საზოგადოებრივ ყოფას დღეს უკვე აღარ ახასიათებს, მაგ-
რამ მის რეციდივს ზოგჯერ მაინც აქვს ადგილი. არის შემთხვევა როდე-
საც ორი გვარის ოჯახი ერთმანეთს მტრად გადაეკიდება და მათი წევრე-
ბი შურისძიების მსხვერპლნი ხდებიან. მკვლელობას იწვევს აგრეთვე დავა
მამულზე ან საქონელზე და მოკლულის ნათესავებში ეს იწვევს შურისძიე-
ბის გრძნობის გაღვივებას.

მაგრამ მოსისხლეთა შერიგებაცა და სისხლის გამოყიდვაც აჭარული
ადათით შესაძლებელია შემდეგ შემთხვევებში:

1. როცა მკვლელობა მტრობითა და წინასწარი განზრახვით კი არ არის
ჩადენილი, არამედ უცაბედი შემთხვევით ან როგორც ხალხი იტყვის,
მკვლელობა „ყეზათ“ მოხდა.

2. თუ მკვლელს შეცთომით ერთის მაგიერ მეორე შემოაკვდა.

3. როცა სისხლი ერთი გვარის წევრებს შორის „დაწვება“.

4. როცა მკვლელი განზრახვით ჩაიდენს მკვლელობას, მაგრამ დაზა-
რალებული მძიმედ დაიჭრება და არ მოკვდება.

5. როცა სისხლის ამღები თავის მტერს მოყიდულ პირს მოაკვლევიებს.

ერთი სიტყვით, სისხლის გამოყიდვა ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლე–
ბელია. მაგრამ, თუ შერიგება არ მოხდა, მტრობა შვილიშვილობამდის გა-
#35#
დადის. ასე, მაგალითად, მოკლულს რომ პატარა შვილი დარჩეს, ან მის
ფეხმძიმედ დარჩენილ ცოლს ვაჟი ეყოლოს, როცა ეს ვაჟი წამოიზრდება
ვალდებულია მამის სისხლი აიღოს.

მძიმეა აგრეთვე სულით ავადმყოფის მდგომარეობა. ხალხის წარმოდგე-
ნით სულით ავადმყოფის სხეულში დასადგურებულია ეშმაკი, რომელიც მას
მოსვენებას არ აძლევს. სულით ავადმყოფს ეშმაკი რომ მოშორდეს, მათი
აზრით, საჭიროა სხეულის წამება. ამიტომ ავადმყოფი დახელოვნებულ

„ჯინდარჯთან“ (ექიმბაში) მიყავთ და ის შეუდგება შეშლილის სხეულის დაწვას. ექიმბაში გაახურებს რკინის ჯაჭვს და მასში გაატარებს ავადმყოფს. შემდეგ აიღებს გახურებული რკინის შანთებს და სხეულს ამოუწვავს. ამასთანავე ექიმბაში ულოცავს, აშინებს და ზოგჯერ სცემს კიდეც.

#36#

ასეთი ბარბაროსული მკურნალობით სულით ავადმყოფი, რასაკვირველია ვერ მორჩება და უვიცი ექიმბაშის ხელში ტანჯვა-წამებით წუთისოფელს გამოესალმება.

მომაკვდავ ადამიანს მოკეთეები და ახლო ნათესავები ღამეს უთევენ. როცა ის გარდაიცვლება, მაშინვე „შეითს“ (ცხედარს) ხელ-ფეხს გაუსწორებენ და ქალები წივილ-კივილს ატეხენ. ამით სოფელი ტყობილობს ადამიანის მიცვალებას, გამოვლენ კარში და იტყვიან „ღძერთმა აცხონოს“-ო.

ავადმყოფი თუ ღამით მიიცვალა, მისი მოკეთე ახალგაზრდები ღამითვე მიდიან ახლო-მახლო სოფლებში და აუწყებენ ნათესავებს გარდაცვალების შესახებ. მიცვალებულს აჭარაში 24 საათის განმვალობაში ასაფლავებენ. ამიტომ მაშინვე შეუდგებიან მიცვალებულის შესუდრვას და დასაფლავების თადარიგს.

#37#

„მეითი“ შუა ოთახში, ტახტზე ასვენია. თავთან დედა უზის, გარშემო შვილები, დები და ახლო ნათესავები მოუსხდებიან. ჭირისუფალთ საკინძე გახსნილი აქვთ და მწარედ მოთქვამენ. განსაკუთრებით ახალგაზრდა ქალებს ევალებათ ხმამაღლა ტირილი. შორით მოსული მოტირალი კივილითა და მოთქმით შედის მიცვალებულთან და კუბოს მიუჯდება. მამაკაცები მიდიან ჭირისუფალთან, სამძიმარს გამოუცხადებენ და ასე ეტყვიან: „ბაშუნ საღოლსუნ“-ო (თავად საღად იყავიო).

მიცვალებულის ოჯახში ყველანი ერთმანეთს შველიან: ერთი მამაკაცთაგანი „ლორფინის“ ხესა თლის, ორს ან სამ კაცს საფლავის გასათხრელად გზავნიან. მესაფლავენი ჩვეულებრივად სამარეს ორი არშინის სიღრმეზე გათხრიან და ძირში „თაბუთის“ (კუბოს) დასასვენებელ თაროს გამართავენ. კუბოს ოსტატს შეუკვეთენ.

ზემო და ქვემო აჭარაში მამაკაცების „მეითს“ თაბუთს საერთოდ არ უკეთებენ, მიცვლილ მამაკაცს აქ უთაბუთოთ ასაფლავებენ, გამონაკლის შემთხვევაში თაბუთს აკეთებენ მაშინ, თუ სამარეში წყალი დგება; ხოლო რაც შეეხება ქალებს, ზემო და ქვემოაჭარაში მათ თაბუთით ასაფლავებენ.

მიცვალებულის შესუდვრა ევალება ხოჯას; ეს უკანასკნელი მოიწვევს რამდენიმე გამოცდილ მოხუცს და შეუდგება „ქეფენის“ გაწყობას ე. ი.

საფლავში ჩასატანი ტანისამოსის მომზადებას.

მიცვალებულს ტანს თბილი წყლით ბანენ, ამდროს ტირილი აკოძალულია, რადგანაც ხოჯა ყურანიდან „იასინის“ ნაწყვეტებს უკითხავს მიცვალებულს, ტანის დაბანის შემდეგ, ხოჯა მოატანინებს მიტკლისაგან შეკერილ „ქეფენს“ და მას თაბუთში გააწყობს. შემდეგ „მეითს“ თაბუთში ჩასვენებენ, ქეფენში შეახვევენ და ქალების ოთახში დაასვენებენ. აქ მიცვალებულს ყველანი მოთქმით დაიტირებენ, გასვენების დროს კუბოს ოთახიდან ოთხი კაცი გამოიტანს, მოტირალ ქალებს ცხედარს მოაშორებენ და ახლა „მეითს“ შეასვენებენ ჯამეში, სადაც „ჯანაზის“ ლოცვა უნდა შეასრულონ. აქ ქალების შესვლა აკრძალულია. შემდეგ „თაბუთს“ ჯამეს ეზოში დაასვენებენ, წინ ხოჯა გაჩერდება. პირი ყველას „ქააბისკენ“ – სამხრეთისაკენ აქვთ მიმართული. ხოჯა შეუდგება ლოცვას, შეავედრებს ღმერთს მიცვალებულის სულს, რათა. უფალმა დაუმკვიდროს მას „ჯენნეთი“ (სამოთხე). დასასრულ, ხოჯა კითხულობს „დუას“ და ხალხი კი „ამინს“ ეტყვის.

ამის შემდეგ თაბუთს „მეზელუღზე“ (საფლავზე) წაასვენებენ და აქ გამზადებულ „მეზერში“ ჩაუშვებენ. მიცვალებულს ფეხები უთუოდ ქააბისაკენ და თავი ჩრდილოეთისაკენ უნდა ჰქონდეს. მეზერში თაბუთს გაასწორებენ და გარშემო ლორფინებს შემოაწყობენ. როცა მიცვალებულს ლორფინი თავზე დაეხურება, მაშინ ახლობელნი მიცვალებულს ეთხოვებიან: „ღმერთით ჯენნეთში გნახავთო“.

ლორფინის მოწყობისას, ხოჯა მიცვალებულს ფეხის ცერთან ჩაუდებს დაწერილ ქაღალდს, რომელიც ხალხის რწმენით, მიცვალებულს დახმარე-
#38#
ბას გაუწევს საიქიოს სამჯავროს წინაშე. დასასრულ, სამარეს მიწას მიაყრიან და მაგრა დატკეპნიან. ხოჯა მიცვალებულის დედის სახელს იკითხავს, მარჯვენა მხრიდან შემოუვლის საფლავს და გაჩერდება, დამსწრენი გაშეშდებიან და სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდება. ეს ის მომენტია, როცა ხოჯამ საფლავში მკვდარი უნდა გამოაღვიძოს და მიცვალებულმაც უნდა იგრძნოს, რომ ის მართლაც მკვდარია.

ხალხის რწმენით, როცა ხოჯა საფლავში ჰკვდარს „თელყემს“ – გამოსაღვიძებელს – ჩასძახებს, მაშიხ მიცვალებულს ერთი წამით სული დაუბრუნდება და გამოიღვიძებს, მიცვალებული გაიხძოევა, წამოიწევს, თავს ლორფინს ჰკრავს და მხოლოდ მაშინ დარწმუნდება, რომ ის უკვე მკვდარი არის; ამის შემდეგ ლეშს სული მოშორდება და ცაში გაფრინდებაო. „თელყემის“ გათავების შემდეგ, მკვდართან ორი „მელაიქი“ – ანგელოზი

მივაო. „ჯებრაილი“ (გაბრიელი) და „ყეზრაილი“ (ისრაილი) და ცოდო-
მადლს გამოიძიებენო. აი, აქ გამოადგება მიცვალებულს ის ქაღალდი, რო-
მელიც ხოჯამ მას ფეხის თითებში ჩაუდო. თუ მიცვალებულს მადლი
მეტი აღმოაჩნდა ვიდრე ცოდვა, მაშინ მისი ვიწრო საფლავი გაიხსნება
და „ჯენნეთად“ გადაიქცევაო, თუ ცოდვამ დასძლია, მაშინ საფლავი ერ-
თბაშად დაპატარავდება და მიცვალებულს ისე შეკუმშავს, რომ ძვალი
ძვალში გაეყრებაო.

მაგრამ დასაფლავებით არ წყდება კავშირი ოჯახსა და მიცვალებულს
შორის. ხალხის რწმენით ორმოცი დღის განმავლობაში მიცვალებულის
სული ოჯახში ტრიალებს და მას არ შორდება. მეორმოცე დღეს მკვდრის
ჭირისუფალი ხოჯას მიიწვევს და ქელეხს გადაიხდის, აქ კვლავ დაიტირე-
ბენ მიცვალებულს და შენდობას ეტყვიან. მიცვალებულის ოჯახში გლოვა
და ტირილი წლის განმავლობაში გრძელდება, უდგამენ ტაბლას და შენ-
დობით იხსენიებენ.

აღსანიშნავია ისიც, რომ აჭარისტანში ჩვეულებად აქვთ გზის პირად
ლამაზი: ყუთების ჩამოკიდება. ამ ყუთებში წინაპართა სულების გამოსაკ-
ვებ ტკბილეულს აწყობენ. ზოგიერთი ასეთ ყუთებს მიცვალებულის საფ-
ლავზედაც აკეთებს.

აჭარელი უთუოდ თავისი გვარისა და სოფლის სამარხში უნდა დაიკრ-
ძალოს. ამიტომ თუ აჭარელი სადმე შორეულ მხარეში გარდაიცვალა, ჭი-
რისუფალი ყველა საშუალებას მიმართავს, რომ. მისი ნეშტი სამშობლოში
გადმოასვენოს. ერთი ძვლის მეტიც რომ ვერ იპოონ, უკიდურეს შემთხ-
ვევაში იმას მაინც წამოიღებენ და წესისამებრ დაასაფლავებენ.

მიცვალებულის კულტთან დაკავშირებულია აგრეთვე თქმულება „ხორთ-
ლაღზე“. ხალხური თქმულებით ხორთლაღი დიდად ცოდვილი მკვდარია,
რომელსაც მიწა არ ღებულობს, ახორთლაღდება და ფრჩხილები დაეზრ-
დებაო.

ჩვენ აქ მოვიყვანთ ხორთლაღზე ერთ აჭარულ თქმულებას, რომელიც
გვიამბო შაისმელ აბულაძემ:

#39#

„დემაქი“ (ერთი სიტყვით) იმფერი კაცი, რომელიც იყო კაცის მკლე-
ლი, ულოცავი, ქურდი, „ზონაჯი“ (მოარშიყე, სხვის ქალს რომ აუპატი-
ურებს – ზინა) ღმერთის უმცნობელი, ამფერი ახორთლაღდება.

ამფერი კაცი მოკდა და ხოჯა მისულა კდართან. ჩამოუკლეტია კარი
და დამდგარა იმ კდართან, მემრე, რომ გამხდარა ჲასი (დაწოლის დრო),
კდარი გაქანებულა ერთი. ამაზე ხოჯა შეშინებულა და ყურანის კითხვაზე

დაცადებულა, რომე მე არაფერი წამომეკრასო. ყურყანი, რომე დუბოლ-
ქი, ერთი თვალი დუხუჭავს, „ბითევი“ (სრული) დაძინებული არ ყოფილა.
„ნუსხაფი“ (ყურანი) ძირში დადებული დარჩენილა. რომ დუთლემია, ამ
დროზე კტარს ფრჩხილები დაზდია – თითო „ციდა“ (ციდა ცერისა და სა-
ლოკი თითის გასწვრივ სიგრძეს ეწოდება) და შეტაკებია ხოჯას.

ხოჯას უთქვამს იმ დროზე „სელავათი“ (ღმერთი უხსენებია). იმას მემრე
უჭედინ მამლის ყივლობამდი. მამალს რომ დუყივლია, ხორთლაღს უთხ-
რობია: რომე აქნობამდი შენ რომ ვერ მოგთავე, ახლა დრო შენიავო და
იმანაც მოკტა. ხოჯამ უთხრა, რომე მე, როდისაც ვიცოდი ეს ყურყანი, –
მომეხმარა იმანაო, თუ̂არა მეყოფოდა შენი ფჩხილებიო“.

ასეთივე თქმულებები ხორთლაღზე: ქედის, ბათომისა და ქობულეთის
რაიონებშიც არსებობს. მხოლოდ ქობულეთის რაიონში თქმულება ხორთ-
ლაღის შესახებ ცოტათი განსხვავდება. ქობულეთის თქმულებაში ხორთ-
ლაღზე ყველა მამალი ვერ მოქმედობს. ხორთლაღი ხოჯას მაშინ დაანებებს
თავს, როცა სოფელში მხოლოდ თეთრი მამალი იყივლებს: „აწე შენიავო,
ეტყვის ხოჯას და თავის ადგილზე დაწვება ხორთლაღი“.

#40#

II. ცრუმორწმუნეობა

აჭარელთა რელიგიური საკითხების შესწავლას და მასალების შეგროვე-
ბას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს; აქ ისტორიულ წარსულში იბრ-
ძოდა სამი სარწმუნოებრივი მიმდინარეობა: წარმართობა, ქრისტიანობა
და მაჰმადიანობა. თითოეულმა მათგანმა ღრმა კვალი დატოვა აჭარელთა
სარწმუნოებრივ შემეცნებაში და ამ სინკრეტული რწმენის გადანაშთები
ცრუმორწმუნეობის სახით დღესაც ცოცხალია აჭარისტანის ზოგიერთ ჩა-
მორჩენილ კუთხეში.

ჩვენ აქ შევეცდებით ავწეროთ მისი ზოგივრთი მომენტი. დავიწყებთ
ახალწლის შეხვედრიდან.

ახალი წლის შეხვედრა

ახალწელს აჭარელის ოჯახი დიდი მოწიწებით ეგებება. სახლსა და
ჭურჭელს ასუფთავებენ, ყველანი ახალი ტანისამოსით იმოსებიან და მხია-

რულობენ. ხალხის რწმენით, ახალწელს თუ ვინმე დაღონებულია, იგი მთელი წლის განმავლობაში დაღონებული და მწუხარე იქნება. ახალწლის წინა ღამით ბალიშის ქვეშ მჭადის ლუკმას ამოიდებენ და თითოეული ოჯახის წევრი, დიდი თუ პატარა, ცდილობს გათენებამდის გამოიღვიძოს, შენახული მჭადის ლუკმა სასწრაფოდ პირში ჩაიდოს, რათა მამლის ყივილმა ან რომელიმე ჩიტის ძახილმა ის არ დაძლიოს და ამგვარად დამარცხებული არ დარჩეს.

ახალწელს აჭარელი გლეხი გამარჯვებას და ოჯახის გაბედნიერებას მოელის, მაგრამ, მისი რწმენით, ოჯახის ბედ-იღბალი „მფერხავზეა“ (მეკვლე) დამოკიდებული; „მფერხავს“ მიაწერენ ადამიანის კარგად-ყოფნას და ჭირნახულის დოვლათიანობას, ამიტომ ოჯახში ირჩევენ კარგი ფეხის მეკვლეს.

იტყვიან: მფერხავი კაი ან ავი ფეხისა ყოფილაო.

მეკვლე ოჯახიდან ღამე გავა, გათენებისას, სახლის კარებს მოადგება. დიასახლისი მიეგებება და ეტყვის: „მარჯვენა ფეხი შემოდგი და ღმერთი ახსენე“. მეკვლე სახლში შემოდის და დაილოცება, დიასახლისი ტკბილეულით და ხილით უმასპინძლდება. შემდეგ დიასახლისი ტკბილეულით ოჯახის წევრებსაც „დააბერებს“ და ახალწელს მოულოცავს. მეკვლე მთელი
#41#
დღე ოჯახში რჩება, ის სხვაგან ფეხს ვერ გადადგამს, რათა სახლის ბარაქა თან არ გაჰყვეს.

ახალწელიწადს თოფებს ისვრიან მტრებზე გამარჯვების ნიშნად. მონადირე სანადიროდ გავა, რომ თოფია ბედნიერად „გატეხოს“ და ნიშანს არ ააცდინოს, წინააღმდეგ შემთხვევაში მთელი წლის განმავლობაში მას ნადირობაში ბედი არ ექნება. ახალწელს სანადიროდ შიმავალს გზაში კურდღელი თუ შეეფეთა, მაშინვე უკანვე გამობრუნდება, თუ ტურა შეხვდა ეს კარგი ნიშანია და მხიარული მონადირე გზას განაგრძობს.

ქათმის ფერხვა

ახალწლის მეორე დღეს „ქათმის ფერხვა“ იციან. ეს ჩვეულება შემდეგში მდგომარეობს: ერთ-ერთი ოჯახის წევრი ქალი ხელში ქათმის საკენკით საქათმესთან მიდის. ქათმებს კარს გაუღებს და საკენკს დაუყრის, თან ამბობს:

„ჯიჭი, ჯიჭი დედალაო, ჯივი, ჯიჭი მამალაო, ასი დედალ ასი მამალ

ასი მისი მოჩხოროზი; ზეით მიანეფერები, ქვეით დადიანებიო, ყველაი ამას გეხვეწებით, შორეთ ნუ დეიარებიო. ტყეში სურო, ზღვაში ქვიშა, ღმერთო იმდენი ამრავლეო“. ამ სიტყვებზე მფერხავი საკენკის კოთხოს თავზე დაიმხობს, ქოჩორა ვარიები გამოვაო.

მფერხავი ქალიც ამ დღის ოჯახიდან ვერ გავა, რადგანაც ქათმები შორს წასვლას დაეჩვევიანო. მას აქვს აგრეთვე საკუთარი საჯდომი სკამი, რომელზედაც სხვა ვერავინ დაჯდება, რადგანაც თუ ეს წესი არ იქნა დაცული, კრუხი ერთ საბუდარზე არ გაჩერდება და სხვის საბუდარში ჯდომას მიეჩვევა.

რწყილის გადალოცვა და რწყილის დაყვერვა

გაზაფხულის პირას აჭარელი გლეხი შეუდგება ოჯახის რწყილისაგან გაწმენდას. რწყილი ადამიანსა და საქონელსაც აწუხებს და მის მოსაშორებლად აჭარელი გლეხი სხვადასხვა მაგიურ საშუალებას მიჰმართავს;

მაგალითად, პირველ მარტს, ქობულეთის რაიონში, იციან „პწყილის გადალოცვა“. ეს ასე ხდება: დასახელებულ დღეს, დილით, სიტყვის უთქმელად, სამ რწყილს დაიჭერენ და ქილაში ჩასვამენ. ასტამით ნაცარს აიღებენ, გაიტანენ თავიანთ ეზოს მიჯნაზე, სხვის ადგილში გადაყრიან და თან იტყვიან:

„მარტი მარტმეტი, ყოველითვის მეტი. ჩემსას პწყილი არცერთი, სხვისას ნიჩბით სახვეტი“.

იციან აგრეთვე „პწყილის დაყვერვა“. რწყილმა რომ არ იმრავლოს, მარტის პირველ დღეს დილით ერთი ადის სახლის ჭერში. მას ხელში ცოცხი უჭირავს. მეორე კი ოთახში რჩება და შესძახებს პირველს: მან რას იჯებიო? ჭერში მყოფი უპასუხებს; – ია და ვარდსაო. ამას სამჯერ გა-
#42#
იმეორებენ. როცა მეოთხეჯერ ოთახში მყოფი კელაე გაიმეორებს: მან რას ირჯებიო, მაშინ ჭერიდან პირველი გადმოსძახებს: – პწყილ ვყვერავო. ამასთან ერთად ცოცხით გვის ჭერს და თან გაიძახის: „მარტი, მარტი, მარტმეტი, ჩემ სახლში პწყილი არცერთი, ღელიებში სახვეტიო“.

ცხრამარტობა

ცრუმორწმუნე აჭარელი გლეხი ცხრა მარტის მიხედვით ცდილობს გა-

არკვიოს წლის ამინდი და მოსავლიანობა. ხალხის რწმენით, ცხრა მარტს ხმელეთზე გამოჯის ზღვის კაცი; ამ დღეს თუ კარგი დარი დაიტირა, ის გათბება და დაილოცება, ამის გამოც წელწადიც კარგი და მოსავლიანი იქნება. თუ ავი დარი დარჩა, მაშინ ზღვის კაცი დაიწყევლება და იმ წელი-წადს მოსავალიც ცუდი იქნება.

ნასესხები

ამბობენ, მარტს აპრილისაგან სამი დღე უსესხებიაო. ერთ მეცხვარეს, თურმე, ბევრი ცხვარი ჰყავდა. მარტის ცუდი ამინდისაგან ცხვარი შეწუ-ხებულა, მარტის მიწურულში მეცხვარის ცოლს უთქვამს: „დეილია წყე-ული მარტმეტი, გემეზრდება ჩემი თიკანი – კრავი“, ამაზე მარტი გაჯავ-
#43#
რებულა, სამი დღე აპრილისაგან უსესხებია, გამოუშვია წვიმა და სეტყვა და მისი ცხვარ-თიკანი „სულ „ერთიანად გაუწყვეტია.

ბაირამი

ის მოახლოებისას აჭარლები შეუდგებიან სამზადისს ის შეხვედრად ყველა „ცდილობს ამ დღესასწაულს მხიარულად შეჰხვდეს: იმოსებიან ახალი ტანისამოსით, იმარაგებენ სურსათ-სანოვაგეს, რომ

ოჯახში რაიმე ნაკლოვნებას ადგილი არ ჰქონდეს. ყველგან გაისმის: „დღეს არაფა, ხვალ ბაირამი. არაფა (ცნობა) ბაირამის წინა დღეს ჰქვია, ხალხი მას „შელლუღით“" (თოფის სროლით) ეგებება.

ბაირამის წინ „რამაზანის“ მარხვაა, რომელსაც ყველანი მტკიცედ იცავენ; რამაზანს რამაზანის მთვარეზე მარხულობენ. რამაზანის პირველ
#44#
დღეს თოფის სროლით ხვდებიან და არ რჩება ოჯახი; რომთოფი რამ-დენჯერმე არ დაცალოს. მაგრამ ვინც რამაზანის უკანასკნელ დღეს თოფს გაისვრის, ეს მას დიდ ცოდვად ჩაეთვლება. რამაზანის პირველ ღამესვე იწყება „თერავის ლოცვა“, რომელიც 30 მუხლისაგან შედგება, ე. ი. ლო-ცვის დროს მუხლი 30-ჯერ უნდა მოიყარონ და პირსახეც იატაკზე 30-ჯერ დაიტანონ. ეს ლოცვა და მარხვა გრძელდება მთელი ერთი თვის განმავ-ლობაში. „თერავიდან“ მამაკაცები რომ გამობრუნდებიან, დედაკაცები შუაღამის გადასვლისას, ოჯახში ბასლუღის მზადებას შეუდგებიან. ეს ღამის

საჭმელია და მას ღამის მიწურულში ჭამენ. მაშინვე დალევენ ბევრ წყალს, რომ მეორე დღეს არ მოსწყურდეთ. გათენებისას მოღლილი მლოცავი ცოტათი წაიძინებს; ყველაფერი ეს მთელ თვეს გრძელდება.

ხალხის თქმით, „თმენა“ (მარხვა) სამი დღით უნდა ყოფილიყო, რადგანაც თვით წინასწარმეტყველ მაჰმადს მარხვა სამი დღე დაუდგენიაო.
#45#
მაგრამ ხოჯებს ვერ გაუგიათ, თუ რომელი სამი დღე უნდა იმარხულოს მორწმუნემო. ამიტომ ხოჯებს „თმენა“ დაუწესებიათ მთელი რამაზანის მთვარეზე, რომელშიც ის სამი დღეც მოჰყვებაო.

რამაზანი რომ გათავდება, ბაირამი იწყება, მაგრამ ეს მორწმუნეს აშკარად არ უნდა გაუხარდეს, თორემ დიდ ცოდვად ითვლება და ასეთ პირს „ჯეჰენნები“ (ჯოჯოხეთი) არ ასცდებაო.

ბაირამი წელიწადში ორია: ერთი იწყება რამაზანის გათავების შემდეგ, მეორე კი რამაზანის ბაირამიდან 70 დღის გასვლის შემდეგ.

პირველ ბაირამს „ფითრე“-ს უწოდებენ; ამ დღეს შეძლებული მორწმუნე ღარიბებსა და ლატაკებს „ფითრეს“ მესაწევარს უგზავნის და ამიტომ მას „ფითრე-ბაირამს“ ეძახიან.

ამ დღეს მამაკაცები ჯამემი ლოცულობენ, დედაკაცები ოჯახში ფუსფუსებენ და სადღესასწაულო სუფრას ამზადებენ, ახალგაზოდობა სხვადასხვა თამაშობებით იქცევს თავს: ზოგი „ათეშოინს“ (ცეცხლი) თამაშობს, ზოგი „დათვობია“-ს და სხვა.

დათვობიას თამაშის დროს ირჩევენ მთავარს, მსაჯულს ან მეფეს, რომელსაც განასკული ყაბალახი უჭირავს მეორე კი ვითომ დათვია და ის მეფის წინ წელში მოხრილი დგება. მთავარი დათვს სცემს, გარშემო უვლის და ეუბნება:

– დათვო, გძინავს თუ გღვიძავს?

ამაზე დათვი უპასუხებს:

– არც მძინავს, არც. მღვიძავს.

ამას სამჯერ იმეორებენ. შემდეგ მსაჯული ეტყვის:

– ცეცხლი გამოგიშალო?

– რაფერ გამომიშლი!

– ასე, და მსაჯული მას ფეხს გამოპკრავს. მოთამაშენი მოშორებით დგებიან და დათვის გამოქცევას ელიან. ყველანი მზად არიან გასაქცევად რომ დათვს თავი არ დააჭერინონ.

ახლა დათვი შეეკითხება მსაჯულს:

– ჩემი თხები სა წეიყვანე?

– აქეთ გადავყარე, – თითით უჩვენებს, – ზოგი შევჭამე და ზოგიც ტყეშიაო,– ეტყვის მსაჯული დათვს და ცემით გაისტუმრებს.

დათვი გაიქცევა, მსაჯული გამოეკიდება და რამდენჯერ დაეწვა იმდენჯერ განასკული ყაბალახით სცემს და სხვა.

ამავე დროს ჯამეში ლოცულობენ და ხოჯა ქადაგობს. ლოცეის შემდეგ ყველანი გარეთ გამოდიან და თოფებს რამდენჯერმე. გაისვრიან. ეს იმის ნიშანია, რომ „ბაირამის მოლოცვა“ დაიწყო და ოჯახის დიასახლისები მზად უნდა იქნენ სტუმრების მისაღებად. ნაცნობ-მეგობრები მისალმებისას „ერთმანეთს კოცნიან და „ბაირამ მებარექ ოლსუნ“ -ს ეტყვიან. მოლოცვისას ამბობენ: „ღმერთმა მრავალ წელს გაგვითენოს ბაირამი მხიარულად და უკლისად“-ო. ამ დღეს ოჯახებში იმართება წვეულება, და დროს მხიარულად ატარებენ.

#46#

ფითრე ბაირამიდან 70 დღის გასვლის შემდეგ, მეორე დიდი, ანუ „ყურბან ბაირამი“ იწყება. „ყურბანი“ მსხვერპლს ნიშნავს და ვისაც შეძლება აქვს საკლავი უნდა დაკლას. ამასთანავე ყველამ შვიდი თავი სხვადასხვა საჭმელი უნდა დაამზადოს. ყურბან ბაირამის დღესასწაული სამი დღე გრძელდება.

თუ როგორ გაჩნდა, ყურბან ბაირამი, ამის შესახებ არსებობს შემდეგი გადმოცემა, რომელიც მიამბო სოფ. ლეღვას მცხოვრებმა მურად ეფენდი ანანიძემ:

„– იბრაიმ ფეიღამბერს – (აბრამ წინასწარმეტყველი) აბო ყავდა შვილი და ღმერთს შესთხუ̂ა – ღმერთო, შვილი მომეცი და საყვარელს ყურბნათ დაგიკლავო. ამაში იბრაიმ ფეიღამბერი გადაცდა, რუმ არ უთხრა, საქონელს დაგიკლავ ყურბნათ და უთხრა: საყვარელს დაგიკლავ ყურბნათო. იბრაიმს ეყოლა შვილი. მემრე ღმერთისგან მუვდა ბძანება, რუმე ყველაზე უმფო საყვარელი შენი ყურბნათ უნდა დაკლავო. მან დაკლა: რამდენიმე დევე – (აქლემი), რამდენიმე ცხუარი, მარა ღმერთმა „ყაბული“ არ გუხდა (არ მიიღო), მემრე ბრძანება მუვდა, რუმ შვილი უნდა დაკლა ყურბნათო. იბრაიმმა შვილის დედა მუ̂ატყეუ̂ა, რუმ ბაღანას შიშაზე წევყვანო; შეკაზმა და წეიყვანა. შვილმა გეიგო გზაში, რუმ მამისი კლავდა. იგი მას ეშმაკმა უთხრა. შვილმა უთხრა ეშმაკს: თუ ღმერთისგან ნაბრძანებია დამკლასო. ტყეში რუმ მივდენ, შვილმა უთხრა მამას, რუმ ღმერთის ნაბრძანები შასრულევო. მარა ხელ-ფეხი შამიკარი, თუ̂არაზორს მოგცემ დაკლაზე, „ბელქი“ (შეიძლება) პერანგს სისხლი წიეცხება, დედა გეიგებს და შეწუხდებავო, როცხა მამამ ხელ-ფეხი შუკრა, მთელი სურიელები: ნადირი

ჩიტი შემოესია მას და ყურება დუწყეს. შვილს შერცხვა და მამას უთხრა: შამიხსენი ხელ-ფეხი, იგინს ჰგონიან, რუმ შენ მე ძალით მკლავო. მემრე მამამ ხელ-ფეხი შუხსნა. შვილმა გადუწია კისერი. იბრაიმმა 70 გზის დანა გამუხიხია კისერში შვილს და არ გასჭოა. იქანაი საჯენი სიმაღლე ქვაჲ იყო. იმ ქვას შემოჰკრა ი დანა და შუაზე გაპო. მემრე იბრაიმმა ღმერთი ახსენა და „მელაიქ ჯებრაილმა“ – (ანგელოზ გაბრიელმა) ზეციდან ყოჩი ჩამუყვანა და დაკლა იგი. ღმერთმა შამუთვალა იბრაიმს, რუმე მე შენ ის გიბრძანე, რუმ შვილის სიყვარული დაკალი, შვილს ნუ შეჲყვარებ, თუ არა შვილის დაკლა არ მიბძანებიაო, იქიდან დამწესებულია ქაბე. იმ ქაბეში იბრაიმმა ყურბანი დაკლა და „ზიაფეთი-ქნა“ – (ლხინი გამართა) და შა-მეჲღეს ბაირამი, მემრე იმ ბაჲრამზე ყველა მდიდრებმა ყურბანი უნდა დაკ–ლას და ყველამ: მდიდრებმაც და ღარიბებმაც 7 ხელი საჭმელი უნდა გა-აკეთოს“.

აშურა

დღეობა აშურას განსაზღვრულ მთვარეზე დღესასწაულობენ. აშურა უძველესი დღეობაა და მას მაჰმადიანი აჭარლები დიდის მოწიწებით იხ-დიან. ამ დღეს ამხადებენ, „აშურა“-ს. ეს საგანგებოდ შეზავებული წვენი-
#47#
ანი საჭმელია, რომელშიაც უნდა იყოს თითო ან ორი მარცვალი ყველა იმ თესლისა, რასაც ადამიანი თესავს და საჭმლად ხმარობს. მაგალითად აშურაში ურევია: ხორბალი, ბრინჯი, სიმინდი, მხალი, ქინძი, ქერი, ფეტ-ვი და სხვა მრავალი, რაც აჭარისტანში ითესება.

ხალხური გადმოცემით „აშურა“-ს დღეობა ნოეს კიდობანთან არის და-კავშირებული:

წარღვნის დროს, როცა ქვეყანა წყლით დაფარულა, მაშინ თავისი გე-მით „ნუხფეჲლამბერი“ – (ნოე წინასწარმეტყველი) დარჩენილა, ნუხს ამ გემ-ზე ჰყოლია: მისი სამი ვაჟი: „სამ“, „ხამ“, და „ჲაფეთი“, ერთი ქალი და ყველა ჯურის ცხოველები წყვილად, დედალ-მამალი/ ალხი ხომ გაწყვე-ტილა, ნუხს გადაუწყვეტია, რომ ხალხი გამრავლებულიყო, თავისი ქალის თავისასავე ვაჟზე მითხოვება. მაგრამ ქალი ერთი ჰყავდა ღა ვაჟი კი სამი. ნუხფეჲლმბერი დაღონებულა. მაშინ ღმერთს ჯებრაილი მოუგზავნია ნუხისთვის და უბრძანებია: შენ რომ დედალი ვირი და ძაღლი გყავს, ღა-მე შენს ქალთან ერთად ოთახმი დაამწყვდიეო. ნუხს ბრძანება შეუსრუ-ლებია და დილას ოთახში სამი ქალი დახვედრია, ნუხს თავისი ასული ვე-

ღარ უცენია. თითო ვაჟისათვის თითო ქალი დაურიგებია. შემდეგ ნუხს
თავისი ქალის ცნობა გადაუწყვეტია. ერთი კვირის შემდეგ მიუტანია ერთ-
ერთ ვაჟისათვის სადილი და უკითხავს: როგორია ჩემი ასულიო, ვაჟს
#48#
უპასუხია: კარგია, მაგრამ ცოტა მეტი ლაპარაკი უყვარს. ნუხს უცენია,
რომ ეს ძაღლის ჯიშიდან არისო. მეორე კვირას მეორე შვილისთვის მიუ-
ტანია სადილი. გამოკითხვის შემდეგ გაუგია, რომ მისი ქალი კარგია, ცო–
ტა „ინათიანი", ჯიუტი რომ არ იყოსო. ამ გზით ნუხ ფეჲლამბერს, თვი-
სი პირმშო ასული გამოუცნია. და უნდა ვიფიქროთ რომ ქორწილის შემ-
დეგ „სადილის მიტანა“ ჩვენში, ამ ნიადაგზე უნდა იყოს გავრცელებული.

როცა დედამიწა ზღვით დაფარულა, ნუხ ფეჲლამბერი თავისი შვილე-
ბით და ყველა წყვილი დედალ მამალი ცხოველებითა და ფრინველებით გემ-
ში შესულა. ნუხის ერთი შვილი გემის გარედ გადარჩენილა, რადგან ძალ-
ზე მაღალი ყოფილა. გადმოცემის მიხედვით მისი წელსზევითა ნაწილი
ღრუბლებს სცილდება, მიწიდან ფეხის კოჭებავდის 60 არშინი ყოფილა. მას
სახელად „ეჯაჯილე“ ჰრქმევია და უცოცხლია 6565 წელწადი. იგი ღმერთს
მიტომ გადაურჩენია, რომ მამისათვის გემის საშენი მასალა. მოუტანია.
ზღვის დაშრობის შემდეგ გადარჩენილები ხმელეთზე გადმოსულან ნუხ ფეჲ-
ლამბერის ბრძანებით, რამდენიმე ცალობით ყოველივე თესლის მარცვალი
შეუგროვებიათ და მოუმზადებიათ საჭმელი „აშურა“.

დღეობა აშურა მთელს აჭარისტანშია გავრცელებული. იმ მთვარეს, რო-
მელზედაც აშურას დდღესასწაულობენ, აშურას მთვარეს ეძახიან; არაბულად
მას „მუხერრემე“ ეწოდება. აშურას დამზადება ამ მთვარის მე-10 დღეს
ხდება. აჭარისტანში ვისაც არ უნდა ჰკითხოთ: რა არის აშურა? ყველა და-
უფიქრელად გეტყვის „საჭმელი-“ო, მაგრამ შესაძლოა ეგერ გიპასუხონ შე-
კითხვაზე, თუ რატომ ამზადებენ აშურას.

ხვნა-თესვა და ხარების ავი თვალისაგან დაცვა

დადგება თუ არა გაზაფხული, აჭარელი გლეხი ხენა-თესვის თადარიგს
შეუდგება, აპრილში მიწის ხვნას იწყებს. როცა სახნისის უღელში ხარებს
პირველად შეაბამენ, ხარებს შუბლზე კვერცხს მიამტვრევენ, რათა იმ წელი-
წადს კვერცხის გულივით ყვითელი და კარგი სიმინდი მიიღონ. ავი თვა-
ლისაგან დასაცავად ხარებს უღელში ზღმარტლის, ასკილისა ან ვაშლის
ხის ტაბიკებს უკეთებენ.

უღლის ტაბიკისთვის აჭარლები ტყემლის ან წითელი ვაშლის ხეს ხმა–
რობენ. მათი აზრით სხვა ხისაგან გაკეთებული ტაბიკი არ ვარგა, ვინა-
იდან ამ შემთხვევაში ხარები არ იქნებიან დაცული უბედურობისაგან. სა-
ტაბიკე ხე უთუოდ წითელი ნაყოფის მსხმოიარე ხისაგან უნდა იყოს და
ასეთი ხის ძებნას ზაფხულშივე იწყებენ და გაზაფხულისათვის კი ტაბიკები
მზათა აქვთ.

ამის შესახებ აჭარელთა შორის არსებობს ასეთი თქმულება: „ყანის
მუშას გაზაფხულზე პირველად შეება გუთანში ხარები და თურმე მიწას
ხნავდა. ახლო გზა ყოფილა და იქ ერთ გლეხს გაუვლია. ის გლეხი თურ-
მე იქვე ახლო ცხოვრობდა. სახლში რომ მისულა, თავისი ვაჟისათვის უთ-
#49#
ქვამს: შვილო ამა-და-ამ ადგილას წადი, იქ ერთი გლეხი ყანას ხნავდა, ახ-
ლა ხარი დაკლული ეყოლება, ხორცი იყიდე და ამოიტანე. შვილი წასუ-
ლა უნახავს, რომ გლეხს კავში ხარები უბია და მიწას ხნავს, დაბრუნებუ-
ლა სახლში და მამისათვის ნახული მოუხსენებია. მამას გაუცინია და შვი-
ლისათვის უთქვამს: – ალბად წითელი ვაშლის, ან ტყემლის ტაბიკები ჰქო-
ნია გაკეთებული, თორემ მე ისეთი თვალი მაქვს, რომ უთუოდ მოჰკლავდა
ხარს“-ო.

ხვნა-თესვას სავსე მთვარეზე იწყებენ. ყანაში პირველად გასვლის დროს
გლეხი უთუოდ ყველა სახის თესლს მოაპნევს: სიმინდის, ლობიოს, ბრინ-
ჯის, ხაპის, კიტრისა და სხვა. ეს ხდება ნაახალწლევს, სავსე მთვარეზე
ხუთშაბათს, ან სამშაბათ დღეს.

ქაშატობა

დათესილი ყანა ნიაღვარმა რომ არ გააფუჭოს, ავდრის წინაადმდეგ
აჭარლები „ქაშატობა“-ს ასრულებენ. ამ რიტუალს ადგილი აქვს აპ-
რილის პირველ შაბათს. ქაშატობა დღეს რკინეულს: თოხს, ცულს, სახნისს
ჯილღას და სხვა სახნავ მიწაზე არ გაატარებენ, დაჭედილ ხარებსაც კი არ
გაიყვანენ, რათა ნიაღვარმა ყანები არ წალეკოს.

მაგრამ თუ გვალვა დაიჭირა, წვიმის მოსაყვანად აჭარლები. „ლაზარიას“
აწყობენ, ამისათვის სოფლის გოგო-ბიჭები დედოფალას აკეთებენ და
ცეკვა-თამაშობით სოფელს დაუვლიან და თან ლაზარიას მღერიან.

ჩვენ აქ მოვიყვანთ ლაზარიას აღწერას ხასან გორგაძის სიტყვებით:

ბაღვები შეკაზმავენ გოგოს სურათს, ციცხვს თავს გუკეთებენ. გუკეთე-

ბენ კლავებს, ჩაცმევენ გოგოს ტანისამოსს, მოიჭუჭკვიან ბაღვები. ერთი ერთ კლავზე მოჰკიდებს ხელს, მეორე-მეორეზე და წეიღებენ სოფელში, ყველა კარზე მოიტანებენ და ულოცავენ: ერთი იტყვის, იმღერებს:

„ლაზარ მოდგა კარსა,
აღურღულებს თავსა. (ზოგან „არაკუნებს თავსა“).
შინო-შინო, შინოო,
ჩიტმა შემაშინაო.
ცალი ფხარი მომტეხა,
ცალი შემარჩინაო.
აბლა ხანუმ ყალხ სანა, {„აბლახანუმ ადექი
ბაღ ქულეგა ვარ სანა. {თაროზეა კარაქი“
აბლა მიდგა თაროსაო,
დიემგზავსა მთვარესაო.
I. აღარ გვინდა ბხისა თვალი
ღმერთო მოგვე წვიმა წყალი. (თუ წვიმაა საჭირო)
II. აღარ გვინდა წვიმა წყალი (თუ ტაროსია საჭირო
ღმერთო მოგვე ბზისა თვალი“, (თუ ტაროსია საჭირო)

#50#

და დანარჩენები ამინს დეიძახებენ. მოსახლე გამოუტანს ერბოს, კვერცხს, ყველს, ფქვილს და იმაზე აჩუქებენ. ესენი ყველგან კარდა-კარ დადიან ყველგან ამბობენ „ლაზარია“-ს. მოჭუჭკავენ: კარაქს, კვერცხს, ყველს, ფქვილს. რომ ჩამოივლიან სოფელს, მოხეკილ ხორაგს მოიტანებენ ერთ ადგილზე, გაიკეთებენ და ჭამენ“.

დადები

პირველ სექტემბერს აჭარლები დადეგს უძახიან.

დადეგ ღამეს ყანაში სიმინდს „შებეჭდენ“, ე. ი. სიმინდის ფურცლებს სანთელს მიაკრავენ, რომ ავმა სულმა ჭირნახულს ბარაქა არ გამოულიოს: „ყანები შებეჭდე ჯაზებმა (ავმა სულებმა) რამე არ აწყენიოს“-ო იტყვიან: ყველა ოჯახის დიასახლისი ბავშვებსაც ყურის ძირში სანთელს მიაწებებს; რომ ქაჯებმა არ ავნოს, სახლის კარებში უმცროს რძალს დააყენებენ (და ეტყვიან:

„რძალო კარები დაკლიტე, ამაღამ ბაღნებს არაფერი ევნოს“.

გზობა

„გზობა“ იციან დიდი ხუთშაბათის მომდევნო წითელ პარასკევს და ეს „გველის დღეობაა“. ამ დღეს სახლში შეშას არ მოიტანენ, გველები მოგზაურობენ და მათი შიშით ტყეში ვერ მიდიან. ვინც გზობა დღეს შეშას მოიტანს ხალხის რწმენით, მას შინ გველი მოჰყვება და იმ წელწადს გველი არ მოშორდებაო.

ნადირის დაკოჭვა

„ნადირის დაკოჭვას“ ასრულებენ, როდესაც საქონელი გარეთ დარჩებათ. აიღებენ მაკრატელს, სავარცხელს, დანას და კლიტეს. ყველა ამას ქამრით შეკრავენ და თან ამბობენ:

„მგელი მუა მგელოსანი, თვალი მუაქ ცეცხლოსანი. ღმერთო, ღმერთო, გადაჰყარე ცხრა კილტული კილტოსანი, მგელსა პირი შეუკარი, მის მეგობრებს ხელფეხიო“.

შელოცვის შემდეგ შეკრულებს კერასთან დადებენ და ზედ ქოთანს დაამხობენ. ამას ასე ინახავენ, სანამ საქონელი არ მოიძებნება, შემდეგ გახსნიან.

სამხთო

ადამიანის და ოჯახის კეთილდღეობის მიზნით აჭარლები საღმრთოს იხდიან. დედაჩემის თქმით, საღმრთოს გადახდა ასე ხდება:

„ერთი მოსახლისას ბევრი რომ მოკტება, ბაღანაი არ შერჩება, მაშინ სამხთოს იქმენ. იყიდიან ცხვარს, ან თხას; მეჲყვანებენ ხოჯას და ღდელს; იგინმა ი ცხვარი უნდა დაკლას; დაჰპაჲჯებენ მშვიდ წვერიან კაცს; იმ
#51#
ცხვარს მოხარჩავენ მთლად დიდ კარდალში; რომ მოიხარჩება, მერე ბილს შართუმენ. ვინც იმ ოჯახის, წევრია, ან გათხოვილი ქალი, ან გაყოფილი ვაჟი, ყველას მეჲყვანებენ, ყველა ერთათ მოჲყრის თავს. გაკეთე-

ბენ კიდევ სხვადასხვა საჭმლებს, იმ ბილ ხორცს და საჭმლებს. ჭამენ, ბილი ხორცი მარტო ხოჯას, ღდელს, დაპაჲჯებულ წვერიან კაცებს და რძალს ეჭმევა, სხვას არა, თუ გინდა გაყოფილი იყონ ცალკე.

როცა საჭმელის ჭამას გაათავებენ, მთელ ძვალს და მის ნაწილებს მიტკალში შახოვენ და შეხოუ̂ლს დადებენ. გარშემო შამუ̂ასხდებიან: ხოჯა ღდელი და მისი წევრებიც, ვინც დაპაჲჯებული არიან. ხოჯა ჯერ კითხულობს, დუას შრება, ღმერთს ეხვეწება. წვერიანი კაცები და სხვა ვინც იქ არის ამინს ამბობს, რომ ნაბედვარი, ნაფიცარი, ან გადაცემული არ იყოს ეს ოჯახიო. მემრე ღდელი დეჲწყებს კითხვას მისებურა იგიც ღმერთს ეხვეწება: დეიხსენი ღმერთო ეს ოჯახი ნაფიცარიდან, ნაწყევარიდან, რაზედაც იყოს გადაცემული, გაბრიელ საბრალოს. გადანაცემარიდანო.

მემრე მიტკალში შეხოვილ ძვლებს მეზელუღზე წეჲღებენ. მოთხრიან მიწას და ჩადებენ შით, დამარხვენ. შჲეხვეწებიან ღმერთს, რომ ღმერთო იმ ოჯახში სიკტილიდან ნუღარ ავნებ ნფრაფერსო“.

ძველად საღმრთოს შესრულება ადამიანის მოტაცებასთან ყოფილა დაკავშირებული. ბატონ-ყმურ საქართველოში ტყვეების მოტაცება და მათ-
#52#
ოსმალეთ-სპარსეთში გაყიდვა ჩვეულებრივი ამბავი იყო. ამას მებატონეებიც ხელს უწყობდენ, რადგანაც ეს მათთვის შემოსავლის წყაროს წარმოადგენდა. მაგრამ ადამიანის მოტაცება მისი მახლობელის დაუხმარებლად მეტად ძნელი იყო, ამიტომ ხშირად ტყვეს მოტაცებაში მონაწილეობას ღებულობდა ვინმე მოსყიდული ნათესავი, რომელიც ამ საქმეს ხერხიანად აწყობდა.

ასეთ პირს მოტაცებულის მშობლები წყევლიდენ და ვინც ასეთ შემთხვევის გამო დაწყევლილია, ხალხის რწმენით, მის ოჯახს სიკვდილი არ მოშორდებაო. ამიტომ დამნაშავე პირი, რომ ოჯახი სიკვდილიანობისაგან დაიხსნას, მოიწვევს ხოჯას, მღვდელს და საღმრთოს გადაიხდის, დაკლავს ცხვარს და ადამიანის მაგიერ მის ძვლებს მიწაში დამარხავენ.

ეს წესი წინათ უფრო გურიის მოსაზღვრე სოფლებში იყო გავრცელებული, განსაკუთრებით ქობულეთის რაიონში. ეს იმით აიხსნება, რომ ტყვეების მოტაცება-გაყიდვაში გურიის მებატონეებს პირველი ადგილი ეჭირათ და ამიტომ დამნაშავე აჭარელი საღმრთოზე ქრისტიანთა მღვდელსა და ხოჯასაც ერთად იწვევდა და ღმერთს შეცოდების მოტევებას შესთხოვდა.

ამასთანავე აჭარელის ოჯახთან დაკავშირებულია სხვადასხვა ცრუმორწმუნეობა. მაგ., კერის ცეცხლზე ბლის შეშას არ დაუდებენ, რად-

განაც, სანამ კერაზე მისი ნაცარი იქნება, ოჯახში ავადმყოფობა არ გამო–ილევაო. ცეცხლზე არც სუროს დაწვავენ, საქონლის ზარალი მოგვივაო, კერაზე ფეხის გადაბიჯება არ შეიძლება, კერა გაცივდებაო. კერაზე ჩამოჯ-დომაც აკრძალულია და იტყვიან: ეს დაფუხრებას ნიშნავსო და კარზე მე-ვალე დაგვიჯდებაო.“ როდესაც კეცზე მჭადს დააკრავენ და ზედ „საჯს“ (თუნუქს) დააფარებენ, ასტამით ნაღვერდალს ისე დააყრიან, რომ ნაკვერ-ჩხალი არ გადმოვარდეს; თუ გადმოვარდა კეცზე არ დაუმატებენ: „ვალი ვალს დაემატება და ვეღარ გადავიხდითო“.

#53#

3. ხალხური სიტყვიერება

აჭარული ხალხური სიტყვიერება მდიდარია განსაკუთრებით ლექსებითა და ზღაპრებით, რომელშიაც ასახულია აჭარლების ყოფაცხოვრებისა და საზოგადოებრივი მოვლენების სხვადასხვა მომენტები. ამ მხრივ საინტერე-სოა, სხვათაშორის, ნადური სიმღერები. ნადურ-ყანური სიმღერებით განთ-ქმულია ქობულეთის რაიონი. ჩვენ აქ მოვიყვანთ აჭარულ ხალხური პოე-ზიის ზოგიერთ ნიმუშს.

1. ბერი კაცი

ბერი კაცი, ჩაჩქნა ბერი,
ჩაჩქნა-ჩამარგალიტული.
ჩემი ვირი, კუდი გრძელი
ათას ხუთას თუმნად ღირდა.
ადგა ბერმა შეიკაზმა,
ტანს ჩაიცვა საომარი.
შეჟდა ცხენსა ბედაურსა,
და გაუყვა სერი-სერსა.
წინ მელანი შეეყარა,
შეემუშტრა ცხენშიდაო;
ჩემი ვირი მეტად ღირდა,
ათას ხუთას თუმნად ღირდა
ამოიღო თოფი მისცა,
ვერცხლითაა მოჭედილი.

დეიხუა ბერძა კაცმა:
ჩემი ვირი მეტად ღირდა,
ათას ხუთას თუმნად ღირდა
ამოიღო ფიშტო მისცა
ვერცხლითა და მოჭედილი,
შეუსრულა ვირის ფასი.
დეიხუა ბერმა კაცმა:
ჩემი ვირი მეტად, ღირდა,
ათას ხუთას თუმნად ღირდა.

#54#

გადმოხტა და რახტი მისცა.
შეუსრულა ვირის ფასი.
დეიხუა ბერმა კაცმა:
შენი თოფი შენთვის ქონდეს,
შენი ფიშტოც შენთვის ქონდეს,
შენი რახტიც შენთვის ქონდეს.
ჩემი ვირი ვირად მინდა.
დეიხუა იმ მელანმა,
ვირსა კუდი წაუძგუფა,
გახტა რუსა, დაგდვა გულსა,
ის მოალბობს შენსა გულსა“.

2. საჯევახურაჲ

„შარშანდელსა ნაყანევსა,
ჩიტი აჩენს ნაკვალევსა,
დაუძახოთ მეძებრებსა,
შეძებრებსა მელის ფერსა.
დაუძახეთ, მეირბინა,
ჩააყენეთ ჩიტის კვალში,
დაუსუნა, გიეკიდა.
გავხევი და გავაყურე;
ჩივა ლეკვი დაწუნწკულებს.
გავხევი და გევეპარე,
ამიფრინდა ჩიტი პაწაჲ,
შეჟდა ხესა, ხე მაღალსა.

მივხევი და მიველ ძირსა,
შევყავ ხელი ჩამოვიღე,
ჩამოვიღე, დავდევ ძირსა.
ჯიბეს ხელი გავიკარი,
ამოვიღე ჯაყვაჲ – დანა,
დამიჩოქა, შემეხვეწა:
შენ ბატონო, კარქო კაცო.
კარქო დედის-მამის შვილო,
უკეთესი სახლის შვილო,
შინ გამიშვი, შინათასა,
გოგოს ვეტყვი ფინათასა.
ძღვენს მოგიტან გვარიანსა,
დედალ-ყვერულ ვარიასა.
მიგიკლდება – მოგიმატებ

#55#

3. სასადილო

„მთას ხოხობი აფრენილა.
დაბლა ჭალას ჩაფრენილა.
ჭიჭვობზე ჭიჭვსა შჭამდა,
მოლობაზე – მოლასაო.
გამოსულა მეხოხბები,
იხვს იჭირვენ შევარდნითა,
ნეტამც იგი მაცოდინა:
ვინ ასწავლა ქორსა ფრენა
და შავარდენს ნადირობა;
ნადირაი ნადირობდა
ცალი გვერდი ამძიმებდა,
ეცა, მგელმა გამოშჭამა,
დიეკარქა ნადირობა,
თუ მაინძელს ნადი უყვარს –
გადიბრიქა სადილობა.
მაინელსა მხიარულსა,
დტუმრები ჰყავს საყვარლები,
ღმერთო, იმას ნუ მოუშლი
ვისაც ხავდეს საყვარლები“.

4. ყარანაᲘ

„ყარანაი ყანაშიო
მეტად გასუქებულაო.
სხაპს მოუწყობ, დავიჭირავ,
თოკს წავაბამ ფეხზედაო.
ორ წყება ნალს (მუხს) ვიყიდი
ზედ დავაჭედ ფეხზედაო.
ათას ოყა ქერს ვიყიდი,
შემოვიკრაავ თერქზედაო
გადავკაზმავ, ზეთ შევჟდები,
გავიგოგვებ სერზედაო.
წინ მელანი შემეყარა,
შემემუშტრა ცხენშიდაო.
ეს ყარანმა დეიხუა,

#56#

ით გადაშპა კლდეშიდაო.
იმ ყარანაᲘს დაკლაზეო
ცული გავსტეხე ბერძული,
იმ ყარანაᲘს გახტაზეო,
ყირმის დანა გავსტეხე.
ავჩარიქე, დავჩარიქე
ორ ყურ ქვაბში არ ჩავიდა,
კაბჭანაში არ ჩანაო.
ასი კაცის შეჭამადი,
ერთი ლუკმაც აღარაო.
ძირში დავდევ – გამხმარიყო
ჭერზე დავდევ – დამპალიყო“.

5. ᲯიქურაᲘ (საღამოს სიმღერა)

„ელია თუ მელიაო,
ჩიტი მომიწველიაო.
ერბო მისი მონახადი,

ქალაქს წამიღებიაო.
იმ ქალაქის მოქალაქე,
მიდიან თუ მოდიანო.
სამი დაი, დანძმულები,
მოხვებიან სერი სერსა.
წინა გველი შიეყარა,
და არჩია სამდანებში,
ყოლს უმცროსი, უკეთესი
გველმა ცოლათ ეიყვანა;
ეიყვანა, წეიყვანა,
მაღაროში შეიყვანა.
გველმა შექნა ხრიალიო,
პაწა გოგომ წკრიალიო.
სწერა წიგნი და აგზანა:
– დედავ, ჩემო ბედნიერო,
შენ მიშველე, მომეხმარე.
შენი სიძე წითურია,
დღეი კაცად გეჩვენება.
ღამე სხვადასხვა ფერია.
– ცოლ ქმრობისა სიყვარული,
ყველას გამოგვიცადიაო.
თუ რამ პაწაჲ პურისასა”...

#57#

სწერა წიგნი და აგზავნა:
„ძმაო ჩემო ბედნიერო,
მიშველე და მომეხმარე.
შენი სიძე წითურია,
დღეი კაცათ მეჩვენება,
ღამე სხვადასხვა ფერია“.
– ცოლ-ქმრობისა სიყვარული,
ჩვენაც გამოგვიცადიაო.
სწერა წიგნი და აგზანა,
რვაჲ წლისა უბარ ბიძას:
„ბიძავ! ჩემო ბედნიერო,
მიშველე და მომეხმარე.
შენი სიძე წითურია,

დღეი კაცათ მეჩვენება,
ღამე გველვეშაპიაო“.
ადგა ბიძამ შეიკაზმა,
ტანს ჩაიცვა საომარი,
გადიკიდა წელზე ხმალი.
გადაკაზმა, ცხენზე შეჟდა,
უშველა და მიეხმარა.
სასთუმალსა თავი დახტა,
საფერხელსა წივის ძვალი?
სესტუმალსა წიგნი დახტა,
ასწია, და წეიკითხა:
„გველმა ხვრელში გეიარა,
შენმა მტერმა დი ორგულმა,
დედა მიწა გეიარა“.

6. მომღერალი გუნდის ხელმძღვანელსა და ჩადრის გამკიცხავს

კულტურას ემსახურება. ანანიძე მურადია
ბევრი კარგი საქმე გვიყო, ჩვენი ქვეყნის ბელადია.
პირველად ჩადრი დამარხა, თან დაჰყავს შვილი ფადია,
ძმა და ვაჟიც გამოწაფა, მით შეადგინა გუნდია
მურადი ოდელას ეტყვის, ფადია კი ნანასაო,
არიფი მაშინ უყივლებს, ხასანი ეტყვის ბანსაო,
იმართება კრიმანჭული, ოდელია ნანასაო,
მშვენებით ყველა უცქერის, სასურველ სანახავსაო.

#58#

ხშირად კონცერტებსა დგამენ, და მით ატკბობენ ხალხსაო
ცეკვა თამაშიც იციან, მასზე ვინ იტყვის უარსაო,
საზოგადოთ მოგიწოდებთ, ვინც დაიჯერებთ მასაო,
ჰარმონიულად ამბობენ: დელი დელა ნანასაო.
ბნელეთს ზურგი შევაქციოთ,. მივმართოთ კულტურასაო,
ჩადრი ერთობ გადავაგდოთ და მივაღწევთ შველასაო,
ჩვენს კეთილ მურადს მივბაძოთ, იო დელა ნანასაო,
მით ქობულეთს დავამშვენებთ აყვავებულ კუთხესაო,

გვითხარ დებო!.. ვის უმალავთ, მაგ მშვენიერ სახესაო,
ჩადრი მოგავს: საშინელი მაცდურების მახესაო.
სუყველა ერთად ფასდებით, ვერვინ არკვევს თქვენს ხნესაო,
ჩადრი ფარავს თქვენს სიტურფეს, ემსგავსებით ბრძენებსაო.
გუშინ ქორწილში ვიყავი, იმღეროდენ დელასაო,
მურადი ხელმძღვანელობდა მის შემადგენლობასაო.
გოგონებიც უცქეროდენ, უხაროდათ ყველასაო,
ფადია მამასთან იდგა, იო რამა ნანასაო,
არიფი წვრილს გაჰკიოდა, ხასანი ედგა მასაო,
შეერთებულად ამბობდენ მშვენიერ გალობასაო,
ბუნების ძალს ვევედრებით: ნუ მოაკლებ შველსაო,,
ბოლოს ხალხი ვიძახოდით!... ერთობ დიდ მადლობასაო.
ხა სა ხაბაძე გახლავარ, შევესწარი ამასაო,
მეც მიტომ განვიზრახე: ლექსად ვიტყვი ქებასაო.
ბაჯელიძევ დაამღერე, თქვენ რომ იცით „იასაო“,
ბოლოს ორხელ დაიძახე: ნანინაი ნანასაო.

ავტორი: ხასან ემინისძე ხაბაძე სოფ. აჭყვისთავი

7.

გევიარე ჭალებშიო
ყოფნა მინდი ქალებშიო,
მეტათ კარქა სუქანი ხარ,
გენაცვალე თვალებშიო.

#59#

8.

გევიარე წყაროზეო
წყალი მიმაქ კოკითაო,
ღაპაპი რომ სუქანი გაქ,
გამაძღევი ლოყითაო.
ვაშლი მქონდა ყირმიზიო.

9.

გოუცვალე ბიაშიო,
შენ რომ მეტათ მე მიყვარხარ,
გენაცვალე ყიაშიო.

10.

კურდღელმა თქვა „ჩემ საწოლი,
ლობდა ძირი ბელჩქიავო,
ჩემ ფეშინში მომდევარი
უჭკუვო და ბეჩიავო“.

11.

მგელმა სთქვა რომ ჩემი საწოლი,
შავი ტყე და ბაძგნარიო,
სამი ძროხა, რომ შევჭამო,
არ ვიქნები მაძღარიო“.

12.

დათვმა სთქვა, რომ „ჩემ კისერზე
ამოსული ქოჩორიო.
ჭამა რომე ბევრი მქონდეს,
საქმე ვიცი ხოშორიო.“
ამ ჩემ ცხენსა ჩაქმანასა,
ლექსი უნდა ახლა მასა.

13.

შევჯექი და გადმომაგდო,
აღარ უნდა შევჟდე მასა.

14.

ცხენსა მუხი ეწიავო,
თურმე რარი ბერწიავო,
დედმამა თუ გიცხო5დება,
გამაშორე კოწიავო.

15 მიჯნურობა.

ვაჟი გამოსული რომ გამოვა,
ამწვანდება მთა და ბარი,
შენი სევდა გულსა. მიწვავს,

#60#

შემიყვარდი ნამეტარი.
დღისით ფეხზე დავბოდიალობ,
არ მიფიქროთ მე ცოცხალი.
სევდისაგან დამწვარია,
უბედური ჩემი თავი.
მე თუ მოვკვდე დამიტირე,
გულზე ცეცხლი დამაყარე.
მინდა შენზე ჩაკონება,
შენი ჭირი ჩამაყარე.
ძალიან მეტად შემიყვარდი,
გამორჩევლი ათას ქალში,
სევდამ ძალიან შემაწუხა,
გლახათ მომაქცია ტანში.
შენი სახე მიდგას თვალწინ,
ცეცხლი მეკიდება ტანში.
ჩემი ბედი ასტე არის,
დღე ჩემთვინ დაბნელებული.
ეს ოხერი სიყვარული,
ჩემთვისა გაძნელებული.
ჩემ სიყვარულს ნუ დაბარგავ,
ქალიც თუ ხარ ვარგებული.

ქალი არც დავბარგავ, გენაცვალე,
იყავი დარწმუნებული.
შენ გამმეტი სხვა არ მინდა,

იყავ სულ გახარებული.

ვაჟი ნეტავი რა გამახარებს,
შენზე ვარ მოშორებული.
წუხელი გნახე სიზმარში,
ჩემ კლავზე დაძინებული,
გავიღვიძე ცრუ დამირჩა,
ჭკუაზე ვარ შექანებული.
უნდა ჩავეჭრა ღრე წყალში,
ასტე ვარ მოფიქრებული.

ქალი ოხერი ქალი გახლავარ,
ბედისგან მივიწყებული,
ადრე ხანში შევიქნებით
ერთ კლავზე დაძინებული.

ვაჟი ერთი ღამი შენთან წოლით,
ხომ არაფერი წახდება.
ღარიბებს ფულებ ვაჩუქებ,
შენი სიტყვა თუ ახდება.

#61#

ქალი თავს ნუ იკლავ გენაცვალე,
ქალიც გახლავარ უბედო,
ასე უწყალო სიკვდილით,
მე შენ როგორ გაგიმეტო,
არა კაცის არ მცხვენია,
სადაც გინდა წამიყვანო,
ერთი ღამე შენთან დავწვე,
მინდა ჭკუაზე მოგიყვანო.

ვაჟი ამას ყველას მე ვმერაყობ,
აგი ძალა დავიხმარო,
ამ საქმიებს შევასრულებ
ბოლოს მიწა წავიყარო.
დავიფიქრებ შენ ნაქმარებს,
უფრო-უფრო მიახლდები,

ამ ლექსების გამომთქმელი,
სევდიანი გიახლები.
ამ ქვეყანას ვერ გევხარე,
საიქიოთ რა ვიქნები.
ეს ქვეყანა მე რათ მინდა
შენ თუ ჩემი არ იქნები.
ყველას მე რაღა მოუყვე,
გულში ჯავრი მაქვს ორგული,
ამ ლექსებსაც ნურვინ მკითხავს
„სეკრეტათ“ მაქვს გამოთქმული.
რაც ამდენი მე ვიმწვალე,
ამას შობა სიყვარული.

ქალი უცბათ ზამთარი მოვიდა,
თოვლი მიაწვა ზეცაში.
ღმერთმა ზაფხული მოგვასწროს,
ავაწყოთ ქეიფი თამაში.

ვაჟი საყვარელი ქალიც კი ხარ,
მე უშენოთ ვერ გავძელი,
ტანში სული გამეცალა,
თავზე მადგი ელი.
რაც ამდენი მე მამწვალე,
სულ-მთელია დასაჯერი,
შენი სევდით დავიღუმპე,
სახლზე აღარ მხურავს ჭერი.

ავტორი: დ. მჟავანაძე. ჭვანა
ჩაწერილია: სოფელ კვატიაში ისრაფილ ბერიძის მიერ.

#62#

16. მელაი

ქათამი ვიყიდე, ვერ ვქენი ქარი,
მე გემ ღია დამრჩა საქათმის კარი.
უსულით მიყურებს, მეგემ იქ არი.

რაფერ ჯამბაზია ქათმების მელაჲ.

მუცელში ჩემეჭრა ქათამის დერდი,
პაწაჲ თეთრი ჰქონდა გული და ფერდი,
იმის მერაყისაგან აგერ დავბერდი,
რატომ დამაბერე მურტალო მელავ.

ძაღლის საყიდლად საცხანდა გევქცე,
ძაღლი თუ მომწონდა ბევრინდა მივცე,
უძაღლობისგან აღარნდა დევქცე.
რაფერ გომუზს მევყვან, დეჲნახე მელავ.

ბეღელში მქონდა მე თაფლის ტიკი,
რაფერ ეგემრიელა ჯრელ ქათმის ჭლიკი.
ჲოღუნი ყოფილა – ჭამაში ცქვიტი.
ეს ერთი საქმე, არ შეგჩება მურტალო მელავ.

ჩეიყვახა ყანაში, დიდი ნაძვის ძირში,
მოწიკვა კაჲ ხორცი, ჩეჲკეტა პირში,
ოზუნა შეჭაზა მარტუა ტყეში,
გამჩენმა გარწყიოს სწორამდი მელავ,

ლაზოღლი ყადირავ მეხი დეგეცა.
ნეოლურდი პაწაჲ ყური მიგეცა.
რომ დეინახა, შევდა სახლში ფეხი მეჲკეცა.
შენ იყბალზე ისიც დაყრუვდა მელავ.

დილაზე გამევიარე მუელ კალოზე,
მეგემ ქათამი დააძინა დაბლა წყაროზე.
შეველ, თოფი ვეძებე სახლის თაროზე,
შენ იყბალზე; ისიც დაჯანგა მელავ.

#63#

„მელანუნ ომრი გელდი ზევალა,
ბუდესტან ჲაფთი უსტა ქიბარა.
ომარამ ალლაჰდა თილქი გეზერა“,
ამ ზამთარ შენი დაგჭირვა მწადია მელავ.

ავტორი: ქიბარ კახაძე სოფ. ქედლები

17. ლობიავ

ჩემო გამზრდელო ლობიავ,
რაფერ თამაშობ ქოთანში,
ძალიანი გაპატივე,
ტორით ჩაგყარე მიწაში.
ისეთი ღჯები დაგისვე,
კატრები წეადღე ზეცაში
დამწიფება არ იფიქრე,
ზრუგით მოგიტანე სახლში.
მოხუცებული კაცი ვარ,
ფეხი მიწყვია ნაცარში,
ბევრსაც გელაპარაკები,
ორვე ქე ვზივართ ოთახში.
წყალი გისხი, ცეცხლი გინთე,
ქაფიც ქე გადგანა თავში,
შენ რომ ფეხზე დამეთეშე.
ეხლაც მტკივა წვივის ძვალში.
შერცხვენილი შენი თავი,
ვერსად ვერ გამოხვალ კარში;
მამაჩემი შენ მოკალი,
რაფერ ჩასდიე მიწაში.
ასეთაც დასივებულხარ
ვეღარ ეტევი შენს კანში,
თუთხმეტს ერთად გადაგყლაპავ,
თუ კი ჩაგამწყრიე ჯამში,
მე გახლავარ ამისთანა,
მოხუცი ვარ ერთი კაცი,
პაპუცა თუ არ გიახლოს,
გინდა ქი შეგხდები გზაში.
ძველიდგან ასთე ყოფილა,
შავრი ღირდა შენი ფასი.
მარილი რომ გამიძვირდა,
ახლა გამიჯექი ტანში.

ღამე გარეთ გამომაგდე,

#64#

ბნელიც იყო!.. ავდრიანში.
ნამეტარი ვიფაცურე,
ვერ შევედი საყუდარში.
უკალონოთ დეიარები,
დაგკარგვია ცუდის კარი.
დუვიწყარი საქმე ვქენი,
დაგატეხე კობზისტარი.
ახლა ფირალად წავედი,
ტყეში ვწევარ აი ზამთარი.
სუდია თუ დამიბარებს
მასთან შემიძლიან ვარი.
მოწმენებმა გაარჩიოს,
ჩვენი საქმე, დანაშაული,
მე რომ გარეთ გამომაგდე,
შიგნით დაიკეტე კარი.
ამარ თუმენ, შენ მოგცემენ,
თუ მმართია შენი ვალი.
დამიჯერე, ყველგან გლანძღავ.
არც ძაღლი გჭამს, არც ქათამი,
ვინცა შეგჭამს, ყველას მოკლავ –
ძროხა იყოს, გინდა ხარი.
ძველიდან გემსახურება;
სადაც იყოს ქალის გვარი.
ხომ არ გინდა მოგაყაროს:
კამა, ქინძი, პიტნა მყრალი.

ავტორი: ახმედ ბაჯელიძე
ჩაწერა ხუსეინ ბაჯელიძემ.

ეპიზოდი ტყვეთა მოტაცებიდან

ტყვიების მოტაცების შესახებ დედაჩემმა შემდეგი მიამბო:

„შვილო ძველად ხდებოდა ცოცხალი ადამიანების მოტაცება: დიეცემოდენ ქართველი მუსულმანს, მოსტაცებდა: ცოლს, შვილს. დატევდენ მარტო

კაცს აწიოკებულს, ატირებულს, ცეცხლ მიკიდებულს. ი კაცი გამწარებული მუყრიდა ხალხს თავს; წეიყვანდა. დიეცემოდა კაცს ჯიხურზე; ჯიხურს ერთი კარის მეტი არ ხონდა. ღამე იგიც დაკილტული იყო. რუმ ვერაფერს უშველებდენ, საღორეში ღორს აჭყვირებდენ. კაცი კარს ცოტას გამუაღებდა და ღორს შუმახებდა, ერთქვანები არ დარჩოსო. ერი კაცი კართან იყო ჩუმათ ამოტუზებული. იგი უცეფ დუქნევდა ყამას და თავს მოშჭრიდა. მემრე გაღებდა კარს, შევდოდენ სახლში; მოიტაცებდენ ქალს,
#65#
ბალანს. ქალს, რუმ არ ეყვირა პირში ცხვირსახოცს ჩუდებდენ, წამოიღებდენ ვეშს, ყოლფერს,

იმ ტყვეებს გაყიდდენ: ზოგს სამას ყურუშათ, ზოგს ხუთას ყურუშათ, ყურუში – დაახლოვებით შაურს უდრის). ამ ტყვეებს ყიდულობდენ: ბეგიე–ბი და აღიები“.

ასევე მოუტაცებია დედაჩემის ბაბუას, სულეიმან ხაბაზს, რომელსაც ორას ოცი წელი უცოცხლია, ვინმე ბოლქვაძის ქალი გურიიდან; ქალი ძალზე ლამაზი ყოფილა, გასასყიდად ვეღარ გაუმეტებია და ცოლად შეურდავს.

სამუსულმანოდანაც თურმე. ასევე იტაცებდენ ტყვეებს. ბავშვი ყანაში სადილს რომ წაიღებდა, გზაზე დახვდებოდენ; სადილს შეჭამდენ, ბავშეს წაიყვანდენ და საქართველოში გაყიდდენ.

ბაბუას მამამ, მემიშ ნოღაიდელმა, ერთი დღის საგზალი წაიღო თურმე ყანაში, რომელიც ფართხნალში მდებარეობდა. მეორე დღეს მისთვის სადილი ბაბუას უნდა მიეტანა. როცა სადილობის დრომ მოაწია, დედამ ჩაულაგა ბაბუას სადილი „გორიცაში“ და ყანაში გაგზავნა, მემიშმა მთელი დღე უცადა, სადილი რომ არვინ მიუტანა, საღამოს შინ დაბრუნდა. სახლს რომ მეუახლოგდა, ცოლი გამოეგება და ოსმანი სად არისო – ჰკითხა. გამოირკვა, 10 წლის ოსმანი გზაში დაკარგულიყო. ბევრი ეძებეს, მაგრამ კვალს ვერ მიაგნეს. მესამე დღეს კი ოსმანი სახლში მოვიდა, მშობლებს ძალზე გახარებიათ დაკარგული ბავშვის დაბრუნება და გამოუკითხავთ თუ სად იყო. ბაბუა ჩემი ამის შესახებ ასე გვიამბობს:

„სადილი რომ წევღე, ნადირის მეშინოდა და გზადაგზა ვმღეროდი. სატახიეს ტყეში რომ შევედი, გზის პირზე ვორი კაცი დევნახე, იჟდენ, ახლო რომ გაუარე, წამოცვინდენ და დამიჭირეს. სადილი მომაძრეს ზრუგიდან და პირში მახრამა ჩამიბუშტეს. იქით-აქეთ ჩამომიდგენ, მომკიდეს ხელი და ტყეში წამიყვანეს. დიდხანს მარონიეს ტყით. დავისვენეთ მე ხელები შემიკრეს და იგინმა ჩემი სახლიდან წამოღებული სადილის ჭამა დეიწ-

ყეს. პაწა მეც მაჭამეს. დიდი ხნის სიარულის შემდეგ ერთ დიდ ტყეში დაგვიღამდა. ხელები შემიხსნეს, დაწვენ და მე შუაში ჩამიწვინეს. ზევიდან ნაბადი გვეხურა. მე ვითამ ჩამეძინა. დავჭუჭე თვალები და გავპწყილდი, ცოტა ხნის შემდეგ ერთმანეთს დაელაპარაკენ: ბაღანას ჩაეძინა. აწი ჩვენ დავიძინოთო. მალე ხვრინვა ამოუშვეს. როცა დავრწმუნდი, ორივეს ღრმად ეძინა, ფრთხილათ. დავიწყე ფეხებისკენ ნაბდიდან გაძვრომა. დავაღწიე თავი. ფთხილათ წამოვდექი, მოვისაზრე საიდანაც მოვედით და ნელი ნაბიჯით გავემართე. იგინს ეძინა. პაწაᲲ რომ გამოვიარე. ხმელ ბოლს (ტოტს) თურზე ხელი მოვჰკიდე და მოტყდა. მაშინათვე გვერდზე გადავხტი და ბუჩქებში ჩავიმალე. ხმაურობაზე ერთს გამოეღვიძა და მეორის უყვირა: ბაღანაᲲ გაპარულაო. მაშინვე წამოცვივდენ და დამიწყეს ძებნა. შავი, უკუნეთი ღამე იყო, ოვალში თითი არ იკრებოდა, ერთმა ბელჩქვთან გამოᲲარა. კასამ ფეხი წამკრა. გეᲲქცენ მონავალი გზით. ცოტა ხნის მემ-
#66#
რე მეც წამოვდექი და ფეხაკრეფით უკან გავხევი იგინს. ხანდახან გავჩერდებოდი, გულს დავიმშვიდებდი და ყურს დაუგდებდი, ახლოს ხომ არ არიან მეთქი. ცოტა ხნის მემრე, ხევის მეორე ფერდზე ლაპარაკი შემომესმა: – „იგი ამდონზე წამოსვლას ვერ გაბედავდა; სადმე ახლოს იქნება, წავიდეთ და იქ მოვძებნოთო“, უკან გამობრუნებულებმა მალე შემიარეს გვერდი. დიდხანს ვიარე უგზო უკვლოთ ღა რომ თენდებოდა, გამოვარჩიე ერთი ხშირი ბოლებიანი ხე, ავედი ზეთ და ბოჯიყაში ჩავიმალე. მესამე დღეს ჩოლოქზე გამოვედი, ვნახე მეყანე ხალხი და იგინს გამოვხევი“.

ქემალ ოსმანისძე ნოღაიდელი, 50 წლისა. სოფ. წყავროკა.

#67#

ზღაპრები

იბნე ყული – (უკანონო შვილი)

ერთი ხემწიფე ყოფილა. ხოლია ხუთი ცოლი. ხუთ ცოლში ერთი უმფო, ვოთხს გარეთე გულის საყვარელი იყო. ხემწიფე მჟდარა თავის ოჯახში, მის საყვარელ ცოლთან და ქეიფობენ. აწე ხედიათ (ძღვნად) მუტანეს მას ერთი თეფსი ახალდაჭირული თებზი, აწე მისმა საყვარელმა, გულის ქალმა პირის ფერდე მეიფარა და პირი დამალა, ჰკითხა ახლა ხემწიფემ მის ცოლს, რუმე პირი რეიზა დამალეო. აწე ქალმა უთხრა, რუმე მაგაში იქნება მამალი თებზი და მე რუმ დევენახეო, შევეხავისები და ცოდვა დე-

მეწერებავო. ამ დაჭირულმა თებჩზმა, კტარმა თებზმა გეიცინა დიდათ. მემ-
რე აგი დიდათ გეიკვირა ხემწიფემ: კტარმა თებსმა რაფერ გეიცინავო,
ამ ფიშმანობაში დარჩა ხემწიფე.

ერთი დიდი „ხამამი თუ ჯარი“ (დიდი ვაჭარი) დეიარებოდა. ვაჭრობ-
და აბრეშუმოვლობას, ხახოვლობას, მარგალიტს და იაქუფების ტაშს –
(ქვებს); იმას ხავდა ვოზდა ათი ჯორი, დიდვან „გოროტებში“ დეიარებო-
და და იქ ვაჭრობდა. ერჯერ აი ჯორები დაშჭვირთა და ერთ დიდ მთაზე
გევდა იქანაი საბალახო მოსწონდა, მოხადა ჯორებს კურტანი და დააბალახა.
წავიდა გორებზე გასარებ-გამოსარებად, დასვეზებულმა, ნახა ერთი კაცის
თავის „კაფაღი“ – (ქალა) გაგდებული ძვალი. დახედა ზეთ და კაცის თა-
ვის ძვალი იცნა. ნახა ზეთ, რუმე დაწერილი. ი თავის ძვალზე წეიკითხა.
სწერია იმ კაფაღზე: ოთხმოზდა ხუთი კაცი მუკლაეს, ჰოცდა თუთხმეტი კა-
ცი კიდევ უნდა მოკლას ამ ძვალმავო. ასწია, მიტანა ეს ძვალი ქვაზე და
დანაყა, დაქფია გახვია ქაღალდში და ჩეიდვა ჯიბეში. მივდა, ცხენებზე
კურტანი დადგმია მის თანხლებლებს და გზას დაუდგა. გეიარა თავის ოჯახ-
ში. მას ხავდა თავის ცოლი და ერთი ქალიშვილი – გოგო, ასწია აი ქა-
ღალდი წასლიხანს და სკივრში ჩადვა. დუბარა თავის ცოლს, რუმ მე
შორს გოროდში მიალ, ბელქი ერ წელწადს ვერ მოვდე და ჭკვით იყავით,
მანუმ წევდა დედა მისი საცხა იყო და გოგო სახში მარტო დარჩა. გო-
გოს მიეწყინა და თქვა. მამაჩემის სკივრში ჩავხედავ ერთს და გინდამც
ბაბაი მენახოსო. შით დეიარა სულ და რაცხა ნახა მამამისის გამოხოვლი
ქაღალდში. ჩახედა, უმე ვერაფერათ ვერ იცნა. რაცხა თეთრი, შაქარსა-
#68#
ვეთ იყო დაქფოვლი მივდა, გასინჯა, დააწო ენა და გოგო ტაწში დეიბ-
ნიდა. მუვდა ჭკუა თავში და იფიქრა: ნეტაი რა დემემართავო. ი გამო-
კონილი ქაღალდი ქიჩადვა ისტევლე სკივრში. ენის დაწებით, ძვალის გა-
სინჯვაზე გოგო ურსულად გახდა. შეფიქრდენ, შემოფიქრდენ და ვერაფე-
რი ვერ გეიგეს, ნეტაი საიდან რა იქნა, მუვდა დრო, ეი და ბაღანაი დეიბა-
და, დეიბადა ბიჭი. შეხედეს ბაღანას, რუმე ნამეტარი კაი იყო. ყოლიფერ
დღეზე უმეტეს – უმეტესად იზდება ბაღანაი ხარბად.

მუაწია მამა მისმა და ძალვან ეხავისება თავის ოჯახში მისლა, თუჯარს
შვილიც ენატრება. გიეგება თავის ცოლმა გარეთ ძალვან გახარებუ-
ლი და კიდეც დაფიშმანებული – (დაფიქრებული), რუმე ამ შვილიზა ქმარს
რა ვუთხრა, მან რუმ დამიმოწმა ჭკუით, მშვიდობიანად იყავითო. მამამ
რავარც დაჟდა თუ არა, შვილი მოიკითხა, ჩემი შვილი სად არისო. ცოლ-
მა ძალვან მორიდებით გუმცხადა ქმარს, რუმევო შენმა შვილმა ვაჟი მეიყ-

ვანა და რაიდან დეგვემართა არ ვიცითო. მამამ ითხუ̂ა, რუმ მომგვარეთ, მანახვეთ ი ვაჟიც და შვილიცო. მიიყვანა ქალმა შვილი და ვაჟი. ნეტა რას უზამს ამას მისი მამა, ფიქრობდა ქალი; სკითხა მამამ თავის შვილი, რუმ შვილო საადან არის, ძალა დაგატანეს, თანაყმა გუხდი, თუ ნებით ქენი – ვისი არის მითხარივო. უთხოა შვილმა, რუმე მამავ მე დუნიაზე – (ქვეყანაზე) კაციდან არაფერი არვიცი, და არც ნახული მყავს, ერთჯერ მომეწყინა სახში, მარტო ვიყავი და შენი სიყვარულობით, რუმ მომენატ-რე, შენი სკივრი გავაღევო. ენაზე შენი შენახული, ქახალდში მოკონილი რაცხა თეთრი და გავშინჯე, რა არისო. ენა დავაწე. იმ ენის დაწებაზე დევბნიდე და ამ მეტი არაფერი ვიცი. ახლა მამა დაფიქრდა: მე რუმ მთა-ზე ძვალი ვნასე და რუმ ეწერა 85 კაცი მოკლული ხავდა იმ თავის ძვალს რუმ დავაქფიე და შევნახე, იმიდან ქნილა. აწე ვნახოთ რა მოხთეს. ვაჟი მეტათ მაეწონა.

ხემწიფე დარჩა დაფიშმანებული. მე რუმ ხედია მოპივდა, ქალმა პირი დამალა და თებზმა გეაცინა, ამის ფიშმანობაში დარჩა. იფიქრა ხემწიფემ გაზეთში გავსწერ, გამუ̂ანცხადებ, ბელქი ვინმე მიხტება, რაის იყო აგივო. დაარიგა გაზეთები. იმ ვაჟს ბაბუ̂ა მისმა სახელი დაათქვა – „იბნე ყული“ ი ვაჟი გაზდილია ახლა თავს მოესწრა. დარიგდა გაზეთი. წეაკითხა რუმე ხემწიფეს ხედია მისლია და კტარ თებზს გუცინია ხბაურობით. ხენწიფე ჩივა: ვინც. რუმე ამას ამიხსნის, ჩემთან დავიჟდენ ხემწიფეთ, რასაც შემ-თხოვს უსრულეფ.

ვაჟმა წეაკითხა აა გაზეთი და ეაჩემა, რუმ მე უნდა წევდე ასახსნე-ლად, მე ვიცი, რეაზა გეაცინებდა თებზივო.

ბაბვა მისმა შეშინდა: შენ ვერ ახსნი და ხემწიფე დაგკლავსო. იბნე ყულმა გუშვა გაზეთი: მე კი მივხთები, მარა მოსავალი ფული არ მაქო. რავარც რუმ ხემწიფეს გაზეთი ხთა, ხელათ ფარა, რუმ უნდოდა ვოთხი იმტონი გუგზანა, ადგა იბნე ყულმა და წევდა. ბაბვა მისმა ვერ გეამეტა და წახვა. მივდა ხემწიფესთან, რუმ გითხრა რაზე გეაცინა თებზმავო.
#69#
ხკითხა ხემწიფეს, რუმ რანიერათ იყავით, რაფრათ გეაცინა თებზმავო. ხემწიფემ უთხრა: მე რუმ თებზი მომივდა, ცოლმა პირი მეაფარა. აქ მა-მალი თებზი იქნება, შევეხავისები მევო და ცოდვა დემეწერებავო. ამაზე თებზმა გეაცინა. ხემწიფეს ხკითხა. – ცოლი რამეთი გყავსო; მყავს ხუთი და აა მეხუთე ყველაზე უმფო საყვარლათ მყავსო. ხემწიფეს უთხრა იბნე-ყულმა, რუმე მაა ქალი იქით ოდაში წაბძანდესო. ხემწიფეს გუმცხადა, რუმე ხუთი ქალი რუმ გყოლია, ხუთვეს სამ-სამი საყვარლები ხავს თავის

ოდაშივო. ხემწიფემ დიდათ დაფიქრდა: ჩემს ცოლს ჩემს გარეთ საყვარე-
ლი რაფერ ეყოლებავო. იბნე ყულმა უთხრა: – მე თვალით დაგანახვებ სა-
ყვარლებსო. შენ მეჲყვანე ვორი თავის მომჭრელი კაცივო და იგინს ყვე-
ლას მოგაკლიებ. შენ უმ კაჲ, საყვარელი ქალი გყავს, მისი ოდის კარი გა-
ვაღოთო, უთხრა იბნე ყულმა, კაცის დამკლელებიც და თან ახლავლარიან,
გაღეს მისი ცოლის ვოდის კარი, შეჲხედეს შით, სამი, კაი შეხედული კა-
ცი ნახეს ოდაში, მისი ცოლის საყვარლები.

დასაქმა ხემწიფემ: წასჭარი სამვეს თავიო. ახლა წევდენ და გააღეს
მორე ქალის ოდა. სამი კაცი იმაშიც დახდენ, – მეორე ქალის საყვარლები,
იგინიც სამვე დააკლია. მემრე წევდენ მესამე ცოლის ოდაში და იქაც და
აკლია. კიდევ მეოთხე და მეხუთე ოდჲებში დააკლია ყველაჲ. ახლა იბნე-
ყულმა უთხრა ხემწიფეს, რუმე თებზს იმიზა დჲემალა იგი, რუმე შენ გა-
ჯერებდა ამით, რუმ არ გენახა მისი საყვარლებივო. ახლა ხუმ ყოლიფერი
დაგანახვე შენი თვალითო.

იბნე ყულის ბაბვამ, რუმ ძვალი ნახა თაზე და ზეთ წეჲკითხა: „ამ ძვალს
ვოთხმოზდა ხუთი კაცი მოკლული ხავს და თუთხმეტი კილავ უნდა მოკ-
ლასო“. იმ ძვალიდან იბნე ყული იყო გამოსული. ხუთ ქალთან თუთხმეტი
კაცი შეთავდა, სულ ასი კაცი შესრულდა იმ ძვალიდან მოკლული.

ხემწიფემ მისი ხემწიფობა იბნე ყულს ჩაბარა ხელში და ბაბვა მისი
და დედა მისი თან ჲახლა.

2 ივლისი, 1930 წელი
უსუფ ბაჯელიძე, 76 წლის. სოფ. ხუცუბნის მცხოვრები.
ნამყოფია: ტრაბიზონსა და ტფილისში.

შაჰზადე – (მეფის შვილი)

ყოფილა ერთი მეფე. ამ მეფეს ჰყოლია შვილი. გაუგზავნია საკითხავში.
ამის კითხვაში ყოფნის დროს, მეფეს ყავაზი (მინისტრი), როცა დადიოდა
ქალაქში შეხტა, რუმ სამი კაცი იჩხუბებიან. ერთი მეორეს ლახავენ, სცე-
მენ. ყავაზმა წაწყდა ამათ და უთხრა, რომ რისთვინ იკინწლებით, რა გი-
ნდანან, რა გაწუხებთო. იმათ უპასუხეს, რომ ჩვენ ვართ მოხელეები. გე-
დევეყარეთ ერთი მეორეს და ყველამ ჩვენი მარიფეთების ქება დავიწყეთ.
აგინი ყოფილან ერთი დურგალი, ერთი თერძი და ერთიც „ხეინჯი (ოქ-
რო მჭედელი). მე უთხარი, რომე ჩემი მარიფათი კაჲა, იმან ჩემიო და ერ-

#70#

თი მჲორეს დუწყეთ ჩხუბი. ყავაზმა მოკიდა სამნავეს ხელი და წეჲყვანა მეფესთან. მეფემ შეხედა, რუმე გასისხლიანებული არიან. შეკითხა: რა დუ-შავეთ ერთი-მჲორეს, რისთვინ ეკინწლებით, რაჲთვინ ჩხუბობთო. უპასუ-ხეს, რომ ჩვენ მოხელეები ვართ. ყველას ჩვენ-ჩვენი ხელობა მოგვწონს, ამ ლაპარაკში და ქებაში მოგვივჲდა ჩხუბი და გავლაზეთ ერთქვანებიო; რა ზანაეთი (ხელობა) გაქვანო, უთხრა ხემწიფემ. დურგარმა უთხრა: მე ვარ კარგი დურგარიო". მეფემ უთხრა. შენ კარგი დურგარი ხარ თუ არა, მე არვიცი. ნახელოსნოს რამით დღეში მომიტან, რომ დავამტკიცოვო. უთხ-რა: მომეცი ნება ორი თვის და მოგიტანო. მჲორეს შჲკითხა: შენ რა მო-ხელე ხარო, თერძიო. შენ რამით დღეში მომიტან შენ ნამუშიერს, რომ დავამტკიცო შენი კაჲ ხელობავო. ორმოცი დღე მომეცი ვადაო. მესამემ უთხრა: მე ოქროს მჭედელი გახლავარ, ხვინჯიო. შენ რამით დღეში მო-მიტან შენ ნამუშიერსო. ერთ თვეში მოგიტანო, მიცა მეფემ იზნი (დრო) და დეიპანტნე, წავიდნენ.

დურგარმა დეჲწყო ერთი ცხენის სურათის კეთება, ხემდა, გაკეთა კარგი. შიგ ჩამწყრია ისეთი დრუჟუნები. აკუნტებდა (აკუნტრუშებდა), რამფრად მას უნდოდა. ერთ პრუჟუნაზე ხელ დადებდა, აღმა წევდოდა. მევორეზე თავ-დაღმა და მესამეზე განხე წევდოდა. შესრულდა ორი თვე! აჲ ცხენი მუყ-ვანა მეფეს. მეფეს დიდათ მჲეწონა. დასაჩუქრა და გუშვა დურგარი. მან სთქვა: თუ ნაკლები მარიფეთი მეჲტანა თერძმა მოვკლავო. შეხედე!.. რა-ფერი მარიფეთი მომიტანა, შევჟდები ცხენზე, გადუფრინდები სხვა მეფჲებ-ში და ყოფას უტირეფო. გევდა ორმოცი დღე. თერძმა ერთი მშვენიერი პალტო შეკერა. ძვირფასი ღირებულობის, მაშინდელ ფულზე ღირებულა ათი ათასი თუმანი. მუტანა მეფეს და აჩუქვა. დიდებულო მეფევო, შენ აგი შენ სიცოცხლეში გეყოფა, და მე კი სიცოცხლე შევწირე, ორმოცი დღე აღარ მიძინიავო. მეფემ ჩეჲცვა ქურქი და გეჲხედა სარკეში. ძან მჲე-იწონა თავისი თავი და ქურქიც. ხემწიფემ სთქვა, რომ ბედნიერი შევიქე-ნი, ტანისამოსიც მაქ, ცხენიც მაქ, აწე რაღა მიჭირსო. გუშვა საჩუქარით ი თერძიც. გევდა ერთი თვე და იმ ერთი თვის განმავლობაში ხვინჯი აკე-თებს ერთ „ჰაუზს" (აუზს). ოქროჲთ და ძვირფასი ქეებით მოკაზმული. თურკიდევ შიგნით ოქროჲს წყალი ჩასხმული, ამ წყალშე შიგნით თურლი თურლი თებზების სურათები. თავისი ფოკუზით იმნეჲრად მოწყობილი, რუმ თევზ ხელ ვერ წაკარებ. ხელ წეჲღებ, გეჲქცევა შიგნით. მეფეს ეს ძან გუხარდა. უბრძანა: დასაჩუქრეთ ხვინჯიო. აგი ჩემ მევორმოცე ოთახში შეჲ-ტანეთ და ჩაკეტეთ და იყოს საჩვენებლათო. შორე ქვეყნიდან რუმ მოვა

ვინმე ვაჩვენეფო. ორმოც ოდიდან ერთი მუამზადეს და შიგნით შეინახეს: ცხენიც, პალტოიც და ჰაუზიც. კილტიები ჩაბარეს დიდ ხანუმს (უფროს ცოლს). ამ დღებში ჩამოდის მისი ვაჟიშვილი, რომელსაც დოუმთავრებია კითხვა, ისე კარგი, ნიჭიერი დელიყანდი ყოფილა და შეხედულებაც კაი ჰქონია. მაგრამ როგორც სხვა ქვეყანაში აზდილი, არაფელი არ მოწონდა თავის ქვეყანაში, გადის დრო და ხანი. ერთ დღეს დღესასწაულზე მივა

#71#

ხემწიფე თელი მისი შემადგენლობით. სარაიდან (სასახლე) ხალხი გეიკრიფა. დარჩა ეს დელიყანდი მარტუაი. ძალიან მოეწყინა. წევდა დედას უთხრა: დედიკოვ!... მომე ოთახის კილტიები, ცოტა დრო გავატაროვო. დედამ მიცა კილტიები, ვაჟმა გაღო ოდიების კარები, დეიარა. ყველა ოდაში თითო რამ ნახა. ბოლოს, რომ გაღო ოდის კარი, ცხენის სურეთი დეინახა. დიდათ გუხარდა. მივდა, ტაცა ხელი და დუწყო საყვარლება და სთქვა, მამაჩემს მე არაფრად მივაჩნივარ, რომ აქნობამდი მე ეს არ მაჩვენავო. თან სთქვა, რომ ალბათ ეს დედე (ბაბუა) ჩემის გაკეთებულია და მამაჩემს ჰქონდა პაწაობაში სათამაშოთო. მე იმოტელა ხათრი არ მაქ მამაჩემთან რომ ერ დღეს არ მათამაშაო. ტაცა ხელი და გამეიყვანა მეიდანზე, ჩეიცვა ეს ქურქი, გეიხედა სარკეში – ძალიან მიეწონა. დეიწყო თამაში ცხენით, ხან შეჟდა, ხან ჩამოვდა.

სრულიად დულოდნელად უცბათ ეს ცხენი პირდაპირ აღმა გეიქცა. ამ ხეტიალის დროს თავაღმა წასასლელ პრუჟუნაზე ხელი მუსდვია, თვითოაც ზედან შემჟდარი დარჩა. ძალიან შეშინდა, მარა რა უნდა ექნა. ეფეიჯა მენძილი წევდა, პაწაი შეიჩვია, მემრე ხელის ხეტიალი დეიწყო. წაკრა ზეთ პრუჟუნაზე, რომელმაც ცხენი განზე გაქროლვა. ეარა, ეარა და ბოლოს კარქა შეიჩვია; ნახა მესამე პრუჟინი, დეწვა და თავდაღმა წამოვდა ჩამოვდა ერთ დიდ მთაზე და გაჩერდა ცხენი. ამ დროს დაღამდა. ამ მთის ძირში უზარმაზარი შეჰერი (ქალაქი) იყო. ამ შეჰერს სახელად ერქვა ყიზილ ვერან (წითელი ნანგრევი) მან გაჩვია ეს ცხენი და ამ ქალაქის მახლობლად წყაროზე ჩევდა, სადაც ნახა ბევრი შეჰერის ხალხი, წყალს ადენდენ. მახლობლად ამ წყლისა ეს ცხენი შეინახა მან ძეწნის ღრუში. წამოჟდა წყაროსან. უყურებს ხალხი მიდის-მოდის, იმითვინ ყველა უცნობია. ბოლოს ერთი მოხუცებული დედაკაცი მოვდა. აადინა ჭურქლები და მიდის. გადუდგა დედაბერს და უთხრა: დედიკო ამეზღამ ღამე გამათევიქ, მე ყარიბი კაცი ვარო. მოხუცმა ქალმა უპასუხა, რომ არ შამიძლია, ვერ გაგათევიებ ღამესო. არაფერი არ მაქო ამეიღო ჯეფიდგან და მიცა ათი ოქრო. ქალმა რომ ოქრო დეინახა იმ დალიანდვაზე წეიყვანა. ვახშმობის

შემდეგ პატარა ᲘᲐზლოღზე (ბალკონი) ლოგინი გუშალა დასაძინებლად. ამ
დედაბერის სახლი პაწაᲘ მაღალ ადგილზე ჰქონია, თელი ქალაქი მოსჩანს,
და აგრეთვე ამ შეჰერის გვერდზე დიდი ზღვა ყოფილა, ი ბიჭი ამ ლოგი-
ნიდან თელ მიდამოებს ათვალიერებდა. დეᲘნახა რუმ ზღვაში დიდი სახ-
ლი არის, ეს სახლი ერთ დირეღზე ყოფილა აგებული, თან დიდი დოვ-
ლათით ყოფილა მოკაზმული. გუკვირდა ამ ბიჭს და ჰკითხა დედაბერს, მი-
თხარი რა არის ასეთი მშვენიერიო, არა შვილო ვერაფერს ვერ გეტყვიო.
ამეᲘღო და მიცა ათი ოქრო, თუ შენ მეტყვი მაგასაო. გეტყვი შვილოვო.
იქ არის ჩვენი ხემწიფის დუნᲘა „გᲘუზელი (ქვეყნად ულამაზესი) მზის უნა-
ხავი, ორმოცი ქალი მისი მოსამსახურეა და წელწაღში ერთხელ ინახუ-
ლებს ხემწიფე და დედოფალი თავიანთ შვილსა. ჩვენ ხალხი მევიყრებით
#72#
იმ დღეს ამ ზღვის კიდურზე. აᲘ დუნᲘა გᲘუზელი ბალკონზე გამუᲘ და გა-
დაგვათვალიერებს, ჩვენ დევიჩოქებთ და ვილოცავთ მასზე.

ამ ამბავმა დიდათ შეაწუნა აᲘ ვაჟი. სთქვა რომ კტარი თუ ცოცხალი
უნდა ვნახო მაქ რა არისო. დედაბერმა დეᲘძინა ლოგინში, მან გᲘეპარა და
მივდა ძეწნის ღრუში, სადაც მისი ცხენი იყო შენახული გამეᲘღო ეს ცხენი
გადაჟდა ზედან მუჭირა პრუჟინას, გეᲘქცა ცხენი და სწორეთ ზღვაში ერთ
დირეღზე აგებული სარაᲘას ბალკონზე ხრანგ-დᲘეცა. ჩამოვდა ცხენიდან,
ცხენი მიდვა ერთ კუჩხეში. შევდა შით ოდᲘებში. ნახა ერთი ვორი, სამი,
ოთხი, ხუთი და მეექსეში შვენიერი, ქვეყნად ლამაზი წევს დაძინავს. კარი-
ოლა (ტახტი) აქვს დიდებული. სართუმალთან დიდებული კარგი, ტკბილი
სასმელები, ნაირ-ნაირი სანთლებით და სინათლებით შეკაზმული. ამ ვაჟმა
ცოტა ტკბილი მოწია და დალია. მივდა, გერდში ამოუჟდა. დუნᲘა გᲘუ-
ზელს ძინავს რახათად. ცოტაᲘ ხელი განძრია მის საგებისკენ წეᲘღო, ესევ
უკან უკუწია; იფიქრა: ვაᲘ თუ არ მიყაბულა (მიმიღო) ჩემი საქმე ხუმ გლა-
ხათ იქნება. ამ დროს გეᲘღვიძა მასში ერთნაირმა ნუგეშმა, ვითომ მას დას-
ძახა: ეხლა დრო შენია, სტაცა ხელი, რაც იქნება-იქნებავო ხელით ერთად
თავისი კონკმანით (მორიდებით) მიტანა ტუჩებთან ტუჩი და გადაჰკოცნა.
ამდროს ახილებს თვალებს დუნᲘა გᲘუზელი და ქვეშ-ქვეშ დაფიქრებულად
უყურებს ამ ვაჟს. ვაჟიც ამბობს, ნეტაᲘ ეს მთვარეა ღრუბელ ქვეშ, თუ ღამე
იყრება და ირაჟრაჟა, ამოდის მზეო. სდგება ზეზე. იყურება დუნᲘა გᲘუზელი
და ამბობს: ნეტაᲘ ვინ ხარ, საიდან გაჩნდით, ვინ მოგცათ თქეენ გზა და
კვალი!.. ეშმაკი ხარ, ქაჯი ხარ თუ ვინმე მადლიანი ადამიანი: ეჰ! ნეტავ
სიზმარია თუ ცხადი, ამბობს დუნᲘა გუზელი; ვაჟი ეუბნება მე ვარ ღვთისგან
მოვლინებული მე ვერ დამიჭირავს გზას ვერც ზღვა, ვერც ცეცხლი და ვერც

ხემწიფე მამა თქვენიო. ქალი ამბობს: დასწყევლოს ღმერთმა მამაჩემი, რომ
მე ვჰყავარ მომწყდეული ამ ოთხ კედელ შუა და არ მინახავს ადამიანი. ამ
შვენიერ საუბარის შემდეგ ურთიერთ შორის გამომჟღავნდა სიყვარული.
ჩაეხვივნენ, ჩაეკონენ ერთი მიორეს, დადგენ საკავშირო გზას დეიწ-
ყეს კოცნა. გევდა ვოზდა ოთხი სათი, მათ ეგონათ ერთ მინუთ ვართ ერ-
თად. მოდის უმფროსი ქალი მოსამსახურე, ხედავს მათ ძილში, ამბობს ნე-
ტაი რა. ეს ორი ჰური მელაიქი რამ შეჰყარა ერთად. ერთი დღეჲ იდგა
და უცქირებოდა აჲ უფროსი მოსამსახურე ქალი და ეგონა ერთი მი-
ნუთი ზეზე მდგომი თავისი თავი. გადის სამი დღედაღამე, ამ დროს
გონზე მოდიან ყველა. დეჲბარა მზის უნახავმა ლამაზმა ყველე მოსამსახუ-
რე ქალები, უთხრა, რუმ ეს ჩვენი სტუმარი, ღთისგან მოვლინებული არ
უნდა გამხილოთ, უნდა იყოს ჩვენთან საიდუმლოთ შენახული, დეჲწყეს
მათ ტკბილი ცხოვრება. გევდა ამ დროს რვა თვე მოვდა ის დღესასწავლი,
როდისაც უნდა ინახულონ დედ-მამამ თავისი შვილი მოვდა ხალხი მასთან
ერთად. ყაიღზე (ნავი) დაჯდა დედოფალი და წევდა სასახლისკენ. მივდა
ახლოს, რომ უნდა მერდივანზე ევდეს, თავის შვილმა მიეგება. შორე-ახ-
ლოს დეჲნახა და ეს თავისი შვილი მზის უნახავი აღარ მოწონდა, დაკ-
#73#
ვირდა გახოშრებია მუცელი. დაბრუნდა უკან გაკუჭებულმა დედოფალმა
და მუყვა ხემწიფეს. ხემწიფეს ჲეშალა ნერვები და გასცო განკარგულება
ხმელეთ და მეზღვავე ყარაულებსა: შეკრან ყველა გაქანების მედარი (სა-
შუალება სპარს). აგრეთვე დეჲბარა თავისი ყავაზი (ჯალათი), უთხრა ღა-
მის საათის ათიდგან დაიწყობთ სასტიკ ჩხრეკას, აღმუაჩენთ იმ ავსა კაცსა,
ეშმაკსა, ქაჯსა და დავსჯით საშინლად შეურაცყოფის მიმყენებელსა. იმათ
დეიწყეს ჩხრეკა სათის ცარაზე შეკრულია ყველა გზები ამდროს შაჰსადე
ამზადებს ცხენსა, ჰკიდებს ზეთ ძვირფას ნივთებს. ჟდება ზეთ თვითონ
შაჰზედ და აგრეთვე იჟდუნებს დუნჲა გჲუზელსაც. გაფრინდებიან აგინი,
წავლიან, თელ ღამით ივლიან; გამთენიეს ერთ უზარმაზარ ტყის შუაზე
მინდორში დეჲღლებიან და ცხენიდან ჩამოელიან. როგორც ნაზიქად გა-
ზდილი, მოუნდათ ყავეს დალევა. არ აღმოაჩნდათ მათ ქიაფი (სპიჩკა).
როგორც თავმომწონე შაჰზადემ გახედა და დეჲნახა ცეცხლის ბჟინვა, უთ-
ხრა, რომე მომეცი ნება, მოვტანო ცეცხლი, ყავა გავაკეთოთ და დავლი-
ოთო, ხანუმმა უარი უთბრა, არ მინდა ცეცხლი, შენ იყავი ჩემთან ნუ წახ-
ვალო. მან არ დაუჯერა, გაწია და წევდა ცხენით. მივდა ცეცხლთან ახ-
ლოს, დეინახა რომ ორმოც ქაჯს აუნთია ცეცხლი და სწვავენ წვადსა. ამ
დროს იფიქრა, რაღა დროჲსა ჩემი უცეცხლოთ დაბრუნება ან ცეცხლი

უნდა წევღო, ან სიცოცხლე უნდა დავტიოვო. გაფრინა ცხენი, მივიდა ცეცხლთან, მოჰკიდა ნაგუზალს ხელი და გეიქცა. წამოცვივდენ ქაჯებმა, მათ იფიქრეს ეშმაკმა წვადი მოგვტაცაო, ცეცხლი თუ გინდა ქვეყანა წეიღევო უთხრეს ამ აჩქარებულ შაჰზადეს. დაბრუნების შემდეგ დიდი ქარი იქროდა ერთი ჟინჟალი ნაგუზალისა ჩავარდა იმ პრუჟუნის ჭუჭრუტანაში მიეკიდა ცეცხლი, როგორც კატრის ხისა და დეიწვა შიგნითაი მანქანა ალეთები.

ვაჟი ჩავარდა ერთ დიდ მდინარეში. წეიღო მდინარემ აგი დუნია გიუზელი დარჩა შუა ტყეში უპატრონოთ, უამხანაგოთ. მდინარეში ჩავარდნილი შაჰზადე წეიღო ღელემ. არონია დიდხანს, დიდიხნის შემდეგ ერთი წისკვილის კანაო ყოფილა და იმ კანაოს წყალმა გეიტაცა შაჰზადე. წეიყვანა ამ კანაომ და გაჰკეტა წისქვილის სადენ ღარში.

დადგა წისკვილი, წისკვილის პატრონმა გამოიქცა, ქვაი ეგონა გაკეთებული. მივიდა, ნახა, რომ ტიტველი კაცი. ამოიღო მეწისკვილემ, ჩამოჰკიდა ბახში ხეზე და დაწურა წყალი პირიდგან. სამი დღის განმავლობაში უგრძნობლად ეგდო წისკვილში. სამი დღის შემდეგ გახილა თვალი, რომ ის არის მისვენებული წისკვილში მეწისკვილე უვლიდა მას, როგორც თავის შვილს. მეათე დღეს გამოკიდა წისკვილიდგან და წევდა ერთ უზარმაზარ ბაღისკენ. ეს ამ ბაღში დადის და ფიქრობს, ფიქრობს და აგონდება მისგან მოშორებული შეყვარებული. ფიქრმა, დარდმა, ფიშმანობამ ვერაფერი არგო მას. მოიაბდლა თავი მან და სთქვა: თობბე (აღთქმა) იყოს, რომ მე ამ ქვეყნის სინათლეს არ დევნახავო, დახუჭა თვალები, დადის ისე, ედუცება იქით-იქეთ. ამ ქვეყნის წესი ყოფილა, როდესაც ხემწიფე მოკვდება,
#74#
ერთი დოვგლეთ ყუში (სამეფო ჩიტი) ჰყოლიან, გუშვებენ მაგ ჩიტს და ვისაც უცხოს ნახავს, იმას დაუჟდება თავზე და დასმენ მაგას თახთზე. ამ დროს მიზდევს ხალხი, მუძღვის ჩიტი, მივა და დაჟდება ამ შაჰზადეს თავზე, შემოეხვევა ხალხი ეტყვიან: აბა მობრძანდით, მიღეთ თახთი და იყავით ჩვენი ხენწიფე. შაჰზადე ეტყვის, მომშორდით, წადით, სხვა ნახეთ. მე ქორი (ბრმა) ვარ, ვერაფერს გაგიკეთებთო. ბევრი ეხვეწა, ბევრი ემუდარა მარა ხალხმა უთხრეს: ქორი, თოფალი, აღსაღი (კოჭლი) სულერთია, ურცხო ამ ქვეყანაში შენ გნახეთ ჩვენ, ჩვეს ჩვოულებას არ გადაუხვევთო მოკიდეს ხელი მოიყვანეს და დაჟდინეს ტახთზე. შეიქნა მეფედ, ამან თავის კაბინეტში ერთი ფარდა გაკიდა, ფარდის უკან თვითონ იჟდა, მომჩივან-მოპასუხე ვორვე ფარდის წინ მივა და უამბებენ საქმეს. ის მარტო მუსმენს, იტყვის ერთს მტყვანი ხარო და მიორეს – მართალიო. ასე შეუდგა

ცხოვრებას. ახლა დუბრუნდეთ დუნდა გდუზელს: იმან დიდხანს უცადა, შაჰ-
ზადე არსაიდან არ გამოჩნდა, ცეცხლი არ ქონდა და არაფერი: გადის ერ-
თი თვე ტირილში, მარა არაფერი გაუკეთა. ერთ ქვაბულში მივიდა. მე-
ლოგინობაც (მშობიარობა) ე. ი. დაწოლის დროც მუახლოვდა. ერთ ღამეს
დიდათ მუცელი ასტკივდა. თვითონ ირჩევს სიკდილს, მაგრამ არსიდან
მოდის. დიდი მწვალების შემდეგ ეს იშოვს ორ ვაჟიშვილს ამათ დაიწ-
ყობს ზრდას, იკვებება თვითონ ბალახებით, ძირებით და პანტებით. ზამთ-
რის ხან დაბლობელ ადგილ ჩევდოდა და ზაფხულზე უმფრო მაღლა, მაღ-
ლა ევდოდა. გევდა ამდროს ცამეტი წელწადი. ერთ დღეს დიდათ ავად
შეიქნა. აღარ შდეძლო მას შვილებით ერთად საჭმლისთვის ეარა, უთხრა
შვილებს: შვილებო წადით თქვენ, ეძიეთ საჭმელი, რამე ბალახეულობა,
ან პანტა და მედტანეთო, მარა ერთი მდორეს არ გაშორდეთო, წავიდნენ
ეს ბავშვები, კარგ ხანს იარეს, ერთ მინდორში გევდენ. დიდმა უთხრა.
პაწას, ბიჭო დედაჩვენმა კე დაგვინდო არ გავშორდეთო, მარა მოდი ამ
მინდორიდან გავიყარნეთ. ერთი ერთ კედაროდან წეედეთ და მდორემ მდო-
რე კედაროდან, მოვკრიფოთ ყველამფერი და ისტევლე აქ შევყარნეთო.
წავიდნენ ამ ბიჭებმა ცალ-ცალკე დარეს, დარეს, კრიფეს, კრიფეს და ორ-
ვემ ბევრი მოკრიფეს. მოვიდენ ამ მინდორში, შეხდენ ერთქვანებს და წა-
მოვიდენ დედასთან, მუტანეს დედას ბევრი და გახარეს. დედამ კითხა, შვილებო
ერთად იმგზავრეთ თუ არაო? დუმალეს და უთხრეს კი, ერთად მოვკრი-
ფეთო. სამი დღის უკან დაელივნენ კიდევ საჭმელი და უთხრა დედამ, –
შვილებო აბა თქვენ იცით, კიდევ რაცხა მოიმკეთო. წევდენ ბავშვები,
გევდენ ერთ მინდორშბ, მოდლაპარაკეს, რომ ცალ-ცალკე წევდენ საძებარ-
ში. მოიძიეს საჭმელი და დაბოუნდენ უკან, უმფროსმა ვეღარ მოაკვლია
ის ადგილი, საიდანაც გაშორდენ. დეიწყო სიარული უმფროსმა ბიჭმა, ეძე-
ბა, ეძება და შორ წევდა, ცხრა მთას იქით გადავარდა. მდორემ კი და-
ნიშნულ ადგილს უცადა. აღარ მოვდა. მოღამდა, დანისლა, გაქუხდა შეიქ-
ნა ელია, წვიმა და ვაი უბედურება, მუწყდა იმედი და წამოვდა დედასან
ქვაბულისკენ. მივიდა დედასთან. დედამ უთხრა სად გყავს ძმა, სად არის
#75#
იგიო. პასუხი ვერ გასცა, დეიწყო ტირილი, მიხდადედამ და მოურთო
ტირილი დ ღრიალი: ოჰ! უბედურო ჩემო თავო, როგორ დავკარგე შვი-
ლი, როგორ პირობებში ავზარდე ცამეტ წელიწადს, ტყეში და ღრეში.
დადგა საწყალ ქალს შავი დღე.

მოვიდეთ ამ ბიჭთან, რომელმაც დეიკარქა. ი ბიჭი ყოველდღე დადი-
ოდა ტყეში, ამ სიარულმა ძალიან შორ წეიყვანა. ამ დროს ქალაქიდან

წამოსულ ავჯის (მონადირე) ძაღლებს წაწყდა. დეიწყეს ძაღლებმა გუგუნი ავჯიმ დეიწყო სიო, სიო ყვირილი. ამ ბიჭმა ვეღარ გადურჩა და ერთ მაღალ ტოტიან ხეზე შეახტა. შემოეხვივნენ ძაღლებმა, დუწყეს ღმუვილი და ყმუვილი. მივიდენ ავჯებმა, მათ გონიან ნადირი. დუმიზნეს თოფები, მარა შეხედეს ხის წვერში, წანწალებს ერთი ყმაწვილი. ამ ავჯებმა ვერავითარი ენა ვერ გაგებიეს მას. ვერც ხვეწნით და ვერც მუქარით ჩამეიყვანეს ძირში ბოლოს აჰკნიეს თოკი, ავიდნენ მასთან, დეიჭირეს და წეიყვავეს სახლში. დაწყებიეს მათებური ცხოვრება ამ შვილის დარდით ვეღარ მოიკეთა დედამ, უფრო დასუსტდა და დავარდა. დედის მორება დაწვა მასთან დარჩენილ შვილს. წევდოდა ყოველდღე, მოიმკობდა და მოუტანდა დედას საჭმელს. გევდა ერთი წელიწადი ამ სარჩოს ძებნის დროს დეიკარგა მორე ბავშიც. ერთი, ორი, სამი დღეც უყურა დედამ, არსაიდან შვილმა არაფერი მუტანა. მოუწყდა იმედი, დარწმუნდა, რომ დამეკარგა ეს შვილიცო. ამ ბიჭმა იარა ბევრი ამ ტყეში, ვერ მიაკლია ვერსად გზას და ამ სიარულის დროს უახლოვდებოდა ქალაქს. ერთ მშვენიერ დღეს ქალაქიდან ავჯებმა წევდენ კიდევ სანადიროს. ღრმა ტყეში დეიწყეს ძაღლებმა ყეფნა და შეუტიეს ბავშს. ბავშმა იძულებული გახდა გაქცეოდა ამ ძაღლებს, მემრე შევარდა ხეზე და ევიდა. მონადირეებმა მივიდნენ და უყურებენ ხის ძირში. ერთმა შემოსძახა, ძირში კი არა, ზეთ შეხედეთ ადამიანი არისო, დეიანახეს ეს ბავში. ბავში არ ნებდება მარა ძალაუნებურად დეიჭირეს, მოსაბლეს და წეიყვანეს სახლში. ამ მონადირემ არაფერი იცის თუ წინეთ კიდევ ერთი ბავში წეიყვანა ვინმემ. როგორც უშვილო ავჯი, იშვილა. საწყალმა დედამ ბევრი სიმშილი და ბევრი წვალება გამოიარა ცოტა მოღონიერების შემდეგ ადგა და დეიწყო შვილების ძებნა. იგი ფიქრობდა აგინი ბელქი ნადირმა შეჭამაო და მას უნდოდა მეც გადავეყერო ნადირს და შემჭამოსო, ეარა, ეარა და იმანაც ქალაქს დუახლოვდა როგორც ჩვეულებათ ქონდათ ქალაქის ავჯებს, გუდგენ ტყისაკენ ნადირის საძებნელად სწორედ ამ ავჯებს ჩუვარდა ხელში ეს გაუბედურებული ქალი პირველად ძაღლებმა დუწყეს დევნა და შემდეგ მანაც ხეზე ევდა. მოვდენ ავჯებმა, ნახეს ერთი ლამაზი ქალი, რომ ანათებს ტყესა, როგორც მთვარე. მოვიდნენ და დეიჭირეს ესეც ავჯებმა. წამეიყვანეს ეს ქალი სახლში. ეს ავჯი ყოფილა ბოროტი კაცი, რომელმაც მუნდომა მისი თხოვნა. ქალმა უთხრა ჩემი ძმა ხარ, მე უბედური გამწარებული ქალი ვარ და დამანებე თავიო. დეიწყო ძალადობა ამ ავჯმა, მარა ვერაფელი გახდა. გევდა ერთი კვირე ავჯი სულ ამის წვალებაში იყო, ბოლოს ავჯიმ გადაწყვიტა

სიკტილი ამ ქალის. გაკეთა ერთი კიდობანი, ჩასვა შიგნით და დაკეტა
კარი დამწყვრია ერთ ოდაში. ამ დროს ბაშავჯიმ თავისი დღიობის დღე-
სასწაული მუაწყო და ქორწილზე დაჰპაჲჯა ყველა მონადირჲები, ყველამ
მოვიდნენ და დაესწრენ ქორწილზე. მხოლოდ აკლიოდა ეს ერთი ავჯი,
რომელმაც ჷარი განაცხადა დღიობაზე მისავალად. დიდმა ავჯიმ ყველა
თავის სტუმრები ინახულა და გამეჲრკვა ერთი ნაკლებია გუგზანა კაცი და
შუთვალა, რომ მოვიდეს ქორწილზეო, თუ არ მოვა მონადირჲობის ღირსე-
ბას ჩამჷართვამო. იმან შუთვალა, რომ ისეთი ნადირი მყავს, რომ მისი და-
ტოვება არ შამიძლიავო. ეს ამბავი რუ მუვდა ავჯიბაშს უთხრა თავის მო-
ყვანილ ბიჭს: აწიე თოფი, ხმალი და მედი იმ ავჯისთან და ისე უნდა და-
სცო ი ნადირი, რომ ჩიტმაც არ შეამჩნიოსო. ერთმა ავჯიმაც სთქვა, აბა
წადით ჩემთან არის ნაშვილები ბიჭი და იგიც გეჲყოლეთო. წამოვდა ეს ბიჭი,
გამოჲარა მეორე მონადირესთან, წამოვიდნენ ერთად მივდენ ავჯისთან. ავჯიმ
დაყენა ესენი ჩაკეტილ ოდის კარებთან და უთხრა, რომ არ გაბედოთ ამ კა-
რის და არც აქ ვინმე გარონჲოთო. დარჩნენ ეს ბიჭები და წევდა მონადი-
რე ნადიმში, გევდა კარგი დრო. მოსწყინდენ ამ ბიჭებს ერთმა უთხრა მე-
ორეს, რათ დაგიღუნავს თავი, ასწი ზეჲთ, რაცხა ვილაპარიკოთო. მჲო-
რემ უთხრა: ეხ! ძმავ, ისეთი დერდი მაქ, რომ არაფრის თქმა არ შიმიძლი-
ავო უთხრა, ნეტაჲ მენ რა დერდი გექნებავო. ჩემ გულს ჰკითხე ისეთი ერთქ-
ვანებს დერდება მაქ, რომ შენ მისი მეასედიც გექნებავო. ამათ დუწყეს
ლაპარაკი, ამათ ლაპარაკს ყური მუგდო შიგნით კიდობანში ჩასმულმა დე-
დაკაცმა იგი დაინტერესებულა თუ აგინი რა დერდს იტყვიანო, დეჲწყო
ერთმა ლაპარაკი ჩემი დერდი ის არის, რომ მე ვარ ერთ შაჰზადეს შვი-
ლი, და მყავდა ერთი მშვენიერი ძმა. დაიმტერესდა ეს უმფროსი ძმა და
უჩივა, აბა კიდევ თქვიო ეჭვი შჲეპარა დედა ჩემი იყო ხემწიფის ქალიშ-
ვილი, ყიზელ ვერანა შეჰერისა. ხო, ხო თქვიო. ახლა კიდევ ეკითხება,
მამა ჩვენი დეჲკარქა ამ დიდ ტყეში. დედა ჩვენმა გვშობა იმ დიდ ტყის
უდაბნოში. – აბა თქვი. კიდევ ეკითხება. ჩვენ ორი ძმა გაგვზარდა იგივე
ტყეში. ერთ დღეს იგი გონჯა გახდა. ვეღარ შეძლო სიარულივო, ხო, ხო
აბა თქვიო ეკითხება კიდევ. ერ დღეს გაგვზავნა დედა ჩვენმა საჭმელის
საშოვნელად ორთავენიო, მარა დაგვინდო, არ გაშორდეთ ერთი მეორესო.
მაგრამ ჩვენ გადაუხვიეთ მის გზას და დავშორდით ერთმანეთსო, დამეკარ-
გა უფროსი ძმა. აღარ ვიცი სა წევდა. ერთი წლის მემრე მარტო ვეძებ-
დი საჭმელს, ავირიე და მეც დევიბენი, ვეღარ მიველ დედაჩემთან, დევკარ-
გე, ბოლოს ჩავვარდი მონადირჲებს. ეხ!.. აღარ ვიცი სადა ჩემი ძმა. ამ
დროს გააგდებს ხელიდან თოფს, მიჭენდება, ჩჲეხუტება და ეტყვის მე ვარ

შენი ძმავო. დარწმუნებენ ერთქვანებს, რომ ჩეენ ნამდვილი ძმები ვართ, დეიწყებენ ტირილს და იტყვიან: ოჰ!... ჩვენო დედავ, სად ხარ. მათი დედა უყურებს ამ ამბავს და ამბობს. ეხ!.. შვილებო აქანაი ვარ მე თქვენთანო. ადგებიან, გეიხედვენ გამეიხედვენ, ეს ხმა სიდან მოვიდაო. კიდევ დუძახებს, შვილებო ჩაკეტილ კარში ვარო ჩამოტეხავენ კარსა და შევლენ
#77#
შიგნით. ნახავენ ოდაში არაფელი არა. ამ დროს დედა იტყვის: აგერ ამ კიდობანში ვარ შვილებო ჩამწყვრეულით, გასტეხენ კიდობანს, ამოიყვანებენ დედას, ჩიეხუტებიან და დუწყებენ ძუძუს წოვნას. გათენდა დილა დაეჭვიანებულმა მონადირემ გამიეშურა სახლისაკენ. მუარდა, დეინახა გატკლეცილი კარები. და აგრეთვე დეინახა, რომ ორთავე ბიჭები ჩახუტებიან მის მოყვანილ ქალს. შემოუყვირათ, თქვენ უსვინდისებო კარი რაფერ გატეხეთო. ბიჭებმა დახტნენ თოფსა და გაჩუმეს. გეიქცა მონადირემ და მივარდა მათ უმფროსს. დამღუპეთ, ჩემი ოჯახი გუნადგურებიან თქვენ გამოგზავნილ ბიჭებსო. მოვდა უმფროსი მონადირე, დეიჭირა აგინი სამთავე და წაუდგინა მეფესა. მეფე ჰკითხავს ფარდაკიდან, რაშია საქმე, რა დუშავეთო და მუყვა უმფროსმა ბიჭმა თავიანთი ამბავი და უთხრა, ეს ქალი არის ჩემი დედავო უყურებს მთელი ჯარი, ხალხი და მონადირიებიც, ამ დროს მეფე ამბობს: ეხ!.. შვილებო, მეც თქვენი მამა ვარო და ხსნის ფარ დაკს. ახილებს თვალებს და ჰკოცნის ბავშვებს და ცოლსაც. თუ თქვენ ეს წვალება მეიარეთ. მეც ქვეყნის სინათლე აღარ მინახავს იმის შემდეგო.

გუკვირდა მთელ ხალხს. მეფემ გასცა განკარგულება იქნას ქორწილიო. იყო ქორწილი ვორმოც დღე და ღამეს.

ოსმან ეუბის-ძე მი ქე ლაძე, 31 წლისა. წერა-კითხვის მცოდნე.
სოფ. დანისპარაულის მცხოვრები. ნამყოფია რუსეთსა და ოსმალეთში.
თურქული ენის მასწავლებელი.

ჯიჰანშაჰი

მივდა ერთი გლეხი ერთ ადგილზე, ნახა, რომ ერთი ახალგაზრდა ბიჭი ტირის ერთ ახალ მეზოლუღზე (საფლავი). გლეხმა კითხა ახალგაზრდას: რეიზა ტირი, ვინ არის მაი ახალ დამარხული? უპასუხა ახალგაზრდამ, რომ რა გითხრა, არ ითქმება აი ჩემი ამბავი, რადგან ბევრი რამ გადამხდა თავზე.

გლეხმა უთხრა: უნდა თქვა, რაც გადახდენილი გაქვს შენი ამბავიო.

ამ ახალგაზრდამ დეიწყო ლაპარაკი: ჩემი მამა იყო ნეფე ერთ ქვეყანაში. ძალზე მოხუცი ყოფილა, შვილი ანაგებათ არ ყოლია ერხან. მერე კი მოხუცებულ დროზე მე ვყოლივარ. სახელათ დურქმევიან ჩემთვის ჯიჰანშაჰი. ექსი წლის შეპრე მამამ გამგზავნა საკითხავში, დავამთავრე სტავლა და ვიარებოდი თავისუფლათ.

ერჯელ წავედი სანადიროთ ამხანაგების ერთათ და ვნახევით ერთი ირემი. მაგრამ ვერასფრამდინ ვერ დევიჭირეთ. ბევრი ვდიეთ. ირემმა გიქცა ზღვისკენ, ზღვაში იყო ერთი პატარა ხმელეთი, იმ ადგილზე გევდა და დაწვა.

მე და შვიდმა ამხანაგმა ჩავჯექით ფელუკაში და გევედით იმ პატარა ხმელეთზე. დევჭირეთ ირემი და დავკალით. ხორცი ჩავდევით ფელუჯაში, ჩვენც ჩავჯექით შით და გამოვემგზავრეთ.

#78#

იმ დროში ერთი უბედური ქარი და წვიმა ამოვიდა. ამ ქარმა წეიღო ფელუკაჲ სხვადასხვა ქვეყნებში გადაკარქა. როდისაც რომ გამოჲდარა გავახილეთ თვალი, ვნახეთ, რომ ის ქვეყანა არ მოგვწონდა. დავაკავეთ ფელუკაჲ და გევედით ხმელეთზე ვნახევით ერთი ქალაქი და შევედით შით; იქ სულ მაიმუნები იყვნენ. ამ მაიმუნებმა მოგვეფერენ ჩვენ, დაგვპატიჟენ, საჭმელები და ლოგინი გაგვიმზადენ. ვორი დღის მემრე მოგვიტანეს ერთი ძველი წიგნი და წევიკითხეთ ი წიგნი. სწერია შით, რომ ვინმე თუ მოვა ადამიანები აქა ნუ შეშინდებიან. იყავით აქანაჲ ამ მაიმუნებთან და უხელმძღვანელეთ. აქედან გასავალი ადამიანებთან ძან ძნელი არის. გაფუჭდები ადამიანის ქვეყნებში რომ წახვიდე. გასავალს თუ იკითხავ ადამიანის ქვეყნებში სამხრეთით 3 წლის სავალი გზა არის, ჩდილოეთით ვორი წლის სავალი, ამოსავლეთით 1 წლის და ჩასავლეთით 3 თვის სავალი გზა არის. მაგრამ გზებში გავლა ძნელი არის, ამისათვის, რომ სხვადასხვა გარევლი ნადირები არიან ადამიანის მჭმელებიო; ასეთი გვიპასუხა იმ ისტორიამ და დიდი გვეწყინა, რომ ვეღარდა გევიდეთ ჩვენ ქვეყანაში. გაგვიწყდა წასლის იმედი. დავრჩით ერთხან მაიმუნებთან. საჭმელი და სასმელი სუყველამფრამდინ ბლომათ იყო, მაგრამ იგინი მაიმუნები იყვნენ და ჩვენ ადამიანები, ვერ გავძელით. კარგი ხნის მემრე გვევემზადენით წასასლელათ. ვნახეთ, რუმ ჩვენი ფელუკაჲ თავის ადგილზე არ იყო. თურმე დუმტვრევიან მაიმუნებს, არსად წევდენო. მემრე გევემზადენით წასასლელათ ჩასავლეთიდან ხმელეთით, რომელიც 3 თვის სავალი გზა იყო. გამუარჩიეთ საჟდომათ დიდვანი ძაღლები. იმ ქვეყანაში ცხენი არ ყოფილა და ცხენის მა-

გივრად ძაღლებზე ჟდებოდენ. ამისათვის ჩვენ გამუარჩიეთ ძაღლები და ერთ
კარქ ღამეში გევპარეთ დასავლეთიდან. ბევრი რამ გადაგვხთა, მაგრამ რა
ღა ვილაპარიკო. 7 ამხამაგებიდან ერთიც არ გადამირჩა. მე თვითონ სა-
ბრალო ჯიჰანშაჰმა ერ დღეს გადეველი იმ გლახა საზღვარიდან. მივედი
ერთ მდინარეზე, გაღმაზე ქალაქი დევნახე, შით ადამიანები დადიან. მე
ძალ გამიხარდა. გაქედი რამენაჲრათ გაღმა. შეველი სასადილოში, ვისა-
დილე. მემრე უთხარი იმ ადამიანებს, რომ რომელი ქვეყანა და რომელი
ქალაქი არის ეს მეთქი. იგინმა იმ ქალაქის სახელი მითხრეს მიდღემჩი არ
მქონდა გაგონილი იმაზე უთხარი, რომ აქიდან სხვა ქვეყანაში რამდენი დღის
სავალი გზაჲ არის მეთქი. რუმ აქიდან ინდუეთში ვორი წლის სავალი გზა
არისო. ინდოეთიდან ვორ წელწადში ერთჯელ მოდისო ვაჭრები, ყიდულო-
ბენ საქონელს და მიაქნენ, მე საბრალო ჯიჰანშაჰმა ვიფიქრე, რომ მოვცა-
დო და რუმ მოვლიან ვაჭრები წავხყვე და ისე მივდე ჩემ ქვეყანაში. დავ-
რჩი იქა პატარა ხნის უკან ერთი მდიდარი კაცი იძახის ქალაქში: ათას
ალთუნ (ოქრო) მივცემ, ერ ხელ ტანისამოს მივცემ, კიდევ ღამეში ერთ
ლამაზ გოგოს შუგორებ ოდაში და დილას ერთი საათის საქმე გამიკეთო-
სო. ვინც იქნება ასეთი მოვდეს ჩემთან ამეზღამო. არავინ ყურადღებას არ
აძლევს. მე საბრალო ჯიჰაზშაჰმა ვიფიქრე: რომ მაგას რა ჯობია: ათას
ალთუნს რომ ერთ საათში მოვიგეფო სულ რომ რა ძნელი საქმე იყოს გუძ-
#79#
ლებ. დამიძახა იმ მდიდარმა, რომ მოდი ჩემთან, არაფელი საძნელო საქ-
მე არა მაქვს. წაველი იმ მდიდართან იმ ღამეს კარქა მომიარა, დაწოლი-
ხან ერთი კაჲ ლამაზი გოგო ჩამომიგდო ოდაში, გათენებამდი ჩემთან იყო,
გამთენიოს წევდა. დილაზე თავტანი დამბანეს კაჲ ტანისამოსი ჩამაცვეს,
მეიყვანეს ვოთხი ცხენი. ერთზე მე შემაჟდინეს. მეორეზე თვითონ მდიდა-
რი შეჟდა და ვორი ისე წამოჲყვანეს, მე საბრალო ჯიჰანშაჰმა რავიცი, რა
უნდა მიყონ. ისე კი მეშინია, მარა ჯერეთ უყურეფ წაველით ვოთხი საა-
თის გზაზე. მიველით ერთ მთი ძირში იქ დევსვენეთ. მას შემდექ ერთი
ცხენი იქ დაკლეს. მე კი ჩუმათ ვფიქრობ: რა საქმე უნდა დამავალონ და
თან მეშინია. მას ხანში დაკლული ცხენი გახადეს, გაშჭრეს და ფუში გა-
რეთ გამოაგდეს. მემრე მითხრენ, რომ ამ ცხენის მუცელში უნდა შეხვიდე
ფაშვში, იქ დეჲძინებ, იქ რაცხა სიძმარს ნახავ, მემრე გამოჲ და გვითხარი
ეს არის ჩვენი დავალება, მეტი არაფერიო. მე საბრალო ჯიჰანშაჰმა ვი-
ფიქრე, რომ აჲ სულ ადვილი სამუშავო ყოფილა; იმ გუძორძღოში შეს-
ლიხან მითხრა მდიდარმა, რომ მაჲ ტანისამოსი გეჲხადე, რომ გაგირუხლ-
დებაო. მაჲ ჩვენი მოცემული ათასი ალთუნი მოგვეცი ჩვენ შაგინახავთ

შენ გამოსლამდიო.

მე ჯიჰანშანჰა რა ვიცი, რომ რაში არის საქმე. გევიხადე ჩემი ტანი-სამოსი, მივეცი მდიდარს. ის ფულიც მივეცი შესანახავად მდიდარს. მე შევძვერი იმ ცხენის მუცელში და ჩემი შესასლელი ადგილი იმ მდიდარმა ამოკერა მე კი დავჭუჭე თეალები, ვითან სიზმარი უნდა ვნახო; ამ ყურე-ბაში აჲ გოძორძღო გჲექანა, დეიწყეს აქეთ იქით რწევა. მეგემ კლდი კაპ-ნებიდან მოფრინდენ არწივები აწიენ ცხენის გოძორძღო და მაღალ კაპ-ნი თავზე გეჲტანეს და იქ დუწყეს მეგემ ჭამა. ერსალიკაჲ გაფრიწეს გო-ძორღო და საბრალო ჯიჰანშაჰმა გამოვყევი თავი გარეთ და რავარცხა გამოვძვერი, გევხედე, რომე იმ გაძორძღოს დუნის (ქვეყნის) ყორნები და არწივები დასევია. ჩემ დანახვახე აფრენდენ და ცა დააბლენეს, მივხედ-მოვხედე არაფერ ალაგიდან ჩასავალი არ აქ იმ დიდ მთას. მემრე ქვეით გადავხედე, რომ ი დიდარი კაცი დამცქერია და მიძახის! ჯიჰანშაჰო!... მაქანაჲ ძვირფასიანი ოქროს ქვიებია და გადმოყარე. მემრე ჩამოსასლელ ადგილ გასწავლი და რომ ჩამოხვალ შენ ფულსაც შენ მიიღეფ იმ ოქრო-შიც ნაწილს მიიღეფო. მას შემდექ გადუყარე ის ქვიები. აფსეს ხურჯინე-ბი, მოხკიდეს ცხენებს და წეჲღეს. მეკი უძახი, რომ რეჲზა არ მასწავლი ჩამოსასლელ ადგილს. იმას არაფელი არ ესმის. მოსკიდეს ის ოქრო ცხე-ნებს და წეჲღეს. მეკი საბრალო ჯიჰანშაჰმა იქ დავრჩი ვერსაიდან ჩამო-სასლელი ადგილი ვერ გნახევი. თურმე იქ იმტონი ადამიანის ძვლები არის, რომ არ დეჲთლება დევწყე ტირილი, მეც აქანე უნდა მოვკვტე ამ კტრებ-თან მეთქი. იმ მდიდარმა კი წეჲღო მისი მოცემული ფული და ტანი-სამოსი მე კი არაფერი ჩამოსასლელი გზა არ მასტავლა. სამ დღეს იქანაჲ ვიტირე და მემრე დევიფიქრე, რუმ აქ სიკტილს გადავვარდე და მოვკვტე ის შჯობია. ვნახევი დაბალი ადგილი. წეველ ნელნელა, დიდი მწვალებით
#80#
ჩეველი ძირში და იქ დავიბნიდე. კარგი ხნის მემრე გამევღვიძე, ავდექი დამტვრევლი წელ-წელა წეველი. თურმე სხვა ქვეყანაში გადავსულვარ, მი-ველი ერთ ადგილზე და ერთი რკინის კარი ვნახე გავაღე კარი და შევედი. შიან ლამაზი კორდი. პატარა იქით გავხედე, რომ ერთი ალთუნის სტო-ლი, აქეთ-იქითიდან სკამებიც დვია, ისინიც ალთუნისაა. ერთ სკამზე ერ-თი კაცი ზის. იმ კაცთან მივედი მითხრა: შვილო საჲდან მოდი. აქანაჲ ადა-მიანი ვერსაიდან ვერ მუ̂ა. მე უპასუხე, რაც გადამხთა ჩემს თავზე. შევე-ცოდვე იმ მოხუცს და მითხრა: იყავი შვილო ჩემთან, მემრე მე გაგაგზავნი შენ ქვეყანაში. მე უთხარი: ბაბუა, შენ რას შრები აქ მარტუ̂აი? მიპასუხა მე ჩიტების ფადიშაჰი (მეფე) ვარ. წელიწადში ერთხელ მოვლიან აქანაჲ

ფრინველები და იბაადრამებენ. მე იგინებს ყურადღებას ვაქცევ. ერთი წლის მემრე მთვლიან, შენ მაქნამდი მოიცადე, რუმ მოვლიან შეგაჟდენ ერთ ჩიტ-ზე და გაგიშვეფ შენ ქვეყანაშიო. დავრჩი იქანაა.

ცხრა-ათი დღის შემდექ ადგა ბაბუამ და მითხრა: მე ახლა მთიებზე, სერებზე მიალ, იქ უნდა გევგო ჩიტები რაფერ არიან და ექსი თვის მემ-მე მუალ სახლში. მარემდი შენ ყურადღება მიაქციე ამ სახლსო. კიდვენ დამიბარა ჩიტების ფადიშაჰმა, რომ ეგირ რკინის კარი რომ არის, ი არ გაღო, თუარა იქ არიან: ლომები, ღორები, დათვები, მგელები და შეგჭა-მენო. თვითენ გუდგა გზას და წევდა. ხუთი თვი ვიყავი ისე არ გავქანე-ბულვარ. მემრე ძალიან მომეწყისა და ნელ-ნელა დევწყე სიარული ვიფიქ-რე მოდი ერთი პაწას გავაღრინჭებ რკინის კარს და შით შევჭიტინეფ მეთ-ქი. პაწაა გავაღე არც ლომებია და დათვები. შით ლამაზი ბაღი ჩანდა შევედი შით, რომ რა გინდა სოლო და ჯულო რომ იქ არ იყოს, ხილი ყვავილები. შით ერთი ლამაზი საცივი (წყარო) გადმოდის, ალთუნის ღარ-ზე და დიდ ალთუნის ჰაუზში ჩადის. მივგორდი ერთ ვაშლის გრილში და წამეძინა. პაწა ხანს მემრე გამეღვიძა. გავხედე, რომ იმ საცივთან მოფრინ-დენ სამი მტრედი და დაჟდენ. მე კი ვერ მხედვენ. მე კი ჩუმათ ვემზირე-ბი. ამ ყურებაში იმ ტრედებმა სამნივემ ლამაზი გოგოვები გახდენ. გეიზ-რეს ტანისამოსი, ჩევდენ იმ პაუზში, ტპაში და დეიწყეს ცურვა. იგინში ერთი უმფო უნცროსი ნამეტარი ლამაზი იყო და ძან მომეწონა. იმის სიყ-ვარული გულში ჩამუარდნია და თურმე დავბნედილვარ იქანაა კარქა ხნის მემრე მოსულა ი მოხუცი ჩემთან და წყალს მისვამს პირზე მას ხანში გამევ-ღვიძე. დევწყე ტირილი, აადრა დამემართა მეთქინ, ბაბუამ მითხრა რეა-ზა შემოხველი აქ იგინი „ფერი ფადიშაჰის“ (ფერიათა შეფის) გოგუები არიან. იგინი წელიწადში ერთხელს მოვლიან, ამ საცივში იბანვენ და ისევ-ლე წავლიან. მე კი შევეხვეწე ბაბუას, რომ რამენაირათ უნცროსი გოგო მათხოვნიე. მიპასუხა, რომ იმ პაწა გოგოს „შემსიბანო“ ქვია. იგი შენ არ მოგყვება, თუ მას პერანგს არ მოპარავ. მყ ფიბირი რაფერნდა მოვპარო მეთქი, მიპასუხა, რომ ისინი კიდევ მოვლიან ერთი წლის მემრე და მაშინ მოპარეო.

#81#

მე საბრალო ჯიჰანშაჰმა მევცადე ერთ წელწადს, კიდევ ვემზირები იმ ბაღში რომ მოვდენ კიდვენ ტრედებმა იმ საცივთან. მე კი დევემალე. დევ-ნახე, რომ გეაზრეს ტანისამოსი, ჩაცვინდენ იმ ჰაუზში და დეაწყეს ბანვა ჩასლიხან უმფოსმა გოგომ თქვა: გახედეთ არვინ იყოს ახლოვო. უნცროს-მა გოგომ სთქვა, აქ ჩვენს მეტნი ვინ უნდა იყოსო და ჩევდენ ჰაუზში. ი

ბანვაში მევეპარე და შემსიბანოს პერანგი ევღევი. მას ხანში იმ ვორმა გე-
იქცნენ და ის ერთი კი დარჩა ტპაში დამიწყო ხვეწნა მომეცი მომეცი ჩე-
მი პერანგიო მეც უპასუხე: ერთი წელწადია შენთვის ვემზირები და ახლა
რაფერ გაგიშვებ, ძალვან მიყვარხარ. პერანგი არ მივეცი. კაბა ჩეიცვა და
მოვდა ჩემთან. წამუედით ერთად და მუედით ბაბუასთან. იმ ბაბუამ გვა-
ქორწილა.

ბევრი ხნის მემრე დიდვანი ფრინველების ერთათ გაგვამგზავრა ბაბუამ
ჩემს ქვეყანაში ჩემი ცოლის ერთათ. წამოსლიხან კი დამაბარა, რომ მაი პე-
რანგი შენტანიდან არ მეშორო სანამდი მაქიდან შვილი არ გეყოლებავო
მარემდი ტანზე ქონდესო. მადლობა ვუთხარი. ბაბუას, დევემშვიდობე და
წეველით სახლისაკენ. მიველი სახლში. მამას და დედას ძალვანი გუხარდა
ჩემ დედმამას ჩემი თავი კტარი გონოდენ. როდისაც უცფათ მიველი გუ-
კვირდენ, ძალ გუხარდენ.

დევიწყე ცხოვრება, ბევრი ხნის მემრე ი პერანგი ტანზე ვერ გევთიე და
გევძრე. ჩავდევი რკინის შკაფში და სახლის ტუარში ჩავაშენე, ზეთ სახლი
გავაკეთევი. მეგემ ფერს აფერი არ გუკავდება. გამეიღო ი შკაფი და გას-
ტეხა ამეიღო პერანგი, აფრინდა ზეიათ და დამიძახა: ჯიჰანშაჰო! დემენახ-
ვე შენ შენ დედმამასთან მოხველი, ჩემი დედმამა კი ტირიან. სად ვარ
იგიც არ იციან. შენ თუ ჩემი თავი გინდა იკითხე ქალაქი „გევჰერი“ და
მოდი, ჩემი მამა იქანაია.

მე კი დუძახევი – ნუ წახვალ, ნუ დამტევ, ძან მიყვარხარ. მანაც კი მი-
თხრა – მეც მიყვარხარ, მარა მამამ არ იცის თუ სად ვარ. მეო და გაფრინ-
და, გებარა და წევდა.

მე კი დავრჩი, დევწყე ტირილი მამამ მითხრა: ნუ ტირი შვილო, წევ-
დეს. უკეთეს ქალს გათხოვნიეფო. მე უთხარი მამას, რომ მე თუ მათხოვ-
ნიებ, ისევლე ის მათხოვნიე, სხვაი მე არ მინდა.

მამამ გუშვა ხალხი ქალაქ გევჰერის საძებნელათ, მარამ არ იქნა და არ
იქნა, ვერ ნახეს. მეგემ არვის არ გუგონია ი ქალაქი. მე საბრალო ჯიჰან-
შაჰმა წეველი თვითონ ინდუეთში. გზაში ვფიქროფ ჩემათ: თუ მიშველის
ისევლე ის მოხუცი ბაბუაი მიშველისო. ვორი წლის განმავლობაში მივე-
ლი პირველათ რომ ხოჯამ მომატყუა და წამიყვანა იმ ქალაქში. მიველი
გავხედე, რომე ი ხოჯა ისევლე იძახის: – ათას ალთუნ მივცემ, ერთ ლა-
მაზ გოგოსაც შუგორვებ ოდაში, დილით ერთი საათის საქმე გამიკეთოსო
არვინ ყურადღებას არ აძლევს. უთხარი მე მუალ. მე კი ვიცოდი, მარამ
რაღა უნდა მექნა, გასავალი იქიდან მქონდა, სხვა გზაი არ ვიცოდი.

წამიყვანა ხოჯამ. მაჭამა კარგი. დაწოლი ხან ერთი გოგო შამომიგზანა მას შემდექ გათენდა. წამეიყვანეს კიდვენ ცხენები, წამიყვანეს მეც. მიმიყვანეს კიდვენ იმ მთის ძირში, დაკლეს ცხენი და მითხრეს, რომ შედი ამ გოძორძღოში, შით სიძმარს ნახავ, გამოიდ და გვითხარიო. აგია ჩემი საქმევო. მემრე აგიც მითხრეს: მაიდ ჩვენი მოცემული ფული და ტანისამოსი მოგვეცი, შაგინახავთ, შით გაგირუხლდებავო. მე უთხარ, რომ არ მოქცემთ გარუხლდება ჩემია, თქვენ ხომ არ გაძლევ მეთქი. მითხრეს – არავო ჩვენ შაგინახავთო. უნდებიან რო, დუტიო ფული, ტანისამოსი. როგორც წინ არ ვიცოდი და დამატევიეს ფული ისე უნდებიან კიდევ. მე კი ვერც მცნობილობენ. არ გამიზრია, არც ფული მივეც; ისე კი შეველი იგინმა ამოკერენ. დუყურე, რომ ი გოძორძღო აწიეს, რაცხა დადვეს და დეიწყეს აქეთ-იქით წეწვა. გაფრიწეს და გამუედი გარეთ. დასევიან არწივები და ყორნები. მე რომ გამუელი გეიქცენ გედევხედე ქვეიათ, რომე ი მდიდარი მემზირება. დიმიძახა, რომ მაქანაიდ ალთუნის ქვიები არი, ძვირფასიანი და გადმოყარე. შენც გაგინაწილეფ და ჩამოსასლელ ადგილ გასწავლიო. გადავძახე; რომ მე ვიცი ჩამოსასლელი გზა, რაც მომატყუე წინათ – იგი გეყოფა, მაშინდელი ჩემი ფული შენთან არი, კიდვენ ოქროს ქვები უნდა გაგენაწილებია, სა წეიღე იგი. მე ახლა დევსწავლე ჩამოსავალი.

წაველი იქიდან იმ დაბალ ადგილზე დიდი მწვალებით ჩაველი ძირში. მიველი ბაბუასან. ბაბუამ მიხდა, რომ შემსიბანო გაქცეიავო. მითხრა მოხუცმა: – ხომ დაგაბარე, რომ პერანგი შენი ტანიდან არ მოიშოროვო, რეიზე გეიძრევო. უპასუხე: – რავქნა შევცთი და გემექცა ცოლი; რაც შეიძლება შენდა მიშველო. მითხრა: – რა გიყო, იგინი მემრე აღარ მოსულან მას შემდეგ. მე უთხარი თუ იცი ქალაქი გევჰერი. წასლიხან იგი მითხრა მოდი იქანაიდ და წამოგყვებივო. – მე არვიცი, მარა მეიცადე. ფრინველები მოვლიან, იგინს ეცოდინებიან და გაგაგზანი. ცოტა ხნის მემრე მოვდენ ფრინველები ბაბუამ კითხა – თუ იცით ქალაქი გევჰერიო. ფრინველებმა თქვენ. რომ ჩვენ არ გაგვიგონიავო, ერთი ექსასი წლის ფრინველი იყო. იმან თქვა, რომ მე ვიცი საძღვარი და ქალაქი არ ვიციო. უთხარი მე – მიმიყვანე იმ საზღვარზე და იმას იქით ჩემით წავალ მეთქი. შამიჟდინა იმ ჩიტმა და მიმიყვანა სამძღვარზე. დამტია იქანაიდ და თვითვენ გაფრინდა და წევდა. მე კი წეველი, ბევრი ხნის მემრე მიველი ქალაქ გევჰერში. ვინახულე ნეფე. თურმე ყოფილა შემსიბანოს მამა. ვილაპარაკე ჩემი ამბვები, მადლობას ვეტყვი, რომ უარი არ მითხრა. მას შემდექ შამოვდა შემსიბანო, ე. ი. ჩემი საცოლე. ბევრი საყვედური უთხა – რეიზა დამტიე და გამეიქეცი... მიპასუხა, რომ ძალ კაიდ მიქნია, იმისათვინ, რუმ სიყვარული გევგე-

ვი, მამაც დაგინახავსო. მეტი თავი რაღა გაგაწყინო, ვიქორწილევით და წა-
მევყვანე ჩემ სახლში. მუ̂ედი მამასან. ძალ გუხარდა, დევწყევი ცხოვრება
გახარებული და გულდაგულვებული.

ვორი წლის მემრე ინატრა დედმამა ჩემ ცოლმა და წევყვანე მოსამლე-
ლათ თავის მამასან.

#83#

წეველით რამდონიო გზა გევვარეთ. ცოტა ვიარეთ თუ ბევრი ვიარეთ,
მიველით ერ ადგილზე და დევღალევით. დავჯექით. ამ დრუზე ამ ევღევი
აბდესი (თავპირის დაბანა) და დევწყევი ლოცვა. მას ხანში თურმე მოვდა
მგელი, დეიჭირა ჩემი ცოლი და დახჩო, მოვგტრუ̂ალდი, ვნახე, რუმ დუ-
ხჩვია. ევღე ჯოხი და ურტყი მგელს. მგელიც მოვკალ, მოვკალ მარამ რაღა
დროში, რომ ცოლი მომიხჩო მემრე მოვყვანევი აქანაᲘ და დავმარხევი. ძალ
მიყვარდა. დიდი მწვალებით შერთული მყავდა. ამისათვინ ვსტირი ამ
„მეზერზე“ – (საფლავზე). შით იმყოფება ჩემი შემსიბანო დუ̂თავა იმ გლეხს
ამბვები ჯიპანშაჰმა. იმ გლეხს გუკვირდა.და დიდი შᲘეცოდვა. ადგა და
წევდა გლეხმა. იმან კი იქ დარჩა. ჯიჰანშაჰმა იქვე ამოთხრა მიწა და მო-
კტენამდი იქ უცადა. როცა კტებოდა ჩაწვა მეზერში და იქ დალია სული.
იმასაც დაყარეს მიწა.

ცოტა ხნის შემდექ ერთი ია ამოვდა ჯიჰანშაჰის მეზერზე და ერთი ია
ამოვდა შემსიბანოს მეზერზე იგინმა გეᲘზრდენ და ერთმანეთ გადᲘეკოჭენ.

ნაამბობია სოფ. აღმეს მცხოვრების ბართალი აბულაძის მიერ.

#84#

ტერმინების საძიებელი

აბლა 18 ბიცოლა.

ავეჯი 75 მონადირე.

ათეშოინი 45 ცეცხლობია

აკუნტებდა 70 აკუნტრუშებდა

ალეთი 73 ორგანიზმის, ან სხვა რაიმეს ნაწილი.

ალთუნი 27 ოქრო.

ალლაჰ 63 ღმერთი.

ამამოვალ 26 ამადაამ.

არაფა 43 ცნობა-ბაᲘრამის წინა დღე.

აღა 17 აზნაურს უდრის.

აღაბაბა 33 მამამთილი.

აღაბატონი 33 მაზლი

აღდი 19 წერილობითი პირობა,

აშურა 46 დღეობა.

ახდი ვქნათ 26 პრობა დავდოთ.

ბაირამი 43 სარწმუნოებრივი დღესასწაული.

ბაიერამ მუბარექ ოლრუნ 45 ტკბილად შეგერჯოს ბაირამი.

ბასხუნი 9 ავადმყოფობაა ბავშვის.

ბაშავჯი 76 უფროსი მონადირე.

ბაშლული 26 ქოთამი (სანიშნო).

ბაშუმსაღოლსუნ 37 თავად საღად იყავი.

ბახჩიში 24 მისალოცავი, საჩუქარი.

ბელქი 26 იქნებ, შეიძლება.

ბელჩქვი 65 ჩირგვი.

ბეჩი 59 ჭკუანაკლები

ბიბია 29 მამიდა.

ბითევი 39 სრული.

ბოლი 65 როტი.

ბოჯიყა 66, სადაც ხის ტოტების განშტოება იწყება.

ბუდესტანდაფთი 63 ეს ლექსი გააკეთა.

ბუდრუმს 21 მობრძანდი.

გამყივანე 18 კრიმანჭულის მთქმელი (წვრილი).

გევეზობა 23 კვალის დაჩენა.

გელდიზევალ 63 მოვიდა საწყლის

გელინი 24 რძალი...

გოდა 28 ვითომ.

გოჟო 11 ავადმყოფობაა ბავშვის

გორიცა 65 პატარა გოდორი.

გოროტი 67 ქალაქი.

გორუმხანუმ 32 მული

გუგუმი 29 თუნგი.

დააშვენებიებს 19 დაბანას

დაგასახლე 18 დაგაქორწინე.

დადე 18 დედოფლის მომვლელი ქალი

დაკოჭვა 50 შეკვრა.

დასაბმელი 29 გამოცადა.

დასუნათვა 14 წინდაცვთა.

დევე 46 აქლემი

დელიყანდი 16 ახალგაზრდა.

დემაქი 39 ერთი სიტყვით.

დიეთარიზება 26 დაერიდება.

დირეღი 71 ბოძი, სვეტი.

დოვლეთყუში 74 სამეფო ჩიტი.

დუა 26 შევედრება. (ნაწყვეტი ყურანიდან).

დუალი 20 დედოფალს ახურავენ.

დუნია 68 ქვეყანა.

დუნია გუზელი 71 ქვეყნად ულამაზესი.

ებეი 6 ბებია ქალი.

ელჩი 26 შუამავალი (მაჭანკალი).

ემინე 17 სახელია ქალის.

ეფეიჯა 71 საკმაო, ბლომათ.

ზაბითი 17 სახელია.

ზანაეთი 70 ხელობა.

ზიაფეთი 46 ლხინი.

ზინაჯი 39 მოარშიყე.

თაბუთი 37 კუბო.

თელყემი 38 გამოსაღვიძებელი.

თემენა 23 ხელის მოძრაობით მისალმება.

თერავი 44 ლოცვაა რამაზანაში.

#85#

თეფსი 67 სპილენძის თეფში.

თილქიგებერა 63 მოგკლავ, კისერს მოგიგრეხ.

თმენა 44 მარხვა.

თობბე 73 აღთქმა,

თოფალი 74 კოჭლი.

თურლი-თურლი 70 სხვადასხვა

თუჯარი 67 ვაჭარი.

იაზლოდი 71 აივანი.

იასი 39 დაწოლის დროს ლოცვა.

იასინი 37 ყურანიდან ხაწყეტი.

იასლუღი 44 გათენებისას ჭამა რამაზანში.

იაქუთების ტაში 67 ძვირფასი ქვები.

იბნეყული 68 უკანონო მ ილი.

იბრაიმი 46 აბრაამი.

იზნი 70 ნება, დრო,

ინათიანი 48 ჯიუტი.

იოღუნი 62 ყოჩაღი.

იჯები 41 შვრები.

კარიოლა 72 ტახტი.

კაფაღი 67 თავი.

კინწლაობა 69 ჩხუბი.

კონკმანი 72 მორიდება.

ლაზარია 50 წარმართული დროის რიტუალია.

ლორფინი 37 ორად გაპობილი გათლილი ხის მორები, რომელსაც კუბოს აფარებენ ზევიდან საფლავში.

მაკარია 27 ლამაზი ყუთი (ჩექმე ბაჲ)

მანიდი 16 კაცების სიაში ჩარიცხკა.

მარიფეთი 69 ხელობა.

მაშალლა 21 ჯვარი სწერია.

მაჯუნი 19 საჭმელია.

მახრამა 27 თავსაკრავი.

მეგემ 62 თურმე.

მედარი 73 საშუალება.

მევლუდი 13 სახელია.

მეზელუღი 37 საფლავი.

მეზერი 37 სამარე.

მეითი 36 ცხედარი.

მელაიქი 38 ანგელოზი.

მელანუნომრი 63 მელას აღსასრული.

მერაყი 62 ჯავრი.

მესუნათე 14 ვინც წინდაცვეთას აწარმოებს.

მოსაბლეს 75 გაბაწრეს.

მურავი 17 მაჭანკალი.

მფერხავი 40 მეკვლე.

ნეოლურდი 62 რა იქნებოდა.

ნიქახი 20 პირობის ქაღალდი.

ნიშანლი 27 ვაჟის პირველად მიყვანა დედოფლისას და დედოფალთან დროს გატარება.

ნუსხაფი 39 იგივე ყურანი.

ნუხფეიღამბერი 47 ნოე წინასწარმეტყველი.

ოდა 69 ოთახი.

ოზუნა 62 მარტოდ.

პრუჟუნა 71 ხრახნილი.

რამაზანი 43 მარხვა,

რეჯები 13 სახელია,

რიშვეთი 26 ქრთამი

რუსუმი 31 მოთხოვნა.

სამხთო 50 რიტუალია.

სარაია 71 კოშკი, სასახლე.

სატახია 65 ადგილის სახელია (ქობულ. რაიონში).

სულავათი 39 ღმერთის ხსენება.

სინი 21 პრტველი სპილენძის დეფში;

სკივრი 67 დიდი ყუთი.

სუნნეთ დუგუნი 14 წინდაცვეთის დროს პატარა ქორწილი.

სხაპი 55 მახე

ტერეფი 27 მზარე

ულუმიდინი 16 საღვთო სჯული.

უჟმური 14 ავადმყოფობაა ბავშვის.

უსტა 63 ხელოსანი.

უსტურა 14 სამართებელი.

ფადიკო 29 სახელია.

ფადიშაჰი 80 ხელმწიფე.

ფარძი 21 აუცილებელი,

ფატა 18 გამჭვირვალე შარფი.

ფაშაბატონი 17 მული

ფაშანენე 33 დედამთილი.

ფეიღამბერი 46 წინასწარმეტყველი.

ფელუკა 77 ნავი.

ფეშხუმი 27 სუფრა

ფეხნაქცევი 28 ვაჟის მეორედ მისვლა დედოფალთან.

#86#

ფითრე 45 შეწევა.

ფიშმანობა 67 ფიქოი.

ფუხარა 52 ღარიბი.

ქააბა 37 წმინდა ადგილი სამხრეთში.

ქარი 26 სარგებელი.

ქამატობა 49 რატუალია.

ქელეხი 38 პანაშვიდი.

ქემერი 27 ქამარი.

ქეფენი 37 საფლავში ჩასატანებელი ტანთსაცმელი.

ქიაფი 73 ასანთი.

ქირვა 14 მამობილი.

ქორი 74 ბრმა.

ყაბული 46 თანხმობა.

ყავაზი 69 მოხელე.

ყაილი 72 ნავი.

ყათი 17 წყობა.

ყარიბი 71 უთვისტომო.

ყეზა 34 შემთხვევითი.

ყეზრაილი 37 ისრაილი.

ყიზილვერანა 71 წითელი ნანგრევები.

ყურანი 39 მაჰმადიანურ სარწმუნოების კანონების წიგნი.

ყურბანი 21 მახვერპლი, შესაწირავი.

ყურიქუფიები 27 ყურსაკიდები.

ყურუში 65 შაური.

შაჰზადე 69 მეფის შვილი,

შებანი 13 სახელია.

შელლუღი 43 გახარება, შეგებება,

შერბეთი 19 სასმელია ტკბილი,

შექერი 27 შაქარი.

შეჰერი 71 ქალაქი.

შილი 32 მაზლის ცოლი.

ჩაკეტვა 32 შეკავება

ჩერჩები, **ჩარჩაპი** 27 ჩადრი.

ჩოლოქი 66 მდინარეა.

წივი 57 წვივი.

ხავისი 68 სურვილი.

ხაზირი 17 გამზადებული.

ხალაჲ 29 დეიდა.

ხამაილი ყაბი 7 საფულე ჩანთა.

ხამი 27 უბრალო ქსოვილი

ხანუმი 70 ქალბატონი.

ხასი 27 სუფთა აბრეშუმი

ხასამი 67 ცნობილი, დიდი.

ხედია 67 ძღვენი

ხეიჩეგი 69 ოქრომკედელი.

ხეფსი 31 საუზმე

ხოთრლაღი 38 ცოდვილი მიცვალებული.

ხოშორი 73 მსხვილი,

ხოჩიჩი 9 ნავისებური ხის ქერქი, რომელშიაც ჩვილ ბავშს აწვენენ.

ხოჯა 19 სასულიერო პირი.

ჯამბაზი 62 მოხერხებული.

ჯანაზა 37 ლოცვა დასაფლავების წინ, გასვენება.

ჯებრაილი 38 გაბრიელი.

ჯეიზი 17 მზითვი.

ჯენნეთი 37 სამოთხე.

ჯეჰენნები 45 ჯოჯოხეთი.

ჯინდარჯი 35 ექიმბაში.

ჰაუზი 70 აუზი.

ჰური 72 ლამაზი, მიმზიდველი.

შინაარსი

წინასიტყვაობა 3-5

1. ხალხური ჩვეულებანი:.....6-39

მშობიარობა 6-14

„სუნნეთ დუგუნი“ 14-18

ქორწილი 18-32

ჩაკეტვა 32-

ფადიკო 32-33

ქალის მდგომარეობა.....33-34

ტირილი და გლოვა.....34-39

2. ცრუმორწმუნეობა.....39-52

ახალწლის შეხვედრა.....39-40

„ქათმის ფერხვა“.....40-

რწყილის „გადალოცვა“ და რწყილის „დაყვერვა“.....41-
ცხრამარტობა.....42-
ნასესხები.....42-43
ბაირამი.....43-46
აშურა.....46-47
ხვნათესვა და ხარების ავითვალისაგან გამოლოცვა.....47-48
ქაშატობა.....49-50
„დადეგი“.....50-
„გზობა“.....50-
„ნადირის გაკოჭვა“.....50-
„სამხთო“.....50-52
3. ხალხური სიტყვიერება.....53-85
ბერიკაცი.....53-54
საჯევახურა.....54-55
სასადილო.....55-
ყარანაჲ.....55-56
ჯიქურაჲ.....56-57
მომღერალი გუნდის ხელმძღვანელსა და ჩადრის გამკიცხავს.....57-58
ნადური ლექსები.....58-59
ჩემი სევდა – მიჯნურობა 59-61
მელაჲ.....62-63
ლობიავ.....63-64
ეპიზოდი ტყვეთა მოტაცებიდან.....64-66
ზღაპრები.....64-80
იბნე ყული.....67-69
შაჰზადე.....69-77
ჯიჰანშაჰი 77-83
ტერმინების საძიებელი 84-86